პრეზიდენტი

# საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობის საფუძველი კვლავაც ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაა



საქართველოსა და თურქეთს შორის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში არსებული და პერსპექტიული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ იმსჯელეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა ენის ოქსუზმა 29 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, კვლავ დაფინანსების პრობლემა უშლის ხელს ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის დაწყებას. ამ საკითხზე საუბარი ორ ქვეყანას შორის უკვე 4-5 წელიწადია მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში მშენებლობის პროექტის მეორე ვარიანტიც გამოიკვეთა და იგი ყარსიდან ვალე-თბილისის განშტოებასთან მიერთებას გულისხმობს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ორივე ვარიანტი ზედმიწევნით შეისწავლება და გადაწყვეტილებაც შესაბამისად მიიღება. გარდა ამისა, თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის ამჟამინდელი ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ ყარსიდან თბილისამდე ერთიან პროექტზე ორივე მხარე ერთობლივ ტენდერს გამოაცხადებს.

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

# თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია



— თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და მასთან მჭიდრო ურთიერთობას ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს,— განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა თურქეთის ტრანსპორტის მინისტრთან ენის ოქსუზთან 29 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე. — მჭიდრო ურთიერთობა კი უნდა მოიცავდეს მრავალ დარგს, მათ შორის ტრანსპორტის სფეროს, მით უფრო, რომ საქართველო და თურქეთი სატრანსპორტო დერეფნის — „აბრეშუმის გზის“ უმთავრეს საკვანძო ქვეყნებს წარმოადგენენ.

როგორც თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა აღნიშნა, ამჟამად საქართველოსა და თურქეთს შორის სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობა სამი მიმართულებით ვითარდება. კერძოდ, ხორციელდება სარკინიგზო „აბრეშუმის გზად“ წოდებული ყარსი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. ასევე, განხორციელდება ფოთი-რიზეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის პროექტი. გარდა ამისა, დაგეგმილია საქართველოში თურქეთის მსხვილი სამშენებლო ფირმებისა და ამ დარგში მომუშავე თურქი ბიზნესმენების მოზიდვა.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ამ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 3251 მკითხველი. მათ შორის, 61% აშშ-დან, 27% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №263 (3664) შაბათი, 30 სექტემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.


კანონმდებლები

## უსაფრთხოებისათვის ხმელეთსა და ზღვაზე

29 სექტემბერს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ მუშაობა დილიდანვე განაახლა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სხდომაზე განცხადებით გამოვიდა. მისი თქმით, საქართველოს მხარემ რუსეთის შესაბამის უწყებას არაერთხელ მიმართა, რათა აღეკვეთათ რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდის შემოდინება. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნულ მიმართვას მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, პირიქით, უკანონო ტვირთების გადმოზიდვის პროცესი სულ უფრო აქტიური და უმართავი ხდება. ნინო ბურჯანაძის აზრით, აღნიშნულ საკითხს მომავალ სასესიო კვირაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

პლენარულ სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. კანონპროექტი „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა წარმოადგინა, ეს კანონპროექტი მიზნად ისახავს ზღვაზე ნებისმიერი მოქმედების უზრუნველყოფას ადამიანების, გემებისა და ქონების გადასარჩენად, ასევე შეძლებისდაგვარად აწესრიგებს ზღვის ნავთობით და მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შემთხვევებს. მინისტრის მოადგილის განმარტებით, კანონპროექტში გათვალისწინებულია ყველა წარმოდგენილი შენიშვნა და წინადადება. მუხლობრივი განხილვის შემდეგ აღინიშნა, რომ კანონპროექტი მზადაა მეორე მოსმენით მისაღებად.

იხ. მე-2 გვ.

თარიღი

# შვიდი თვე და ოთხი შეხვედრა — ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობით



გამაერთიანებლები — ჰანს დიტრიხ გენშერი და ედუარდ შევარდნაძე.

ხუთშაბათს, საქართველოს პრეზიდენტი ერთდღიანი ვიზიტით ეწვია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამჟამად ბერლინში და მთელს გერმანიაში მიმდინარეობს „გერმანული ერთობის“ ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები. თუმცა, მხოლოდ „ზეიმით“ ამ ქვეყნის საზოგადოება, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება — მას აინტერესებს, გაერკვეს მოვლენათა არსში, შეისწავლოს შინაგანი პოლიტიკური მექანიზმები, რომელთა მოქმედებამ განაპირობა დიდი ეროვნული მიზნის მიღწევა, განსაზღვროს ისტორიული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და საბოლოოდ დაადასტუროს მიზანშეწონილობა და გენიალურობა იმ სტრატეგიის, იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდმა კონრად ადენაუერმა და ლუდვიგ ერჰარდმა საფუძვლად დაუდეს ახალ, დემოკრატიულ გერმანულ სახელმწიფოს.

### როდის განიხვნა ბრანდენბურგის კარიბჭე?

ამიტომ მსჯელობა და დისკუსია 10 წლის წინანდელ მოვლენებზე გერმანელებისთვის სრულებითაც არ არის მხოლოდ „ისტორიულად საინტერესო თემა“ — იგი კვლავაც აქტუალურია სწორედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. გარდა ამისა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული გერმანიის ადგილის, როლისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის თანამედროვე, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, რომელშიც გლობალიზაციის შინაარსს არა მხოლოდ ტექნოლოგიები, არამედ მსოფლმხედველობრივი იდეები და მათი მეშვეობით, მათი წყალობით განხორციელებულ მოვლენათა დომინანტები განსაზღვრავს. „გერმანული ერთობა“ ერთ-ერთ ასეთ დომინანტად იქცა, ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, თუ უდიდესი კულტურის, შეიძლება ითქვას, მთელი ცივილიზაციის შემოქმედი ერი დროთა განმავლობაში არათუ ნაკლებად, არამედ სულ უფრო და უფრო მეტად დაინტერესდება 1989-1990 წლებში განვითარებული დრამატული პროცესებით, რომელთაც განსაზღვრავს დიდი გერმანელი ერის თანამედროვე, დემოკრატიული, ფედერაციული სახელმწიფოს განვითარების ვექტორი — III ათასწლეულში.

იხ. მე-2 გვ.



რამდენიმე წამი და დაიწყება ტელეპროგრამა, რომელსაც მთელი გერმანია უყურებს.

შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

1. 2000 წლის 25 სექტემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში, ასოციაცია „ქართული ხმების“ მიერ ორგანიზებული, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის გამართული საქველმოქმედო კონცერტიდან (ორგანიზატორები: ნინო ჭავჭავაძე, ვახტანგ მამალაძე, თემურ ჭკუასელი, ზურაბ ლოლაძე) შემოსული თანხა – 2575 ლარი;
2. ნანული კამკამიძე – 22 ლარი;
3. მერი უნდიკაშვილი – 6 ლარი.

პოეზია

რეზო ამაშუკელი

## ვითარც წერს ორბელიანი

„თამარის დროშა გაშალეს“...
გრიგოლ ორბელიანი.

დრო იყო, შირვან-რანიდან
ოდენ ბასიან-სპერამდე,
რანაირი და
რანი და
ურმანი სატევარს ფერავდნენ!

— მომხდურის წესის ამგები
და ერთმანეთის გამტანნი!
... და კვნესდნენ ათაბაგები
„შემხვეწნი ფერხთა მათთანი“...

ისვრიან შხეფებს ლალისას
თამარის იამბიკონი!
გულს მაწერია ხვალისად
იმავ გრიგოლის სტრიქონი: —

— „ოსი, ფეხმარდი მთიული,
ბრძოლაში შეუპოვარი...“
— სად გაქრა გონი ხვთიური,
რატომ გვაქეზებს მტოვარი?!.

მუმუმტე, ცოდვის ჩამდენი,
მარლვს თავად გადაიხსნიდა!
— ვაი, მამულო, რამდენი
„დათვრნეს ისარნი სისხლითა“...

ჩემს სასმლოს შენი შვენოდა
ვერცხლით ნაქარგი გვირისტი...
ომს მიმავალი მღეროდა
ძმაი
ძმის გასაჭირისთვის!

თუ მტრობას გავჭედთ ხუნდებად,
არც ვინ დავრჩებით გაისად,
საფლავში გადაბრუნდება
ასული ბურდუხანისა!

ეხილოს შვების სადარი
მამულს, დაღლილს და გათელილს,
ერთ საწნახელში ჩამდგარი
ოსი,
აფხაზი,
ქართველი!

ენახოს ამომირკვული
თაფლის შემრყვნელი იელი,
ჩემზე მოსული დიდგული
უცხო და გადამთიელი!

იქნებ კვლავ ამოღაღანდეს
სამშობლოს ცაზე ირისე!
იქნებ ერთხელაც დაქალდეს
საქართველოში პირიმზე!

სად ყვავილთ ფშვინვა, ვაზის და
ყანის წკრიალი მიმოდის,
მდიდარი ფარნავაზითა,
ამაყი წმინდა ნინოთი!

კვლავ მოვაგონოთ მოქიშპეს,
რარიგ ვიყავით მთლიანნი!
და ისევ დავდგეთ დროშის ქვეშ,
ვითარც წერს ორბელიანი!

1992 წლის 11 ივნისი.

გიხაროდენ!

## ბაჩანა რობაქიძე ზოვრეთში დაბრუნდა



ორი წლის წინ შექმნეს ოჯახი მცხეთელმა მაია გოგიაშვილმა და ზესტაფონელმა ბესო რობაქიძემ. ახალგაზრდა ოჯახი პირველ შვილს ელოდა.

ახდა მათი ოცნება. მცხეთაში, სიდედრსიმამრთან ჩამოსულ სოფელ ზოვრეთის საკრებულოს თავმჯდომარეს ბესო რობაქიძეს მოსამშობიარებლად მეუღლის მიყვანა დილმის სამშობიარო სახლ „ორიონში“ მოუხდა. გოლიათი ბიჭუნა დაიბადა. დაარქვეს ბაჩანა. მაია ამ სამშობიარო სახლის მედპერსონალის მომსახურებით მადლიერია.

ბებიამ და პაპამ ზეინაბ და ჯუმბერ გოგიაშვილებმა შვილიშვილის შეძენით გაიხარეს. ოჯახში გვარის გამგრძელებლის შემომატებით ზესტაფონის სოფელ ზოვრეთშიც ზეიმი აქვთ: ბაჩანა მამისეულ სახლში დაბრუნდა.

**სიხარული არ მოგკლებოდეთ!**

ჩვენი ტელეფონებია:
93-34-04; 99-73-24.

ინფორმაცია

### მუსიკა სითბოში

ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ევროკავშირის ტაისის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდება ბუნებრივი გაზით გათბობის სისტემის მოდერნიზება.

როგორც პრაიმ-ნიუსს თეატრის დირექტორმა ზურაბ ლომიძემ უთხრა, ბუნებრივ გაზს ქალაქის მერია შემოიტანს, ხოლო მოხმარებული საწვავის საფასურს ბრიტანული კომპანია „შევრონის“ საქართველოს წარმომადგენლობა გადაიხდის.

### ზენორმატიულად გადახრილთათვის

თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ირაკლი მეძმარიაშვილმა და როსტოვის ფირმა „სტროიტელის“ წარმომადგენელმა იური პანასიუკმა გუშინ თბილისის მერიაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ზენორმატიული გადახრების მქონე შენობების გასწორება-გამაგრების დანადგარ-მოწყობილობების იჯარით გადმოცემას ითვალისწინებს.

დანადგარები თბილისში გოთუას ქუჩასა და მუხიანის მეოთხე მიკრორაიონში გადახრილი სახლების გასწორება-გამაგრებისას უკვე გამოიცადა.

### კიდევ გავა, კიდევ დაიშლება

საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ავთანდილ ნაფეტვარიძის განცხადებით, საქართველოს პრეტენზიები რუსული მხარისადმი გუდაუთის სამხედრო ბაზას უკავშირდება, საიდანაც ჯერჯერობით არ დაწყებულა ზედმეტი შეიარაღების გატანისა და ბაზის დემონტაჟის პროცესი.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნაფეტვარიძემ განაცხადა, სამხედრო თემაზე საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე, რომელიც ოქტომბრის მეორე დეკადაში თბილისში გაიმართება, ერთ-ერთ საკითხად გუდაუთის ბაზის პრობლემა განიხილება.

მისი თქმით, მოსალოდნელია, რომ ამ მიმართულებით მეოთხე რაუნდზე პროგრესი მიიღწევა და წლის ბოლომდე შეიარაღება გავა, ხოლო მომავალი წლის ივლისამდე ბაზა დაიშლება.

### ქართული კულტურის აღმავლობისთვის

გუშინ საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე შეხვდა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის წევრებს და მასმედიის წარმომადგენლებს, რომელთაც წარუდგინა კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტი.

— ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის შეცვლამ წარმოქმნა კულტურის დროის შესაბამისი განვითარების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა, — აღნიშნა სესილი გოგიბერიძემ, — რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ახალ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კულტურის სფეროში.

გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ, რომელშიც, უმთავრესად, მოცემულია კულტურის განვითარების კონცეფციის თეორიული ასპექტები.

### ეს უვიზო რეჟიმი...

საქართველოს სურს შეინარჩუნოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი რუსეთის ფედერაციასთან, რის თაობაზეც ქართულმა მხარემ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ახალ ელჩს საქართველოში ვლადიმერ გუდევს სათანადო ნოტა გადასცა.

ოფიციალურმა თბილისმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის შენარჩუნებული იყოს უვიზო მიმოსვლა.

### ჯერჯერობით ვაკვირდებით

საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის ორი წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში უკრაინის ქალაქ უჟგოროდთან გამართულ მაშველების საერთაშორისო სწავლებაში. როგორც პრაიმ-ნიუსს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტში უთხრეს, 12 ქვეყნის მაშველები წყალდიდობის დროს საჭირო მოქმედებებს ამუშავებდნენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

აქცენტი

## ავტორის ნებით „გაოპოზიციონერებული“ თავმჯდომარე?!

### ანუ როდესაც აზრა სხვაა, საქმე კი – სხვა

> საქართველოში მართლაც არსებობს გარკვეული ჯგუფები, კლანები, მიდის გარკვეული ინტერესების ლობირება, მაგრამ ყოველივემ ისტერიის ხასიათი მიიღო და ნებისმიერ საკითხს ცდილობენ ან კლანის, ოჯახის ან პრეზიდენტის სახელი მიაწერონ.

ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენთან გაზეთები მართლაც ახალ ნაწვიმარზე სოკოებივით რომ მომრავლდა, არახალია, ძველია.

ისიც არახალია, რომ ამ ახალი გაზეთების ჟურნალისტებს „ძველი“ გაზეთებისა და კოლეგებისა ბევრი არაფერი მოსწონთ და მხოლოდ თავისებურად, „ახლებურად“ მუშაობენ.

თუმცა, ჩემი დაკვირვებით, ხელაღებით არ უარყოფიათ ყველაფერი ძველი და „სიძველისადმი გრძნობა, პატივი“ ერთი ძველი ჟურნალისტური სენტენციის ერთგულებით მათში ახლაც „ოდნავ მაინც ელვარებს“ – ჟურნალისტებისთვის კარგად ნაცნობი ერთი ფრთიანი ფრაზა მაქვს მხედველობაში: გაზეთი მაკეტმა უნდა გადაგამღევინოს, მასალები კი სათაურმა წაგაკითხოს.

იხ. მე-2 გვ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +10+15; დღისით +12+17.
მთაში: ღამით +6+11; დღისით +9+14.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +7+12; დღისით +14+19.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +8+13.

თბილისში
ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, ღამით ნისლი.
ღამით +10+12; დღისით +17+19.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

30 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლ. | 1 | 2.8683 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.8833 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.7275 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 ლარი. |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ჩვენს კორპუსში უკვე დაიწყეს მრიცხველების გარეთ გატანა. გთხოვთ გაგვარკვიოთ, ვინ უნდა გადაიხადოს, მერიამ თუ მოსახლეობამ ლიფტისა და სადარბაზოების განათებისათვის გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება?

მ. ბოზსაძე,
ნ. სხირტლაძე
და სხვ. თბილისი.

— როგორც ქალაქის მერიის ენერგეტიკის მარეგულირებელი სამსახურიდან გვაცნობეს, ლიფტისა და სადარბაზოების განათების დროს დახარჯული ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადონ მობინადრეებმა სპეციალურად დაყენებული მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:
93-16-90, 93-28-54.

უკანასკნელ საათს



იუგოსლავიის ოპოზიცია ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდებს ბელგრადის მთავარ მოედანზე თავშეყრისკენ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ, რათა აიძულონ სლობოდან მილოშევიჩი, გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან.

საპროტესტო აქციები უკვე დაიწყო რამდენიმე დიდ ქალაქში.

გაეროს სანქციების მიუხედავად ბაღდადის აეროპორტში დაეშვა იემენის თვითმფრინავი ჰუმანიტარული ტვირთით.

ინტერპანორამა

გუშინ იერუსალიმში ისრაელის პოლიციისა და პალესტინელების შეტაკებისას სულ მცირე 4 ადამიანი დაიღუპა. ბევრი დაიჭრა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა პალესტინელები ძალადობაში დაადანაშაულა.





წუხელ ჰეიდარ ალიევი ბაქოს დაბრუნდა. — ვისაც ადრე მარხავენ, ის დიდხანს ცოცხლობს, — განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

ჩეჩნეთის სამხედრო კომენდანტმა ივან ბაბიჩევმა გუშინ განაცხადა, რომ ფედერალურმა ძალებმა უკვე შეასრულეს თავიანთი მისია და რესპუბლიკაში მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს 42-ე დივიზია დარჩება.



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 263. შაბათი, 30 სექტემბერი, 2000 წელი.

## თარიღი

# შვიდი თვე და ოთხი შეხვედრა — ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობით

(პირველი გვერდიდან)

ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობა დღევანდელ განხილვასა და სჯა-ბაასში (ვიმეორებ, არა იმდენად ზეიმსა და ცერემონიებში, რასაც, როგორც თავად დარწმუნდით, გერმანელები პირველხარისხოვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ), ყოვლად აუცილებელი იყო. ამის გარეშე საზოგადო დისკუსიას იმდენად ღირებული ფაქტორი დააკლდებოდა, რომ არც თვით განხილვა, არც ამ პროცესის შემდგომი განვითარება სრულფასოვანი არ იქნებოდა, გერმანელებს ეს შესანიშნავად ესმოდათ. ამიტომ, ცნობილი გერმანელი ტელეჟურნალისტი, ყველაზე პოპულარული პოლიტიკური „ტოკ-შოუს" ავტორი, ქალბატონი საბინა ქრისტიანზენი, ვინც ბერლინში, 28 სექტემბერს „2+4" ფორმულით ათი წლის წინათ შეთანხმებული ექვსივე საგარეო საქმეთა მინისტრის ხელახლა შეკრებას ცდილობდა საჯარო დისკუსიის გასამართავად, შეაცბუნა თბილისიდან თავდაპირველად მიღებულმა უარმა, უფრო ზუსტად, ერთგვარმა შეშფოთებამ იმის გამო, რომ საქართველოში შექმნილი საბიუჯეტო ვითარების გათვალისწინებით, პრეზიდენტს, შესაძლოა, არ ჩაეთვალა მიზანშეწონილად კერძო ვიზიტის გამართვა გერმანიაში, თუნდაც ისეთ დისკუსიაში მონაწილეობის მისალებად, რაც, აკი მოგახსენეთ, მოკრძალებით ჩემი აზრი, — დიდი მნიშვნელობა ექნებოდა „იდეათა გენერირების" იმ პლანეტარული პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, რის თაობაზეც ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე დღით ადრე ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამდენად, ყველა ხარჯი ვიზიტთან დაკავშირებით (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფალთა ჩარევის შედეგად, მან სამუშაო ხასიათი შეიძინა) გერმანულმა ტელეკომპანია „არდ"-მ გაიღო, მათ შორის, წარსულში ცნობილი ავსტრიელი ავტომრბოლელის ნიკი ლაუდას ფირმის თვითმფრინავის ჩათვლით, რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში საქართველოს პრეზიდენტის გერმანიაში გასამგზავრებლად.

ამ მომენტს, ალბათ, საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი, მავანთა საგულისხმოდ, რათა ქილიკისა და მხამიანი ქარაგმების საშუალება არავის მიეცეს.

სამწუხაროა, თუ პოლემიკური ტონალობა იმთავითვე გაერია ჩვენს რეპორტაჟს, მაგრამ უთქმელობაც აღარ ეგების. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ვიზიტი საქართველოს ხარჯითაც რომ გამართულიყო, თანხა გაცილებით ნაკლები იქნებოდა (სხვას ყოველივეს თუ დავივიწყებთ კიდეც), ვიდრე ის დახმარება, რაც ედუარდ შევარდნაძემ თავის ქვეყანას ამ ერთდღიანი ვიზიტის შედეგად „ჩამოუტანა". რაკი „იდეები", „მსოფლიო ავტორიტეტი", „გლობალური მნიშვნელობის მქონე საზოგადო დისკუსიაში თანასწორი მონაწილეობა" ზოგიერთს შესაძლოა „აბსტრაქტულ არგუმენტებად" მოეჩვენოს, — მხოლოდ მატერიალური სიკეთის დასახელებაც კმარა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან, გერჰარდ შრიოდერთან, საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრისას გადაწყდა, რომ გერმანია საქართველოს დამატებით დაეხმარება 2 მილიონ 700 ათასი მარკით — ძირითადად გვალვის შედეგების შესარბილებლად. თანაც, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის კოტე გაბაშვილის ინფორმაციით, თავდაპირველად (ექსპერტთა დონეზე მოლაპარაკებისას) საუბარი იყო 1 მილიონ მარკაზე, მაგრამ თანხა თითქმის გასამმაგდა შევარდნაძე-შრიოდერის პირისპირ საუბრის პროცესში.

ნუთუ საქართველოში აღმოჩნდება თუნდაც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი (განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა), ვინც არ დაგვეთანხმება, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყნის ლიდერები, შეიძლება, წლობით იღვწოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან პირისპირ შესახვედრად, ამ დიდი, ძლიერი და მდიდარი ქვეყნის ხელმძღვანელთან, იმ პრობლემათა განსახილველად, რაც პატარა, სუსტ, განვითარებად სახელმწიფოს აწუხებს?

საქართველოს კი აქვს შესაძლებლობა, ჰყავს ლიდერი, რომელსაც 1999 წლის ოქტომბერში, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უპრეცედენტო შეხვედრა მოეწყვეს ბერლინში, შემდგომ გერმანიის ფედერალური კანცლერის სენსაციური ვიზიტი საქართველოში (გამაოგნებელი ფაქტია, რომ ამ ვიზიტამდე ფედერალური კანცლერი ბალტიის ქვეყნებშიც კი არ იყო ნამყოფი, სადაც „ტრადიციული" და „ბუნებრივი", ისტორიულად არგუმენტირებული იქნებოდა გერმანიის აქტიურობა) და ბოლოს, 28 სექტემბრის ვიზიტი ბერლინში, მიღება უმაღლეს დონეზე, ახალი პროექტები, გულუხვი დახმარება, პოლიტიკური მხარდაჭერა, პრეზიდენტისადმი დადასტურებული პატივისცემა, რაც არა ოდენ პიროვნული, არამედ პოლიტიკური და, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივი ფაქტორია, ვინაიდან ქვეყნისადმი პატივისცემასაც უეჭველად გულისხმობს, — ქვეყნის მხარდაჭერასაც განაპირობებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ნურც ის ეგონება ვინმეს (კვლავ ბოდიშს ვუხდი კეთილგანწყობილ მკითხველს უნებლიე პოლემიკური ტონისათვის), რომ ედუარდ შევარდნაძე ბერლინში მიიღეს (ან ადრე იღებდნენ), როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, — დღეს დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი.

სინამდვილეში, ედუარდ შევარდნაძეს „ოფიციალური ბერლინი" და ამ ქვეყნის ისტებლიშმენტი აღიქვამს სწორედ, როგორც საქართველოს პრეზიდენტს (უპირველესად) და იმ პიროვნებას, ვინც, შესაძლოა, არა გადამწყვეტი (მიხეილ გორბაჩოვის წვლილის გათვალისწინებით), მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი და გორბაჩოვის შემდგომ ყველაზე მეტად ფასეული წვლილი შეიტანა „გერმანული ერთობის" განხორციელებაში. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ გასულ წელს გერმანიის პრეზიდენტმა ჯერ ედუარდ შევარდნაძეს მიანიჭა „დიდი ჯვრის ორდენი" (ვინაიდან იგი მოქმედი პოლიტიკოსი და სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტია), ხოლო მიხეილ გორბაჩოვს, აგრეთვე დამსახურებულად, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით.

გარდა ამისა, გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა და პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს ლიდერს არა მხოლოდ წარსული დამსახურებისათვის, არამედ იმ წვლილისათვისაც, რაც ჩვენს პატარა, მაგრამ უკვე არა უმწეო ქვეყანას შეაქვს ახალი ევროპული და გლობალური არქიტექტურის რუდუნებით მშენებლობაში. ამ ახალი, ბრწყინვალე შენობის საძირკველიც ხომ მაშინ „ჩაიყარა", როდესაც ისტორიულად გადაწყდა ფაშისტური უგონობის და კომუნისტური ძალადობის შედეგად დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანება. დღევანდელი გეოპოლიტიკური პრიორიტეტებიც, „ახალი აბრეშუმის გზა", „ევრაზიული დერეფანი", საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია და მსოფლიო-ისტორიული მისია, — სწორედ იმ ეპოქალური „გეოტექტონიკური" ძვრიდან იღებს სათავეს, თანამდევი სასიკეთო შედეგებით ჩვენი სამშობლოსათვის, რაც ყოველ ჭეშმარიტ ქართველს, უპირველესად, ახსოვს და რაც იგი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს „დიდ მდინარეთა" პირს მუშაკობისას.

საქართველოს გარეშე ამ გლობალური პროექტების განხორციელება დღეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც განუყოფელია ედუარდ შევარდნაძის სიტყვა და საქმე იმ მოვლენებთან, იმ დაუვიწყარ, კეთილშობილი რწმენითა და იმედით აღსავსე ეპოქასთან, როდესაც ემხობოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი იმპერია და განთავისუფლებული ერები (მათ შორის, საქართველო) დამოუკიდებლობის მრისხანე განსაცდელს უსწორებდნენ მზერას.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის გარდა, ღონისძიებებში (მათ შორის, ტელეკომპანია „არდ"-ს ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაში, მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაგლას ჰერდი და ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლოთარ დემეზიერი. ქართველ ტელემაყურებელს უახლოეს დღეებში ექნება საშუალება დარწმუნდეს: ედუარდ შევარდნაძე ამ ლონისძიების ცენტრალურ ფიგურად იქცა, იგი თავიდან ბოლომდე ფლობდა დისკუსიის სადავეს და სიამაყით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი რაფინირებულ ევროპელ არისტოკრატთა, დახვეწილ ორატორთა და გამობრძმედილ დიპლომატთა იმ გარემოცვაში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ღირსეულად. თანაც ეს არ ყოფილა მხოლოდ წარსული „პოლიტიკური კაპიტალის" გამოყენება, როგორც იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელზეც (აკი ითქვა კიდეც ყოველგვარი ჰიპერბოლიზების გარეშე) „100 პროცენტით" იყო დამოკიდებული გერმანული ერთობის" ბედი. ეს „კაპიტალი", რა თქმა უნდა, თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ იგი უეჭველად „გახუნდებოდა", რომ არა ედუარდ შევარდნაძის პიროვნული თვისებები, თუ გნებავთ, მისი სუბიექტურობა (აქ დადებითი აზრით), მკაფიო არგუმენტირების უნარი და ის ფაქტორიც, რომ 1989-1990 წლებში საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოში არსებული ვითარება შესაძლო პოლიტიკურ პერსპექტივათა იმდენად ფართო სპექტრს მოიცავდა, — პიროვნულ დამოკიდებულებასა და სუბიექტურ გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული „ფასი" და დატვირთვა ენიჭებოდა. ისტორიაში ხშირია ასეთი მომენტები, როდესაც ობიექტურ პროცესთა შინაგანი წინააღმდეგობა იმთავითვე ზრდის პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობას.

საკმარისია თუნდაც რამდენიმე შტრიხი იმდროინდელი პლანეტარული სიტუაციის გასახსენებლად. საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებმა, მათ შორის, 9 აპრილის ტრაგედიამ უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა „რეაქციონერებსა" და „რეფორმატორებს" შორის საბჭოთა ისტებლიშმენტში. რასაკვირველია, 9 აპრილი მხოლოდ ერთ-ერთი მოვლენა იყო, მაგრამ მან ორმხრივად მნიშვნელოვანი არგუმენტის ფუნქცია შეასრულა, ერთგვარი ფსიქოლოგიური „ძალის გამოყენების კომპლექსიც" უეჭველად შექმნა და ხსენებული სუბიექტური ფაქტორიც გააძლიერა. ამ თვალსაზრისით, საქართველოში მიმდინარე პროცესები კვლავ შეერია გლობალურ დინებებს როგორც „მაკროპოლიტიკურ", ასევე, პიროვნულ დონეზე, თავისთავად ეს ძალზე საინტერესო, მაგრამ მაინც სხვა საუბრის თემაა.

1989 წლის შემოდგომაზე გაჩნდა პირველი, ჯერ ვირტუალური და სიმბოლური „ბზარი" ბერლინის კედელზე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომელმაც ჰელსინკის „თათბირის" მოთხოვნები მოიშველია არგუმენტად, საკუთარ საზღვრებზე გაატარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე ათასი მოქალაქე, ავსტრიის გავლით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ეს იყო კრიტიკული მომენტი — ხანგრძლივად ნაგროვები ზვავის გრგვინვა, ერთბაშად რომ გადასძლევს წინაღობის მასას და ფერდობისაკენ დაექანება, მაგრამ თვით ეს კოლოსალური ენერგია ხომ ათწლეულობით გროვდებოდა? რამ მისცა მას თვითგამოვლენისა და რეალიზების საშუალება? როგორ მოირღვა უხეში, დაუნდობელი ძალისადმი შიშისა და სიფრთხილის „კედელი", იგი ხომ 1961 წელს ქვით აგებულზე არანაკლებ მტკიცე იყო?

მანამდე კი იყოს ის, რომ საბჭოთა ელიტაში დაპირისპირებამ კულმინაციის მიაღწია.

მაგრამ მაშინ, კრიტიკულ მომენტში, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო არა ისტორიის ბორბლის შეტრიალება, არამედ ზღვა სისხლის დაღვრა და „შიშის კედლის" შენარჩუნება, პერესტროიკის ინიციატორებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს იმით, რომ იმ დროისთვის შეძლეს საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი და ინტელექტუალური ტრანსფორმაცია, დაამსხვრიეს ძველი სტერეოტიპები, გასაქანი მისცეს თავისუფალ აზრსა და პიროვნულ არჩევანს.

ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, გერმანიისა და ევროპის გაერთიანების უმთავრესი ფაქტორი, რის გარეშეც იგი ვერ შედგებოდა, იყო „გარდაქმნა" და ღრმა შინაგანი ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირში. „იდეოლოგიური გარღვევა" (საქართველოს პრეზიდენტის თქმით), რომელმაც შესაძლებლად აქცია შეუძლებელი, ეგრეთ წოდებულ „კლასობრივ მიდგომათა" უარყოფა და უზენაეს საერთო-საკაცობრიო ღირებულებათა აღიარება.

და კვლავაც, ნურავინ დააკნინებს აქ სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას: საბჭოთა (უპირველესად, რუსულ) საზოგადოებაში იმ დროს მიმდინარე „ცივი სამოქალაქო ომის" დროს განსაკუთრებული შინაგანი რწმენა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო ამ პოზიციის დასაცავად, ვინაიდან, შევარდნაძის თქმითვე, მეორე მხარეს იდგნენ „რეაქციონერები", მაგრამ არც თუ სუსტნი, უნიათონი, უმეცარნი და უნიჭონი. მათ დამარცხებას უდიდესი პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა სჭირდებოდა.

მეორე ფაქტორი, რასაც ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ბერლინში, იყო თვით გერმანელი ხალხის, განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დაუოკებელი სწრაფვა სამშობლოს გამთლიანებისაკენ. სულისკვეთება, რომელსაც წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა. სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენათა შემდეგ, როდესაც რეფორმატორთა ძალისხმევით, ადამიანთა სულებში „შიშის კედელი" მოირღვა, მხოლოდ „დროისა და ვითარების" საკითხიღა იყო ბერლინის საზარელი კედლის დანგრევაც — ათი ათასობით ახალგაზრდამ სიხარულის ყიჟინით რამდენიმე საათში მოსპო მავთულხლართების ჯაჭვი დედაქალაქის გარშემო, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს უმალვე გაიღო ბრანდენბურგის დიდი კარიბჭე და საბოლოოდ გადაწყდა გერმანიის გაერთიანება. პირიქით, სუვერენული გერმანიის აღდგენის პროცესი მაშინ არათუ დასრულდა, არამედ მხოლოდ დაიწყო, ვინაიდან აუცილებელი იყო XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიოსა და ევროპის გეოპოლიტიკურ რეალიებთან „ახალი გერმანიის" ინტერესთა შეხამება, მისი ღირსეული ადგილის განსაზღვრა, დიდ სახელმწიფოთა გრძელვადიან ინტერესთა გათვალისწინება, მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკურ-სამხედრო თუ იურიდიული შედეგების „ამოწურვა", ახალი სისტემების შექმნა, ევროპული და გლობალური ორგანიზაციების შესაბამისი ტრანსფორმაცია და ა. შ. და ა. შ.

აი, ამ ურთულეს პროცესში, როდესაც ყოველივეს წყვეტდა არა ემოცია, არამედ ცივი, პრაგმატული, გარკვეულწილად ცინიკური გათვლა, უდიდესი, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა პიროვნულ ნიჭსა და გამჭრიახობას. მსოფლიო ხომ მორიგი მსოფლიო ომის ზღვარზე ტორტმანებდა? გავიხსენოთ: საბოლოო დოკუმენტს გერმანიის გაერთიანების შესახებ 1990 წლის 12 სექტემბერს მოეწერა ხელი, მაგრამ მანამდე (1990 წლის ზაფხულში) ერაყის დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა დაიპყრო ქუვეითი. შეიქმნა გეოპოლიტიკური პრობლემა, რომლის გადაწყვეტა სრულად გამორიცხული იყო ძალის გამოყენების გარეშე. არადა ეს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობს „ვარშავის სამხედრო ბლოკი", არსებობს საბჭოთა კავშირი მთელი თავისი სამხედრო ძლევამოსილებით, ხოლო ევროპაში გრძელდება ცხარე დისკუსია გერმანიის გაერთიანების თაობაზე. ჯეიმს ბეიკერმა გულწრფელად აღნიშნა კიდეც: „თუ ჩვენ მაშინ (1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში) ვერ შევძლებდით საბჭოთა კავშირთან (შევარდნაძესთან) მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანების თაობაზე — შესაძლოა, შემდგომში საამისოდ ვეღარც მოგვეცალა".

უფრო მეტიც, ედუარდ შევარდნაძის გამონათქვამები ნათელჰყოფს, რომ დაძაბულობის ამ ორ ველს შორის პლანეტაზე უშუალო კავშირი არსებობდა, ანუ დაძაბულობის მოხსნა ერთგან კეთილისმყოფლად იმოქმედებდა მეორე რეგიონზე და პირიქით.

იყო კიდევ ერთი მოტივაცია: ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით, მის ფრანგ და ბრიტანელ კოლეგებს ქარაგმულად უსაყვედურეს, რომ მათი ქვეყნები ერთგვარი სიფრთხილითაც კი ეკიდებოდნენ ევროპის ცენტრში გაერთიანებული გერმანული სახელმწიფოს დაფუძნების პერსპექტივას. რა იყო ეს? ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება, თუ შიში ეკონომიკური „ევროზესახელმწიფოს" წარმოშობისადმი? თუმცა, როლან დიუმამ და დაგლას ჰერდმა განმარტეს, რომ მათ, უპირველესად, აღელვებდათ, თვით გერმანიის, გერმანული დემოკრატიის ბედი, მისი სიმტკიცე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩართვა საერთაშორისო (მათ შორის ევროპულ) ორგანიზაციათა სისტემაში, შესაბამისი „სისტემური გარანტიების" შექმნა და ასე შემდეგ.

და ყველაზე პრინციპული საკითხი: ერთიანი გერმანიის მონაწილეობა ჩრდილო ატლანტიკურ სამხედრო კავშირში, დღეს ძალიან ბევრი „გეოპოლიტოლოგი", — ყარაღანოვები, ზატულინები, მიგრანიანები, სხვები და სხვები ბრალს სდებენ მიხეილ გორბაჩოვსა და ედუარდ შევარდნაძეს, რომ მათ არ გამორიცხეს გაერთიანებული გერმანიის, შემდგომ კი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაწევრიანება ნატოში, რომ თითქოს, შესაბამის დოკუმენტებში, უკვე მაშინ შეიძლებოდა „ამკრძალავი იურიდიული მექანიზმების" გათვალისწინება, მაგრამ, ჯერ ერთი, ჰანს დიტრიხ გენშერის განცხადებით: „ჩვენ დავეთანხმებით გერმანიის გაერთიანებას მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს იქნება ჭეშმარიტად სუვერენული სახელმწიფო, არჩევანის სრული თავისუფლებით".

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ზატულინებსა და ძმათა მისთა, ვერაფრის დიდებით ვერ შეაგნებინებ: არც ერთი დასავლელი ლიდერი არასდროს, არავითარ შემთხვევაში ხელს არ მოაწერდა ისეთ დოკუმენტს, რომელიც შეზღუდავდა აღმოსავლეთ ევროპელ ერთა (ჩეხების, პოლონელების, უნგრელების, რუმინელების, ესტონელების და ა. შ.) თავისუფალი არჩევანის უფლებას. ამგვარი კომპრომისით (კომპრომისით სხვათა დამოუკიდებლობის ხარჯზე) დასავლეთი თავად დაარღვევდა იმ საფუძველს, ფასეულობათა იმ სისტემას, რომელსაც ეყრდნობა ცივილიზაციური თვალსაზრისით.

* * *

ურთულესი, დაძაბული მოლაპარაკება „გერმანული ერთობის" თაობაზე მოიცავს 7 თვესა და 4 შეხვედრას ფორმატით 2+4. დაწყებული იმ დღიდან, როდესაც ოტავის კონფერენციაზე „უსაფრთხო ცის შესახებ" ჯეიმს ბეიკერი მიუახლოვდა ედუარდ შევარდნაძეს და პირველად წამოჭრა „გერმანული საკითხი" ასეთ დონეზე, დამთავრებული 1990 წლის 12 სექტემბრით, როცა მოსკოვში, ოთხი სახელმწიფოს ლიდერებმა, საბოლოო წერტილი დაუსვეს „გერმანული ერთობის" პრობლემას და მასთან ერთად, არა ქრონოლოგიურად და კალენდარულად, მაგრამ პოლიტიკურად თვით XX საუკუნესაც. ხომ წერდა ილია ერენბურგი — XX საუკუნე 1914 წელს დაიწყო (პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებით). ასევე შეიძლება ითქვას, რომ ეს საუკუნე გერმანიის გაერთიანებითა და ბრანდენბურგის დიდი კარიბჭის გახსნით დასრულდა.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში ედუარდ შევარდნაძის მართლაც უნიკალურ როლს ყველაზე უკეთ დაახასიათებს თვით მიხეილ გორბაჩოვი: „ორი ადამიანის, ორი მინისტრის როლი აქ სრულიად განსაკუთრებულია. ესენია ჰანს დიტრიხ გენშერი და ედუარდ შევარდნაძე. მათ პიროვნულად ძალიან ბევრი გადაწყვიტეს".

* * *

საოცარი კეთილგანწყობისა და მადლიერების გარდა, რასაც გერმანელები ჩვენი პრეზიდენტის მიმართ ამჟღავნებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სასახლეებშიც და მოედნებზეც", განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი, ჩემი აზრით, მეტად ნიშანდობლივი ეპიზოდი: ექვსივე მონაწილე ისტორიული მოლაპარაკებისა, ერთდროულად გაემგზავრა სახელმწიფო კანცელარიაში — გერჰარდ შრიოდერთან შესახვედრად, მაგრამ ფედერალური კანცლერი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ესაუბრა თავდაპირველად საკუთარ კაბინეტში. შემდგომ კი შრიოდერი და შევარდნაძე გადავიდნენ სპეციალურ დარბაზში, სადაც მათ შეუერთდნენ 10 წლისწინანდელი მოლაპარაკების სხვა მონაწილენი.

და ეს არც არის გასაკვირი: როლან დიუმა, დაგლას ჰერდი, ჯეიმს ბეიკერი, ჰანს დიტრიხ გენშერი უბრწყინვალესი პოლიტიკოსები და დიპლომატები იყვნენ, მაგრამ მათ უკვე შეასრულეს თავიანთი ისტორიული მისია. ედუარდ შევარდნაძეს კი ეს მისია არ ამოუწურავს, იგი საქართველოს პრეზიდენტია და მხოლოდ მას ძალუძს წაიყვანოს ქვეყანა იმ კალაპოტით მსოფლიო მდინარებისა, რომელიც თავად გაჭრა.

და რომლის გაჭრა, საქართველოსთვის, მხოლოდ მას შეეძლო.

**გია ლებანიძე,**
„სრ" სპეც. კორ.

ბერლინი — თბილისი.

**ფოტოები მოგვაწოდა საქინფორმის ფოტოქრონიკამ.**







## პრეზიდენტი

# საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობის საფუძველი კვლავაც ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაა

(პირველი გვერდიდან)

ენის ოქსუზმა დაადასტურა თურქეთის დაინტერესება კარწახში ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნით და აღნიშნა, რომ თურქეთის მხრიდან კარწახთან საავტომობილო გზა სრულ წესრიგშია. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, შესაძლოა წლეულს, ევროკავშირის დახმარებით, მოხერხდეს საქართველოს მხარეს 10 კილომეტრამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. შემდგომში კი გაგრძელდება მუშაობა დაფინანსების წყაროს მოსაძიებლად, რადგან ამ პუნქტის გახსნით ორივე მხარე სერიოზულად არის დაინტერესებული.

საუბარი შეეხო, აგრეთვე, ფოთი-რიზეს წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობას, რომლის განხორციელებისათვის შექმნილია საქართველო-თურქეთის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. როგორც აღინიშნა, ორივე მხარე მზად არის უახლოეს მომავალში ამ პროექტზე საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებისათვის.

თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა საქართველოს პრეზიდენტს აცნობა, რომ უახლოეს დღეებში საქართველოში შემოვა თურქეთის დახმარების პირველი პარტია, რომელიც გვალვისაგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისათვის იქნება მიმართული. ენის ოქსუზის განცხადებით, თურქეთი მადლობელია საქართველოსი, რომელიც პირველი გამოეხმაურა და შეძლებისდაგვარად დაეხმარა თურქეთს მიწისძვრის დროს და გამოთქვა რწმენა, რომ ორი ქვეყანა, რომლებსაც ღმერთმა შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა და მეზობლობა არგუნა, კვლავაც მხოლოდ ურთიერთხელსაყრელად და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით ითანამშრომლებენ.

ამასთან, თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვთ თურქულ ენაზე გამოსცენ საქართველოს პრეზიდენტის წიგნი „დიდი აბრეშუმის გზა".

# ახალი ინვესტიცია საქართველოში ნავთობის მოსაპოვებლად

საქართველოში ნავთობის მოპოვების საქმეში ამიერიდან ნორვეგიელი ინვესტორებიც ჩაებმებიან და ამ მიზნით ისინი ჩვენს ქვეყანაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიციას დააბანდებენ. ნორვეგიელი ბიზნესმენები კი საქართველოში მოიზიდა კანადურმა ნავთობის კომპანია „კანარგო ენერჯი კორპორაციონმა," რომელიც აქ უკვე რამდენიმე წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს. სწორედ ის არის ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია „ნინოწმინდის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც 1996 წლიდან ნინოწმინდაში ნავთობის მოსაპოვებლად მთელ რიგ კომპლექსურ სამუშაოებს ახორციელებს.

29 სექტემბერს „კანარგო ენერჯი კორპორაციონის" ხელმძღვანელები და ნორვეგიელი ინვესტორები მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

იმავე დღეს სტუმრები მიიღო სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა.

როგორც შეხვედრებზე „კანარგო ენერჯი კორპორაციონის" პრეზიდენტმა დევიდ რობსონმა აღნიშნა, თავად ამ კომპანიასაც საქართველოში სადღეისოდ, ინვესტიციის სახით, 30 მილიონამდე ამერიკული დოლარი აქვს დაბანდებული, რომლის მეშვეობითაც უკვე კაპიტალურად გაარემონტეს ნინოწმინდაში არსებული ძველი ჭაბურღილები; შეასრულეს სეისმური სამუშაოები სტრუქტურის გეოლოგიური აგებულების დასადგენად; გაბურღეს საექსპლუატაციო ჭაბურღილები. ყოველივე ამის მეოხებით კი მოპოვებულია 330,9 ათასი ტონა ნავთობი და 55,8 მილიონი კუბურიმეტრი გაზი.

კომპანიის საერთო სამეურნეო საქმიანობის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებს შეემატა 3335, 4 ათასი ლარი.

— ჩვენ მომავალშიც მოვიზიდავთ საქართველოში ინვესტორებს როგორც ნორვეგიიდან, ისე სხვა ქვეყნებიდანაც. მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლების დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ, რაც დიდ სტიმულს გვანიჭებს, — განაცხადა „კანარგო ენერჯი კორპორაციონის" პრეზიდენტმა.

**საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

# თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია ყველა სფეროში

(პირველი გვერდიდან)

ენის ოქსუზმა სახელმწიფო მინისტრს მადლობა გადაუხადა იმ დიდი მხარდაჭერისა და ინტერესისათვის, რომელსაც საქართველოს მთავრობა ორი ქვეყნის ტრანსპორტის უწყებათა მიერ წამოწყებული იდეებისა და საქმეებისადმი იჩენს. მისი განცხადებით, ეს ფაქტორი ორ ქვეყანაში კიდევ მრავალი ერთობლივი ურთიერთსასარგებლო სატრანსპორტო პროექტების განხორციელების საწინდარი გახდება.

— ყოველი აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად არის დამოკიდებული სატრანსპორტო სისტემის გამართულ მუშაობაზე, — აღნიშნა გიორგი არსენიშვილმა. — კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თურქეთს ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე წლებში აღმოჩენილი დახმარებისათვის, იმ მეტად ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელიც მეტად სასიკეთო აღმოჩნდა საქართველოსათვის.

**საქინფორმი.**

## კანონმდებლები

# უსაფრთხოებისათვის ხმელეთსა და ზღვაზე

(პირველი გვერდიდან)

პროექტზე „სამშენებლო საქმიანობის შესახებ" მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა ისაუბრა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს ქვეყნის პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოუდგინა, შექმნილია სამშენებლო კომპლექსის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად და ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

შესვენების შემდეგ, პარლამენტარებმა კენჭი უყარეს განხილულ საკითხებს. პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი „საქართველოს ზღვისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ". II და III მოსმენით მიიღეს კანონი „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ", ასევე, III მოსმენით მიიღეს კანონპროექტი „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ". სხდომაზე მიღებული პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმუშავებს. ამ კომისიას პარლამენტის გადაწყვეტილებით, არჩილ გოგელია უხელმძღვანელებს. დღესვე პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა ცალკეულ თანამდებობის პირთა ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც 1992 წელს ზუგდიდში გოჩა ჯიქიას მკვლელობასთან დაკავშირებულ გარემოებებს შეისწავლის. ამავე კომისიის თავმჯდომარეს მომავალ სასესიო კვირაში აირჩევენ.

ხოლო გუშინ განხილული საკითხი, 1999 წლის საფინანსო საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის დასკვნის შესახებ, რომელზეც დებატები იმ დღესვე გაიმართა, საპარლამენტო უმრავლესობის წინადადებით მომავალი სასესიო კვირისთვის გადაიდო.

ამით, 26-29 სექტემბრის პლენარული სესია დასრულდა.

## აქცენტი

# ავტორის ნებით „გაოპოზიციონერებული" თავმჯდომარე?!

(პირველი გვერდიდან)

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საკმაოდ თავისებურად, ლამის უკუღმაც კი აღუქვამთ ამ გამონათქვამის მეორე ნაწილი: დახედავ ამ გაზეთების პირველ გვერდზე აყვირებულ სათაურებს, მათი წაკითხვით გაკვირვებული, დაინტერესებული, შეშინებული თუ რომელიმე სხვანაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი გადაშლი მითითებულ გვერდს, ჩაამთავრებ წერილს და... თურმე „კუკლა" არ შემოგაჩეჩეს? „აბრაზე" აღნიშნული „სახაბაზოს" ნაცვლად „სადალაქო" არ შეგრჩება ხელში?

ფუჭსიტყვაობა რომ არ გამომივიდეს, ერთი კონკრეტული გაზეთის კონკრეტული მაგალითი მინდა მოგახსენოთ.

„ალიონში", პრესის მიმოხილვის დროსაც მოვისმინე და გაზეთ „ახალი თაობის" გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე ანშლაგად გადატარებული ერთი მასალის სათაურიც წავიკითხე — **„ზურაბ ჟვანია ოპოზიციაში გადადის".**

სიმართლე გითხრათ, როგორც საქართველოს ერთ რიგით მოქალაქესა და კეთილისმდომს, ეს არ გამხარებია — ხელისუფლებისთვის ქვეყნის მეორე პირის ოპოზიციაში ჩადგომა საერთო საქმისთვის სასიკეთო რომ არ არის, ფაქტია.

მაგრამ მაინც, ხალხნი ვართ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ჩავიკითხე მასალა და...

თქვენ გუშინ დაბრუნდით კანარის კუნძულებიდან, მკითხველო? არა?

მაშინ არც ამ მასალაშია სათაურში გაკეთებული დასკვნის დამადასტურებელი რამე.

ვისაც არ გჯერათ, ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, გაგვატარეთ, ბატონო. უფრო სწორად, წაიკითხეთ ეს მასალა და თავად დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში.

კიდევ ერთი მაგალითი, ერთი სათაური იმავე გაზეთიდან — **„ტექდათვალიერებაში პრეზიდენტის ოჯახის წევრსაც აქვს წილი".**

ღმერთმა დაიფაროს ჩვენი პრეზიდენტი, რომ იგი ვინმესგან ჩემი დასაცავი გახდეს (პრეზიდენტი თავად უნდა იყოს ჩემი, მოქალაქის უფლებების დაცვის გარანტი). საბედნიეროდ, ეს მას არც სჭირდება, მაგრამ თუ მაინც ვიტყვი რამეს, მხოლოდ და მხოლოდ — სამართლიანობისთვის.

**„პარლამენტართა ბაგედან ხშირად ფიგურირებს პარლამენტის სანათესაო კლანის ინტერესები, რომელიც ქვეყნის ინტერესებთან წინააღმდეგობაშია"!** — ასე იწყება ეს წერილი.

დაახლოებით, ალბათ, მიხვდით, რისი თქმაც სურს ავტორს.

მერე უფრო დაზუსტებით წერს პრეზიდენტის სანათესაო კლანზე და სამ პარლამენტარს სთხოვს უპასუხონ, რამდენად რეალურად არსებობს ეს პრობლემა. გაგაცნობთ მათ პასუხებს (**სტილი ყველგან დაცულია — ხ. ღ.**).

**ნოდარ ჯავახიშვილი: „ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი, თუ ეს მართლაც ასეა, რასაკვირველია, ძალიან უშლის ხელს ქვეყნის ინტერესების განხორციელებას"...**

**სანდრო ბრეგაძე: „პრეზიდენტის სანათესაოს თუ ფართოდ განვიხილავთ, დღესდღეობით შეიძლება ითქვას, არსებული ინფორმაციების გათვალისწინებით, რომელიც მასმედიით ვრცელდება, რეალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ გარკვეული საოჯახო კლანი მართლაც მართავს საქართველოს და საკმაოდ ბევრი საკითხის ლობირებაც წარმოებს"...**

დაახლოებით ისე არ არის — „ასეო, ისეო, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ არაო"?

თუმცა რატომ არაო? კიო, მაგრამ მთლად გაბედულად და პირდაპირ არაო, ისე, რიკოშეტით, ასოცირებით: **„როგორც ამბობენ ასოცირდება** (ტექდათვალიერება. — ხ. ღ.) **პრეზიდენტის ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენელთან"...**

ყოველგვარი კომენტარისგან თავს შევიკავებ და გაგაცნობთ მესამე რესპოდენტის, დეპუტატ **დავით გამყრელიძის,** ჩემი რწმენით, სავსებით სწორ და მართებულ პოზიციას ამის თაობაზე:

**„ — საქართველოში მართლაც არსებობს გარკვეული ჯგუფები, კლანები, მიდის გარკვეული ინტერესების ლობირება, მაგრამ ყოველივემ ისტერიის ხასიათი მიიღო და ნებისმიერ საკითხს ცდილობენ ან კლანის, ოჯახის ან პრეზიდენტის სახელი მიაწერონ. ამიტომ ასე პარი-პარალოს წამოძახილით და იოლად იარლიყების მიწეპებას და მიკერებას თავი უნდა დავანებოთ, ან რეალურად დავასაბუთოთ და არ უნდა მოვერიდოთ არავის, არც პრეზიდენტს, არც მის ოჯახს, არც მის რომელიმე მინისტრს, მაგრამ პასუხი უნდა ვაგოთ იმავდროულად ჩვენს უპასუხისმგებლო გამონათქვამებზეც"...**

რა შეიძლება დავამატო უკვე ნათქვამს?

მხოლოდ ერთი რამ:

როდესაც ასეთ შეუსაბამობათა გამო ასეთი გაზეთის ერთ-ერთ წარმომადგენელს უსაყვედურეს კოლეგებმა, მან გულახდილად უპასუხა:

„ასეთი სათაურებით თუ არ ავაყვირეთ გაზეთი, ტირაჟი ჩაგვიწვება"...

დიდი ანკესი აქვთ გადმოგდებული ამ ახალ-ახლებს, რომელზეც ჯერ კიდევ წამოეგება ხოლმე მკითხველი.

სამწუხაროდ.

**ხაბაზ დალაქიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ინტელსატი“




# საქართველო მსოფლიო სატელეკომუნიკაციო-სატელიტურ სივრცეში

დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო თანამედროვე პოლიტიკისა და ეკონომიკის პრიორიტეტად ინფორმაციულობას ასახელებს, უდავოა, რომ მომავალი საუკუნე საინფორმაციო ნაკადების გადაცემის საშუალებათა, კერძოდ, საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საუკუნედ გამოცხადდება. მსოფლიო საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სივრცეში, ზოგადი გლობალიზაციის ფონზე, ნელ-ნელა საქართველოც ერთვება, ამაზე, სხვა პროექტებთან ერთად, მიუთითებს საქართველოს მთავრობის, კერძოდ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ახალი ინიციატივაც, რაც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სატელიტურ ორგანიზაცია „ინტელსატში“ გაწევრიანებას.

რა არის „ინტელსატი“ და საქართველოს რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ამ ორგანიზაციის წევრობამ? ბუნებრივია, ეს კითხვები საზოგადოებრიობას აინტერესებს.

„ინტელსატი“ წარმოადგენს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სატელიტურ ორგანიზაციას, რომლის სისტემაც მოიცავს ატლანტიკას, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონების გეოსინქრონულ ორბიტაზე მომუშავე 19 თანამგზავრს.

დღესდღეობით მსოფლიოს საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების და საერთაშორისო სატელევიზიო გადაცემების ერთი მესამედი სწორედ „ინტერსატის“ მეშვეობით ხორციელდება. მასში, დაახლოებით, 150 წევრია გაერთიანებული. ამასთან, საერთაშორისო კავშირისათვის იგი თითქმის 200 ქვეყანას, ადგილობრივი კავშირისათვის კი – 45 ქვეყანას უწევს მომსახურებას.

„ინტელსატის“ მთავარი ოფისი ვაშინგტონშია განთავსებული და მისი გენერალური დირექტორი გახლავთ ირვინგ გოლდშტეინი. დღესდღეობით, „ინტელსატის“ მენეჯმენტი 80 ქვეყნის 640 თანამშრომლისაგან შედგება, ხოლო მისი საორგანიზაციო სტრუქტურა ოთხ შრეს მოიცავს. ესენია: მხარეთა ასამბლეა (რომელიც შედგება „ინტელსატის“ წევრი ქვეყნების მთავრობებისაგან და წარმოადგენს „ინტელსატის“ მთავარ ორგანოს), ხელმომწერთა კრება (რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ და სადაც ყველა ხელმომწერის წარმომადგენელი განიხილავს „ინტელსატის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ფინანსური, ტექნიკური თუ საოპერატორო ასპექტების ჩათვლით), მმართველთა საბჭო (რომელიც წარმოადგენს „ინტელსატის“ აღმასრულებელ ფრთას და იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, იგი პასუხისმგებელია ყველა გადაწყვეტილებაზე „ინტელსატის“ თანამგზავრების პროექტირების, დამუშავების, მშენებლობის, ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ) და თვით მენეჯმენტი, რომელიც ყოველდღიურად მართავს „ინტელსატის“ სისტემას.




„ინტელსატის“ წევრობა შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არის „ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის“ წევრი. ასეთ შემთხვევაში იდება ორი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება: პირველი – „ინტელსატის“ ხელშეკრულება, ანუ ხელშეკრულება მთავრობებს შორის (მათ ეწოდებათ „მხარეები“. მეორე – საოპერატორო ხელშეკრულება, ანუ ხელშეკრულება დანიშნულ სატელეკომუნიკაციო ერთეულებს შორის (მათ ეწოდებათ საოპერატორო ხელშეკრულების „ხელმომწერნი“).

აღსანიშნავია, რომ „ინტელსატში“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თითოეული წევრი ქვეყნის უფლება-მოვალეობებს და მათ წარმომადგენლობას ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ახლა, კონკრეტულად, იმ პრიორიტეტების შესახებ, რომლითაც სარგებლობს ესა თუ ის ქვეყანა, „ინტელსატში“ გაწევრიანების შემთხვევაში, კერძოდ კი, „ინტელსატის“ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი გლობალური სატელიტური სისტემის პროექტირება-მშენებლობა-ოპერირება-ტექნიკურ მომსახურებაში, ასევე „ინტელსატის“ საქმიანობასა და მენეჯმენტში, დაიცვას თავისი ქვეყნის სპეციფიკური ინტერესები საერთაშორისო კომუნიკაციების სფეროში, მონაწილეობა მიიღოს სატელეკომუნიკაციო საკითხების გადაწყვეტაში გლობალური მასშტაბით, საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებისათვის, მუდმივად იყოს სატელიტური კომუნიკაციის ტექნოლოგიური ევოლუციის საქმის კურსში, შესაბამისად მოახდინოს თავისი ქვეყნის შესაფერისი ტელეკომუნიკაციის დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება, მხარი დაუჭიროს თავისი ქვეყნის ადგილობრივ სატელეკომუნიკაციო მოთხოვნილებებს „ინტელსატის“ კოსმოსური სეგმენტის მეშვეობით.

ამასთან, „ინტელსატს“ შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა წევრისა და მომხმარებლისათვის ფართო სპექტრის ტექნიკურ, საოპერატორო და ფინანსურ დახმარებას, ასევე, „ინტელსატი“ წევრ ქვეყნებს სთავაზობს სამუშაო ადგილებს კვალიფიციური სპეციალისტებისათვის, არსებობს სხვა საინტერესო პროგრამებიც.

ყოველივეს გათვალისწინებით, ნათლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველა ის სიკეთე, რასაც საქართველოს „ინტელსატში“ გაწევრიანება და მის ხელმომწერად გახდომა მოუტანს ქვეყნის კავშირგაბმულობას. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ 2001 წლისათვის იგეგმება „ინტელსატის“ პრივატიზაცია. ეს კიდევ დამატებით სარგებელს მოუტანს საქართველოს, რადგანაც, ამით იგი მსოფლიოში აღიარებული უდიდესი კომპანიის აქციათა მფლობელი გახდება, რაც, თავისთავად, დამატებითი დივიდენდებისა და შემოსავლების სტაბილური წყაროა.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, კერძოდ: რადგან „ინტელსატის“ პრივატიზება 2001 წლისთვისაა დაგეგმილი, მისი წევრად გახდომის ვადაც შეზღუდულია და შესაძლებელია მხოლოდ ამა წლის ოქტომბრის ბოლომდე. აღნიშნული გარემოება ნათლად მიგვითითებს „ინტელსატში“ საქართველოს დროულად გაწევრიანების აუცილებლობაზე.

ამჟამად, საქართველო „ინტელსატში“ წარმოდგენილია შემდეგი სახით: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო არის ე. წ. „სათანადოდ უფლებამოსილი ერთეული“, რომელსაც შეუძლია სხვა ოპერატორებსა და კომპანიებს გაუკეთოს დელეგირება „ინტელსატის“ მომხმარებლად გახდომაზე. შესაბამისად, საქართველოდან „ინტელსატს“ ჰყავს ოთხი ე. წ. „დანიშნული მომხმარებელი“: „საქართველოს ტელეკომი“, „ეგრისი“, „საქართველოს რადიო“ და „კავკასიის ციფრული ქსელი“.

რაც შეეხება გაწევრიანების საკითხს... როგორც უკვე ვთქვით, ვადები შეზღუდულია და დაუყოვნებლივ ქმედებას მოითხოვს. ასეთ პირობებში გაწევრიანებისათვის საჭირო საშუალებებისა და გზების მოძიება-დაზუსტების მიზნით, საქართველოს დელეგაცია 19-24 სექტემბერს ესწრებოდა „ინტელსატის“ მიერ საფრანგეთის ქალაქ მონდელიეში გამართულ ევროპისა და დსთ ქვეყნების კონფერენციას.

დღესდღეობით, დაზუსტებულია „ინტელსატის“ ხელმომწერის სტატუსის მიღებისათვის საჭირო ყველა დეტალი. მოლაპარაკება შემდგარია და მიმდინარეობს გაწევრიანების პროცედურები: გაგზავნილია წერილები შესაბამის სტრუქტურებში, კერძოდ, იუსტიციის, ქონების მართვის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებში. ასე რომ, ყველა დიპლომატიური სამსახურის წარმატებით გავლის შემთხვევაში, საქართველოს შესაძლებლობა ექნება გახდეს მსოფლიო სატელეკომუნიკაციო სატელიტური სივრცის სრულუფლებიანი ერთეული.

**საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.**

## სტატისტიკა

# რეფორმის მოლოდინში



სამეწარმეო სტატისტიკაში მოსალოდნელია რეფორმა, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამიტომაც ამ დღეებში სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან. მასში მონაწილეობდნენ სამინისტროების, უწყებების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლები და მეწარმეები.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება ხდება. ბუნებრივია რეფორმები შეეხება სამეწარმეო სტატისტიკასაც, რადგან სამეწარმეო სტატისტიკა აირეკლავს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას. ფუნდამენტურმა რეფორმამ ბუღალტრულ აღრიცხვაში სამეწარმეო სტატისტიკის მეთოდოლოგიის არსებითი ცვლილება განაპირობა. ამჟამად ქვეყანაში საკმარისად მასშტაბური ღონისძიებები ხორციელდება საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების დასამკვიდრებლად. როგორც ცნობილია, საწარმოები (იურიდიული პირები) განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, 2001 წლიდან გადადიან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე. ამიტომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეცვალა სამეწარმეო სტატისტიკის მეთოდოლოგია, სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების ფორმები და შესაბამისი მითითებები, რომლებიც ეფუძნება როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ევროკავშირის საბჭოს მიერ დადგენილ სტრუქტურული სტასტიტიკური გამოკვლევების მოთხოვნებს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ახალი ინტეგრირებული ფორმების მაკეტები წინასწარ დაეგზავნა შეხვედრის მონაწილეებს და ეთხოვათ სამუშაო შეხვედრაზე შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენა. ასეთი ცვლილებები მართლაც შეეიდა სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რეფორმა უკეთ უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციით დაინტერესებულ მომხმარებელს, ეს კი, საბოლოო ჯამში დაეხმარება ყველა დონის მმართველობით ორგანოს მართალი გადაწყვეტილებების მიღებაში.

**ლალი ძინძლაძე.**

## ენერგეტიკა

# ორმხრივი თანამშრომლობა სასარგებლოა

„ეი-ი-ეს-თელასის“ გლდანის რაიონის № 1 პროფიცენტრის თეთრი, ქათქათა შენობა. საოცარი სისუფთავე. უამრავი ხალხი. დაუსრულებელი ხმაური. კომპიუტერებზე მომუშავე ქალიშვილები მშვიდად უპასუხებენ მომხმარებლებს. ხალხს თვეების განმავლობაში დაუგროვდა ელექტროანარიცხების გადასახადი და ნერვიულობს.

მენეჯერ ნოდარ ლაბარტყავასთანაც საკმაოდ გრძელი რიგია. იგი კეთილი ღიმილით უპასუხებს გულმოსულ ხალხს. ყველას „დამშვიდების რეცეპტს“ უწერს თითქოს. ისინიც გულდასმით უსმენენ.

**– ბატონო ნოდარ, „ეი-ი-ეს“-მა რითი გააუმჯობესა თქვენი მდგომარეობა? – ვეკითხები.**

– გულახდილად რომ ვთქვათ, „ეი-ი-ეს“ შემოვიდა თუ არა, ყველა ძველი დანადგარი გამოცვალა, რითაც აბონენტს დახარჯული ელექტროენერგიის გაკონტროლების საშუალება მიეცა. რაც შეეხება ელექტროენერგიის მოწოდებას, პრობლემა არ შეიქმნება. სამწუხაროდ, ბევრგან, სადაც მრიცხველები გამოვიტანეთ, კარადები გატეხეს. ამით, რა თქმა უნდა, გადახდისუნარიანობა არ გაიზრდება. გარდა ამისა, ეს ფრიად საშიშია ბავშვებისათვის – თუ მოსახლეობა ყურადღებით არ იქნება, უბედურებაც არ არის გამორიცხული.

**– ხშირად კითხულობენ, ვინ სარგებლობს შეღავათით?**

– მთავრობამ შეამცირა ნუსხა იმ ხალხისა, ვისაც ადრე შეღავათი ეკუთვნოდა და მთლიანად განთავისუფლებული იყო გადასახადისგან. ომის ვეტერანებს, პერსონალურ პენსიონერებს, რეაბილიტირებულებს თვეში უფასოდ 30 კილოვატსაათის მოხმარება შეუძლიათ, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახებს – 25 კილოვატსაათისა.

**– როგორია სადარბაზოს განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის წესი?**

– მრიცხველის ჩვენება ნაწილდება ყველა მობინადრეზე. ვინც არ გადაიხდის, გავაფრთხილებთ, მერე კი გამოვურთავთ.

**– ერთი მტკივნეული საკითხიც: თურმე, ზოგიერთები სადარბაზოს გაყვანილობიდან ელექტროენერგიას იპარავენ. ეს შესაძლებელია?**

– შეძლებით ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სადარბაზოებში ელექტროსადენები მხოლოდ ერთ ნათურაზეა გაანგარიშებული. როგორც კი დამატებით მივუერთებთ რამეს, სადენი დაიწვება. ეს ყველა მობინადრემ უნდა იცოდეს. ასეთ შემთხვევაში, დაზიანება მობინადრეთა ხარჯზე აღმოიფხვრება.

უკვე გამოჩნდნენ ქურდი მომხმარებლებიც, მათ გვარებს ახლა არ ვასახელებ, მაგრამ განმეორების შემთხვევაში მართლაც ცუდად წაუვათ საქმე. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მინდა ვითხრათ: თუ აბონენტი დროებით გადის ქალაქიდან და ცალკე მრიცხველი არა აქვს, მას ფართობის მიხედვით ფიქსირებული გადასახადი დაერიცხება. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებლად უნდა გაგვაფრთხილონ.



**– ლიფტების შესახებ რას გვეტყოდით?**

– ლიფტებით სარგებლობა შეუჩერდება მოქალაქეებს, თუ სათანადო ორგანოებიდან სერთიფიკატი არ ექნებათ. საჭიროა ელექტროგასაღებასთან ხელშეკრულების აქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ენერგომიმწოდებელი პასუხისმგებელი არ არის ლიფტის მუშაობასა და ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ის იყო მადლობის თქმას ვაპირებდი, რომ ბატონმა ნოდარმა ერთი არასასიამოვნო ფაქტი მომაწოდა:

– მინდა ხალხს შევახსენო, რომ ელექტროენერგია, რამდენადაც საჭირო და აუცილებელი მოსახმარია, თუ უდიერად მოვექცევით, უბედურებასაც მოგვიტანს... ამას წინათ, ერთ ოჯახში „ატმორის“ მიზეზით ახალგაზრდა დაიღუპა, რადგან ვილაცის უხეში ჩარევის შედეგად დამიწება დაზიანდა. ამ სამწუხარო ფაქტიდან ყველამ სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს.

**– ახალ დაყენებულ მრიცხველს ზოგიერთი „ხელოსანი“, თურმე, ხელოვნურად აჩერებს, რა თქმა უნდა, სათანადო საზღაურის ფასად–**

– ნუ წამოეგებიან ანკესზე, თითქოს ხელოსანს შეეძლოს, მრიცხველმა დანახარჯის მხოლოდ 20 პროცენტი აღრიცხოს. გლდანის № 1 და № 2 პროფიცენტრის თანამშრომლები ისეთი პროფესიონალები არიან, უთუოდ გამოავლენენ დატაცების ნებისმიერ ხერხს, დამნაშავეს კი დააჯარიმებენ. ჩვენმა ასეთმა პრინციპულობამ და მონდომებამ სხვა თანამოსაქმეებისაგან გამოგვარჩია – მოწინავეთა რიგებში ჩაგვაყენა. მომხმარებლებს ვთხოვთ, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან. ეს ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება...

ესაუბრა
**დოდო ზურაბიშვილი.**

## გვწერენ

# ქუდი მოიხადე, ხელი დაიბანე და...

> **პურმა თქვა სახელდებულმან,**
> **მე ვარ ყველასი ქებული,**
> **კაცი უჩემოდ არ ვარგა –**
> **არც გლახა, არც დიდებული.**
> **ხალხური.**

იმის მიუხედავად, რომ თბილისის მერიამ და მუნიციპალიტეტმა მიიღეს არაერთი დადგენილება და განახორციელეს დედაქალაქში პურით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებები, კვლავ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მოსალოდნელი იყო, რომ კონკურენციის შედეგად ამაღლდებოდა პურის ხარისხი, ფასი კი დაიკლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

პურის ცხობასა და რეალიზაციას კერძო სექტორში აწარმოებენ შემთხვევითი პირები. ისინი თვითნებურად და სრულიად უკონტროლოდ, ყოვლად მიუღებელ პირობებში, ნესტიან და აშმორებულ ნახევარსარდაფებში, ტექნოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევით, უმეტესად უნებართვოდ და ულიცენზიოდ მუშაობენ.



კერძო საცხობების დიდი ნაწილი აღჭურვილია კუსტარული მოწყობილობებით. დაბალი კვალიფიკაციის გამო აქ მომუშავე პერსონალი საერთოდ არ იცნობს და არ იცავს ელემენტარულ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. მე ის დროც მახსოვს, როდესაც ქალაქკომის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაკებისათვის პერსონალურ თონეში ცხვებოდა ბევრად უფრო ხარისხიანი, გემრიელი, განსხვავებული ფორმის პური. ძნელი დასაჯერებელია, რომ დღევანდელი თანამდებობის პირთა ოჯახებში თბილისის საცხობებში ყველასთვის გამომცხვარ პურს მიირთმევენ.

პურის ცხობის ტექნოლოგია ასეთია: პური თვალშისაცემად პატარა რომ არ გამოჩნდეს, საფუარს უმატებენ. ჭარბი საფუარისა და ტენიანობის გამო ახალგამომცხვარი პურიც კი ცოტა ხნის შემდეგ უვარგისი ხდება. განსაკუთრებით მოუთმენელია, რომ კერძო სექტორში წარმოებული პურის დიდი ნაწილი აღურიცხავია, რითაც ბიუჯეტი მნიშვნელოვან თანხებს კარგავს.

სრული უკონტროლობა და განუკითხაობაა პურის საცხობებთან არსებულ ე. წ. „საფირმო“ მაღაზიებში, საცხობები გადაიქცა ქუჩებში პურის ხელზე გადამყიდველთა და სპეკულანტთა მომარაგების მთავარ წყაროდ, სავაჭრო ჯიხურებში პურის რეალიზაცია ყოვლად მოუთმენელ სანიტარიულ პირობებში ხდება. ასეთ ჯიხურებში გაყიდული პური, როგორც წესი, აღურიცხავია.

აკრძალვის მიუხედავად, პურით ვაჭრობა დედაქალაქში თვითნებურად დაიწყეს სამრეწველო საქონლის მაღაზიებმა და სხვა პროფილის საწარმოებმა. ხშირად პურთან ერთად იყიდება ქიმიური და სამეურნეო ნაწარმი, სარეცხი საშუალებები და სხვა შეუთავსებელი საქონელი. პური იყიდება ყველგან, სადაც მოესურვებათ, მსუბუქი ავტომანქანებიდან, ბაზრებისა და ბაზრობების დახლებზე, ასფალტზე დაგებულ ჭუჭყიან მუყაოზე.

ძველად ადამიანი გზაში შემთხვევით გადაგდებულ პურის ნატეხს აიღებდა და გვერდზე დადებდა, რომ ფეხით არავის გაეთელა. დამკვიდრებული იყო რწმენა, პურის გადაგდება ცოდვააო. დღეს ეს ცნება უკუგდებულია. პურისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებას იჩენს ზოგიერთი დიასახლისი – წინა დღის მონარჩენს ჭამას უკადრისობს და ინახავს მერძეულისათვის, რომელიც გამომცხვარი პურით საქონელს კვებავს. დარწმუნებული ვართ, ბევრმა მანდილოსანმა, რომელიც თავს კარგ დიასახლისად თვლის, არ იცის პურის მოვლა, მისი შენახვა. კარგი დიასახლისი კი პურს ქვაბში ინახავს, ორცხობილას აკეთებს და მას წვნიანში ან ჩაიში იყენებს.

უნდა გავახსოვდეს ხალხური გამონათქვამი: „სანამ არ მოგშივა, სანამ ხელს არ დაიბან, პურის საჭმელად არ დაჯდე, პურზე ძვირფასი არაფერია. სანამ ქუდს არ მოიხდი, პურის საჭმელად არ დაჯდე, პურზე პატივსაცემები არაფერია“.

ამ წერილს ეპიგრაფად წავუმძღვარე ხალხური გამონათქვამი პურის შესახებ და ვამთავრებ ისევ ხალხური გამონათქვამით, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველმა იქნება ის პურის მცხობელი, პურის გამყიდველი თუ პურის მომხმარებელი, კარგად წაიკითხოს, კარგად გაიაზროს თითოეული სიტყვის, წინადადების აზრი და მნიშვნელობა. პურისადმი განსაკუთრებული სათუთი, წმინდა დამოკიდებულება თითოეულს ძვალ-რბილში უნდა გაუჯდეს.

**ოთარ თოლორაია.**

## პერსპექტივა



# უცხოური კომპანიების დახმარებით

ქართულ-ამერიკული ნავთობის კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ტარიბანის საბადოზე ექსპლოატაციაში შეიდა ჭაბურღილი „ნიკო – 1“ (საპროექტო სიღრმით 3400 მ), დღე-ღამური მოპოვებით – 100-120 ტონა.

მიმდინარე წლის დასასრულს დაგეგმილია კიდევ ერთი ახალი ჭაბურღილის გაბურღვა, ხოლო 2000-2005 წლებში კომპანიამ უნდა გაბურღოს 50 ჭაბურღილზე მეტი და მოიპოვოს 6,5 მილიონი ტონა ნავთობი.

საქართველოში ნავთობის რესურსის დიდი ნაწილი შავი ზღვის კონტინენტურ შელფზე მოდის. ამდენად, იმედის მომცემია მსოფლიო სანავთობო ბიზნესში ცნობილი კომპანია „ანადარკოს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნავთობის ეროვნულ კომპანია „საქნავთობთან“ და შპს „ჯეი-კეი-ეიქსთან“ ერთად, ამ შელფზე ნავთობისა და გაზის საძიებო და ღრმა ჭაბურღილების ბურღვითი სამუშაოები აწარმოოს.

აღნიშნულის წარმატებულ შედეგებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მარტო ენერგეტიკული დარგის მომავალი, არამედ ისიც, რომ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მრეწველობას ქვეყნის მძლავრი ეკონომიკის ფორმირებაც შეუძლია.

ამდენად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარდაჭერას მომავალშიც იმედოვნებს.

**ლელა დონაძე.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „მიდი, ააშენე, ხმას არავინ გაგცემს“

ეს წერილიც წინა წერილის მსგავსად მინდა დავიწყო. ისეთი ცხოვრება მოვიდა, ვისაც როგორ და სად მოეპრიანება, ისე აშენებს. ამით დღეს ვერავის გააკვირვებ. მით უფრო – გარაჟის უნებართვო მშენებლობით. გზად მიმავალმა თუ სადმე თავისუფალი ადგილი ნახე (მნიშვნელობა არა აქვს, საცხოვრებელი კორპუსი იქნება, ქარხანა თუ ბიზნესცენტრი), შეგიძლია იმავე დღეს მიზიდო აგური, ბლოკი, ქვა, ღორღი და ერთ საათში ავტოგარაჟი უნებართვოდ წამოჭიმო. მაინც არავინ მოგედავება.

მეც, სწორედ ამ სიტყვების მოშველიებით, ვისაც ამ საქმისა მოეკითხება, იმას მივადექი, ქალაქის მთავარ არქიტექტორს მამუკა ჩხაიძეს:

**– გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ წერილს „მიდი, ააშენე, ხმას არავინ გაგცემს!“ რა კომენტარს გაუკეთებდით?**

– ავტოსადგომების მშენებლობამ მართლაც გიგანტური მასშტაბები მიიღო. უგულებელყოფილია ყოველგვარი ნორმა. ავტოსადგომების აშენების ნებართვები გაიცა დროებითი ღონისძიების სახით. არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა მოამზადა წინადადებები და თბილისის საკრებულომ 1999 წლის 4 აგვისტოს № 19-13 გადაწყვეტილებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში აკრძალა ახალი „ბოქსების“, „გალიების“ განთავსება-მშენებლობა. რეკომენდაცია მიეცა ავტოსადგომების ორგანიზებულ მშენებლობას რელიეფის გამოყენებით, რათა მანქანების პარკირებასთან ერთად მოგვარდეს ტერიტორიის კეთილმოწყობა ბავშვთა სათამაშო ბაქნების გათვალისწინებით. ამასთან ერთად პრიორიტეტულად ჩაითვალა მრავალადგილიანი ცალკე მდგომი, შესაძლოა, სხვა ფუნქციების მქონე ობიექტებთან კოოპერირებული ავტოსადგომების მშენებლობა. ახალი ობიექტების დაპროექტებისას სავალდებულოა მიწისქვეშა ავტოსადგომების გათვალისწინება.

**– თითქმის ერთი წელი გავიდა იმ გადაწყვეტილების შემდეგ, მაგრამ არ სრულდება – უფრო გამალებით შეუდგნენ უნებართვო მშენებლობებს. რომელია ის სამსახურები, ვისაც ევალება განუკითხაობის დროზე აღკვეთა?**

– ამას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას უნდა აქცევდეს რაიონული გამგეობა პოლიციასთან ერთად. თუ მშენებლობა პროექტის დარღვევით მიმდინარეობს, ამის აღკვეთაზე მერიის არქმშენკონტროლის ინსპექციამ (უფროსი გოგი კურცხალია) უნდა იზრუნოს. ესეც, რა თქმა უნდა, არ ასრულებს თავის მოვალეობას.



მაკონტროლებელი ორგანიზაციები, რომელთა უპირველესი მოვალეობაა უნებართვო მშენებლობების აღკვეთა, თავიანთ პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებენ. აქ ერთხელ კიდევ დავასახელებ გამგეობებსა და რაიონულ პოლიციას.

ვესტუმრე ქალაქის მერიას. ეკონომიკურ საკითხთა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ დავით ხაფარიძემ თავის მხრივ განმიცხადა, თუ უნებართვო მშენებლობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, პრაქტიკულად კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით, ბავშვებს სათამაშო მოედნები საერთოდ არ ექნებათო. მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია პრინციპულად მიუდგეს ამ საკითხს. ახლო მომავალში განზრახული გვაქვს კომპლექსურად ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად შევისწავლოთ ეს საკითხი. უნებართვო მშენებლობებს ბოლო უნდა მოეღოს.

ქალაქის პრემიერის მოადგილესთან მშენებლობის დარგში ირაკლი მეძმარიაშვილთან შესახვედრად თითქმის ერთი კვირა მომიწია სიარული. ისევ მერიის პრესცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონ სოფიკო ნარჩემაშვილის დახმარებამ მიშველა. შეხვედრა შედგა. აი, რა მითხრა ირაკლი მეძმარიაშვილმა:

– როდესაც სიგნალი მოდის უნებართვო მშენებლობის შესახებ, რაიონის გამგებელი მაშინვე ატყობინებს პოლიციას. დგება შესაბამისი აქტი. წესით, უნებართვო მშენებლობა უნდა შეჩერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქე სისხლის სამართალში მიეცემა, უნებართვო, უპროექტო მშენებლობაზე პასუხისმგებელია მერიის არქმშენკონტროლის ინსპექცია. სწორედ მან უნდა გააკონტროლოს, ვინ აშენებს უნებართვოდ. ავტოსადგომების მშენებლობის ინტენსიურობა იმანაც განაპირობა, რომ ძალზე გახშირდა ავტომანქანების ქურდობა. მაგრამ უნებართვო მშენებლობებს არც ეს ამართლებს. მერიას იმდენი თავსატეხი აქვს, დღემდე ვერ მოვიცალეთ წესრიგის დასამყარებლად. ვიმედოვნებ, ეს დროც დადგება და დანაშაულზე ყველა პასუხს აგებს.

**– გამოდის, რომ მერიასაც და რაიონულ გამგეობასაც იმის ძალა არ შესწევთ, უკანონო მშენებლობები აღკვეთონ, დასანგრევი დაანგრიონ. მაგრამ ხომ შეიძლება გადავახდევინოთ მიწის გადასახადი? ამით მაინც ვისარგებლოთ.**

– გეთანხმებით, მართლაც, სოლიდური თანხა შეიძლება შევიდეს ბიუჯეტში, მაგრამ მეორე მხარესაც შევხედოთ: მობინადრე უკანონო გარაჟის დაკანონებას მოითხოვს, ხოლო როდესაც დავუკანონებთ, სართულის დაშენებას მოინდომებს. აი ამიტომ ვიკავებთ თავს მიწის გადასახადისაგან. ისე ამ საკითხზე ფიქრი შეიძლება.

**ზურაბ ვადაჭკორია.**

**P. S. ინტერვიუდან ჩანს, რომ კონკრეტული პასუხები მაინც ვერ მივიღე, უნებართვო მშენებლობები კი გრძელდება. ეტყობა, ამით გარკვეული სამსახურები გვარიანად ითბობენ ხელს და „ამინდის დათბობას“ ელოდებიან. ამასობაში დედაქალაქი მართლაც ემსგავსება სამშენებლო პოლიგონს, სადაც სრული ანარქია ბატონობს.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 263. შაბათი. 30 სექტემბერი, 2000 წელი.

ფესტივალი

# „იყო მერვესა წელსა...“

ათი დღის მანძილზე 18-27 სექტემბერს თბილისში ზეიმი იყო – მუსიკის ზეიმი, რომელიც უკვე მერვედ გვაჩუქა ჯანსულ კახიძემ და მის მიერ სულჩადგმულმა მუსიკის საერთაშორისო ფესტივალმა „შემოდგომის თბილისმა“ (ჩვენი გაზეთის მკითხველები ფართოდ არიან ინფორმირებულნი ფესტივალის მსვლელობისა და მისი სტუმრების შესახებ). რვა წლის განმავლობაში ქართველმა მსმენელებმა, ქართულმა საზოგადოებრიობამ ირწმუნეს, რომ „შემოდგომის თბილისი“ მართლაც მაღალმხატვრული მოვლენაა (თუმცა, ამის დასტური 1993 წელს გამართული პირველივე ფესტივალი იყო და ეს აზრი, უფრო ფართოდ კი, „შემოდგომის თბილისის“ სიყვარული, წლიდან წლამდე მეტად მყარდება), რომელიც მნიშვნელოვან კვალს ავლებს ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ საკონცერტო ცხოვრებაში, არამედ მთელ კულტურულ ყოფაში. ამას ხელს უწყობს ფესტივალის მაღალი შემოქმედებითი სინჯიც და ისიც, რომ მასში ქართველებთან ერთად, ტრადიციულად, მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული უცხოელი მუსიკოსებიც, რომელთა ესთეტიკურ სამყაროსთან ზიარება ნამდვილად დიდი საჩუქარია ყველასთვის. აქვე ვიტყვი, რომ მერვე „შემოდგომის თბილისმაც“ არაერთი სასიამოვნო შთაბეჭდილება აღგვიბეჭდა აზრსა და გრძნობაში.

## მიძღვნა

ჯანსულ კახიძე მუდამ ცდილობს, რომ „შემოდგომის თბილისზე“ ერთი საგულისხმო ტრადიცია დაამკვიდროს – ფესტივალის პირველი საღამო დაუთმოს ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს. ასეთი პატივი გასული შვიდი წლის მანძილზე ჩვენს არაერთ სახელმოხვეჭილ თანამემამულეს ხვდა წილად. ამჯერად ფესტივალის გახსნისთვის ახალგაზრდა პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **ვალერიან შიუკაშვილი** მიიწვია ბატონმა ჯანსულმა. ბუნებრივიც არის – ეს საღამო ახალგარდაცვლილი ნოდარ გაბუნიას ხსოვნას მიეძღვნა, ვალერიანი კი, ერთ-ერთი რჩეულია მის აღზრდილთა შორის. მსმენელთა სამსჯავროზეც ნოდარ გაბუნიას ხელდასხმით შესწავლილი ბეთჰოვენის მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი გამოიტანა ახალგაზრდა მუსიკოსმა. მისგან აუდიტორია ჩვეულია ტექნიკური სრულყოფილებით, ემოციურობით, არტისტული გარდასახვებით გაჯერებულ შესრულებას. იმედი, ალბათ, არც ამჯერად გაუცრუვდათ, – ვალერიან შიუკაშვილის დაკვრა კვლავაც სიმპათიური, მიმზიდველი გახლდათ, რამაც სოლისტს დიდად შეუწყო ხელი თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ჯანსულ კახიძის ხელმძღვანელობით. ბისზე პიანისტმა სკარლატის სონატინა და რევაზ ლაღიძის „რონდო-ტოკატაც“ აჟღერა, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ინტერპრეტატორი სწორედ ვალერიანია.

ვფიქრობ, კონცერტის მიძღვნას კარგად შეესატყვისებოდა ჯანსულ კახიძის მიერ შერჩეული მეორე ნაწარმოებიც – ბეთჰოვენის გმირულ-ტრაგიკული ტილო – მეხუთე სიმფონია. მაესტროს ინტერპრეტაციამ კიდევ ერთხელ განგვაცდევინა მთელი სიმკვეთრით „კარზე ბედისწერის მოკაკუნების“ შეგრძნება. მის გააზრებაში და შესაბამისად, ორკესტრის ჟღერაში ჩინებულად შეიგრძნობოდა ტრაგიკულ-პათეტიკური პათოსის, ბეთჰოვენისეული, ერთგვარად დრამატიზებული ლირიკის, საზეიმო აპოთეოზის ზედმიწევნით წვდომა.



გარი ჰოფმანი.



ვალერიან შიუკაშვილი და ჯანსულ კახიძე.

## „მწუხრი“

ფესტივალის მეორე საღამო ქართველ მუსიკოსებს და ქართულ მუსიკას დაეთმო. აუდიტორიამ გაიცნო თეიმურაზ ბაკურაძის „მწუხრი“, რომლის შესრულებაში მონაწილეობდნენ პიანისტები – ნანა ხუბუტია, მარიკა ასათიანი, ნინო ქვანია, მედეა კიკნაძე, თამარ ხმიადაშვილი, ნინო მაისურაძე, თამარ ქვანია, მევიოლინეები – თამარ ბულია, მანანა ქანთარია, ალტისტები – ეკა ვარდიძე, ირაკლი ჯაფარიძე, ვიოლონჩელისტები – გიორგი და ნიკოლოზ ტორომელიძეები. ამჯერად, მხოლოდ ერთს აღვნიშნავ – მსმენელთა რეაქცია არაერთგვაროვანი იყო.

## პირველი შეხვედრა

20 სექტემბერს მერვე „შემოდგომის თბილისის“ „პირველი უცხოელი სტუმარი გამოჩნდა თბილისის მუსიკალური ცენტრის სცენაზე – კანადელი ვიოლონჩელისტი **გარი ჰოფმანი** და ის ფრაზა, რომელიც პრესრელიზში ამოვიკითხეთ, მის ხელწერას რომ ეხებოდა – „მისი საშემსრულებლო სტილი გამოირჩევა ტექნიკური დახვეწილობით, ბგერის სილამაზით და განსაკუთრებული პოეტური მგრძნობელობით – სრული სიცხადით გამოვლინდა. გარი ჰოფმანი ანტონინ დვორჟაკის სავიოლონჩელო კონცერტით გავიცანით, ნაწარმოებით, რომელზეც თვით ავტორს უთქვამს: „ეს კონცერტი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩემი საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები. იგი უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს მანიჭებს და ვფიქრობ, მის შეფასებაში არ ვცდები“. ჰოფმანისეულმა ინტერპრეტაციამაც ნათლად დაგვანახა, რომ კომპოზიტორი ნამდვილად არ ცდებოდა თავისი ერთ-ერთი შედევრის შეფასებისას. გარი ჰოფმანს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული კონცერტის აზრობრივი სიღრმე, მელოდიური სიმდიდრე, ემოციური უშუალობა, სახეობრივი განვითარების მძლავრი ლოგიკა და მხატვრული სრულქმნილებით ააჟღერა იგი. მისმა შესრულებამ გაგვიტაცა ტემპერამენტითა და ინტიმური გულითადობით, აზროვნების მასშტაბურობითა და დახვეწილი გამომსახველობით; თანაბრად შთამბეჭდავი იყო ეპიკურად ამაღლებული თუ ცეცხლოვნად მხიარული, კეთილშობილურად ლამაზი ლირიკული თუ საზეიმო მოტივები, რომელთა ასახვას ემსახურებოდა ვიოლონჩელისტის ფერადოვანი ბგერითი პალიტრა.

საგულისხმოა ისიც, რომ გარი ჰოფმანმა და თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ჯანსულ კახიძესთან ერთად, მხოლოდ ერთი რეპეტიციის გამართვა მოასწრეს კონცერტამდე და მაინც სოლისტი და ორკესტრი სრული ჰარმონიით იყვნენ შეხმატკბილებულნი. საოცრად ამაღლებული, ზეაწეული გახლდათ ჰოფმანის მიერ ბისზე შესრულებული სარაბანდაც ბახის მესამე სუიტიდან.

ჯანსულ კახიძეს არაერთხელ აუჟღერებია დვორჟაკის მეცხრე სიმფონია – „ახალი სამყაროდან“, – მუდამ წარმატებით და მუდამ მიმზიდველად, ამიტომაც არ გაკვირვებია აუდიტორიას, რომ მაესტრო კვლავაც გატაცებით, მისთვის ჩვეული ემოციურობით წარუძღვა ორკესტრს იმავე საღამოს ამ სიმფონიის შესრულებისას. იმასაც ჩვეულნი ვართ, რომ მისი ინტერპრეტაციით ამ ქმნილების კონტრასტები მეტ ფერადოვნებას იძენს, – იმედი არც ამჯერად გაგვიცრუებია, – „ახალი სამყაროდან“ ჯანსულ კახიძის მეოხებით ახლებურად აღიქმებოდა, თუმცა, შესრულების მედიდურობა ისევ ძველებური გახლდათ.

## ძველი ნაცნობი

რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი ამ ჟანრის ერთ-ერთი ურთულესი და იმავდროულად, კონცერტანტი პიანისტების რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამკვიდრებული ქმნილებაა, თანაც, მსმენელებისთვისაც ერთ-ერთი რჩეულია და საყვარელი. ამიტომ, ვფიქრობ, არ იყო საოცარი, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სწორედ ამ კონცერტით გვესტუმრა შესანიშნავი პიანისტი **ვლადიმერ ვიარდო**, რომელმაც, აქვე ვიტყვი „შემოდგომის თბილისის“ აუდიტორია აღაფრთოვანა.

თავის დროზე ვლადიმერ ვიარდოს აღმზრდელი, პროფესორი ლევ ნაუმოვი ამბობდა – „ვიარდოს თვითმყოფადი ხელწერა მდიდარია არა მხოლოდ შემოქმედებითი ფანტაზიით, არამედ ღრმად ინტელექტუალურიც არის“. მისი ინტერპრეტაციების ორიგინალურობას სხვებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, ეს თვისებები და რაც მთავარია, საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული ქმნილებების უჩვეულო ინტერპრეტაციის დამაჯერებლობა ამჯერადაც ფაქტი იყო. მართლაც, თავისთავადი თვალსაწიერით და თანამედროვეობის შესატყვისად ჰქონდა გააზრებული და გარდატეხილი ვლადიმერ ვიარდოს რახმანინოვის უდიდესი ემოციური ძალმოსილებით, საფორტეპიანო სტილისა და მელოდიკის სიმდიდრით აღბეჭდილი მესამე კონცერტი. საერთოდ, საკმაოდ მრავალფეროვანია ამ თხზულების ხასიათთა სპექტრი – ეპიკური თხრობა და პოეტური ჩაღრმავება, გულითადი ლირიკა და საზეიმო აღმაფრენა, დრამატიზმი და პათეტიკა, პასტორალური განწყობა და იდუმალი სიმშვიდე, – და ეს ემოციური გრადაციები ვლადიმერ ვიარდომ უჩვეულო სიფართოვითა და სიღრმით განავითარა. ამ ხასიათებს გრანდიოზულობა შემატა მუქისა და ჩრდილის მისეულმა რელიეფურმა ხატებამ, რისი საფუძველიც საფორტეპიანო გადმოცემის რესურსების სრულქმნილმა არსენალმა და ბგერათწარმოქმნის საოცრად დახვეწილმა კულტურამ განაპირობა. ვლადიმერ ვიარდოს გათავისებული ჰქონდა რახმანინოვის კონცერტის იმპროვიზაციულობა, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ტემპურ-დინამიკური განფენილობის თავისუფლებაში. შესრულების სიმკვეთრემ და მოჭარბებულმა ემოციურობამ ვერ მოაქცია ჩრდილში ის ღრმა სულიერება, რომლითაც ააჟღერა პიანისტმა რახმანინოვის მესამე კონცერტი (ვლადიმერ ვიარდოს ღრმა სულიერების, ბრწყინვალე პიანისტური ფერადოვნების, ჩამოძერწილი ესთეტიკური გემოვნების დემონსტრირებად იქცა ბისზე ბრწყინვალედ აჟღერებული შუბერტის „სერენადა“). ამ კონცერტის იდეურ-სახეობრივი, ემოციური განვითარების სრულფასოვანი, სრულუფლებიანი წევრია ორკესტრი. ეს მისია კი, ჩინებულად შეასრულა თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ჯანსულ კახიძის დირიჟორობით.



ვლადიმერ ვიარდო.

შესანიშნავი მუსიკის მაღალოსტატური და მეტყველი შესრულების მოსმენით ტკბობა გველოდა მეორე განყოფილებაშიც, როდესაც ჯანსულ კახიძემ და ორკესტრმა ააჟღერეს რახმანინოვის მეორე სიმფონია, რომელიც გვხიბლავს პოეტურობითა და მხატვრული ელვარებით. დახვეწილი, ფერადოვანი საორკესტრო ბგერითი პალიტრა სრულად შეესაბამებოდა ამ ქმნილების ფაქტურულ მრავალპლანიანობას, პოეტიკას.

# „შემოდგომის თბილისი“ — მუდმივი ზეიმის სამყარო

## ტრადიცია

„შემოდგომის თბილისის“ კიდევ ერთი ლამაზი ტრადიცია არც წლეულს დაირღვა და ერთი საფესტივალო საღამო ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებელ ანსამბლებს დაეთმოთ, ურთიერთგანსხვავებული ხელწერის მქონე სამ კოლექტივს – **„წინანდალს“, „ანჩისხატს“ და „ბიჭებს“.**

**„წინანდალი“** დედაქალაქის სტუმარი იყო. ანსამბლი 14 წლის წინათ დაარსდა წინანდალში. მისი ხელმძღვანელი ლევან აბაშიძეა. „წინანდლის“ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა მომღერალმა მიხეილ სიხაშვილმა. დღეს ანსამბლთან აქტიურად თანამშრომლობს მიხეილის ძმა – ანდრო. ანსამბლის შესახებ რამდენიმე დოკუმენტური ფილმია გადაღებული. საგასტროლო კონცერტების მეოხებით მის შემოქმედებას იცნობენ გერმანიაში, საფრანგეთში, კუბაში, ბულგარეთში, ჩეხეთში. ერთი საინტერესო დეტალი „წინანდლის“ ისტორიიდან – რვა წლის წინათ ირლანდიაში მის მიერ აჟღერებული „მრავალჟამიერი“ აირჩიეს იქაური ლუდის ჰიმნად. „შემოდგომის თბილისზე“ „წინანდლის“ მიერ შესრულებული სიმღერებიდან რომელიმეს ჰიმნად შერჩევის სურვილი არავის გასჩენია, მაგრამ მომღერლებმა აუდიტორიის დიდი მოწონება რომ დაიმსახურეს, გულთბილი ოვაციებიც ცხადყოფდა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ზეაწეული, ამაღლებული, ნაირფერადი და თვითმყოფადი გახლდათ **„ანჩისხატის“** ჟღერა. ანჩისხატის ტაძრის გუნდი 1987 წელს დაარსდა თბილისის კონსერვატორიაში. ერთი წლის შემდეგ, როდესაც თბილისის უძველესი ტაძარი – ანჩისხატი ამოქმედდა, გუნდმა იქ დაიწყო გალობა. „ანჩისხატის“ ხელმძღვანელია მალხაზ ერქვანიძე. გუნდის მთავარი სამოღვაწეო მიზანი ძველი ქართული საგალობლების აღდგენა-გაცოცხლება და ხალხური სიმღერების პირვანდელი სახით დაცვაა. მსმენელებისთვის ცნობილია „ანჩისხატის“ ჩანაწერებიც, 23 სექტემბერს კი, მის ცოცხალ შესრულებასაც სიამოვნებით ვეზიარეთ და კიდევ ერთხელ გვენიშნა, თუ რაოდენ ღირებულია ხალხური მუსიკის აუთენტურობის დაცვა, რაც ამ ანსამბლის ხელწერას განუმეორებლობას სძენს.

უფროსებს ტოლი არ დაუდეს მოზარდებმაც – 28-ე სკოლა-კოლეჯის ბაზაზე არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის „ბიჭების“ წევრებმაც. ანსამბლის ხელმძღვანელია თამაზ ანდღულაძე, ლოტბარი – არჩილ უშვერიძე. სწორედ მათი დამსახურებაა **„ბიჭების“** ბიჭებს მართლაც რომ უყვართ ქართული ხალხური სიმღერები და გატაცებითაც რომ მღერიან. არსებობის 10 წლის მანძილზე ანსამბლმა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იმოგზაურა და რამდენიმე ფესტივალის გამარჯვებულის წოდებაც მოიპოვა. „ბიჭების“ სიმღერა კვლავაც იქცევდა ყურადღებას დახვეწილობითა და სიხალასით.

ტრადიციაა ისიც, რომ „შემოდგომის თბილისის“ ფოლკლორული მუსიკის საღამოები კონცერტში მონაწილე ანსამბლების ერთდროული აჟღერებით მთავრდება ხოლმე, ანსამბლების ურთიერთგანსხვავებული საშემსრულებლო ხელწერის მიუხედავად, ამ ფორმით მიღებული დასკვნითი აკორდი კვლავაც შთამბეჭდავი და სიმბოლური იყო. მომღერლებთან ერთად მსმენელთა აპლოდისმენტები ჯანსულ კახიძემაც დაიმსახურა, როცა კონცერტის დასასრულს დარბაზში ჯდომას სცენაზე ასვლა და ამ გაერთიანებული დიდი გუნდის ლოტბარობა არჩია, – სწორედ მისი ხელდასხმით აჟღერდა სამი გუნდის მძლავრი ჰანგი.




## მალერი და კახიძე

„შემოდგომის თბილისის“ დაწყებამდე საკმაო ხნით ადრე ელოდა აუდიტორია 25 სექტემბრის დადგომას, – სწორედ ამ დღეს უნდა აჟღერებულიყო ერთ-ერთი უდიდესი სიმფონისტის გუსტავ მალერის მეცხრე სიმფონია, რომლის მოსასმენადაც მაესტრო **ჯანსულ კახიძე** უანგაროდ იწვევდა ყველა მსურველს, რათა ფართო საზოგადოებრიობა ზიარებოდა ამ დიდი მუსიკალური ეპოპეის სულს; იმასაც აღნიშნავდა, რომ „შეიძლება ბევრს არც მოეწონოს, ბევრი ვერც ჩაწვდეს მალერისეულ ფილოსოფიას, თუმცა, ალბათ, ბევრიც საპირისპიროდ განეწყობა, მაგრამ ერთს კი ვპირდები აუდიტორიას, – შოკის გარეშე არავინ დარჩება დარბაზში“-ო. და, მართლაც, მალერის მეცხრე სიმფონიის ჯანსულ კახიძის ინტერპრეტაციის მოსასმენად, ან დაპირებული შოკის განსაცდელად უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი – თბილისის მუსიკალურ ცენტრში ანშლაგი იყო.

მალერის მეცხრე სიმფონია ფილოსოფიურად ჩაღრმავებული ტილოა, რომელიც კონცეპტუალური და საშემსრულებლო-ტექნიკური სირთულის გამო საკმაოდ იშვიათად სრულდება და თუნდაც ამ გარემოების გათვალისწინებით იყო მისი აჟღერება მოვლენა ჩვენი მუსიკალური ცხოვრებისთვის და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ის შესრულდა ჭეშმარიტად მაღალ დონეზე, მაღალპროფესიულად და ჯანსულ კახიძის მართლაც შთამბეჭდავი ინტერპრეტაციით, შეიძლება ითქვას, რომ იმ საღამოს წარუვალი მნიშვნელობის მოვლენა შეემატა ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიასაც და „შემოდგომის თბილისის“ მატიანესაც, ეს კონცერტი კიდევ ერთ მრავლისმთქმელ წარმატებად იქცა თბილისის სიმფონიური ორკესტრისთვის და უწინარესად, თვით ბატონი ჯანსულისთვისაც.



„შემოდგომის თბილისის“ საორგანიზაციო კომიტეტი – სხედან: გიორგი ნიჟარაძე (თანაპრეზიდენტი), ჯანსულ კახიძე (პრეზიდენტი), ლეილა კიკალეიშვილი (დარბაზის დირექტორი), ციური კაპანაძე (ფინანსური დირექტორი); დგანან: თეონა კახიძე (გენერალური მენეჯერი), ნინო საყვარელიძე (პროგრამის მენეჯერი), ვახტანგ ტაბაღუა (სარეკლამო სამსახურის ხელმძღვანელი).

მალერის მეცხრე სიმფონიაში დომინირებს, ხორცშესხმულია, ერთი ძირითადი აზრობრივი მოტივი – სიცოცხლესთან გამომშვიდობების, უფრო ზუსტად, სიკვდილის მოტივი, თუმცა, ამ თემის ამეტყველებისთვის კომპოზიტორი არ იფარგლება მარტოოდენ ტრაგიზმის გადმოცემით, – მისი ხედვა გაცილებით უფრო განზოგადებულია და მრავალწახნაგოვანი – ტრაგიზმს ერწყმის გასაოცრად გულშიჩამწვდომი ლირიკა, მკვეთრი, მძაფრი გროტესკი, რაც უფრო ამაღლებს სიმფონიის ტრაგიკულ ელფერს, ამძაფრებს ემოციურ წიაღსვლებს. ამ გრანდიოზულ სიმფონიურ ტილოში გადაშლილია ცხოვრებისეული მოვლენები თავისი მშვენიერებითა და კატაკლიზმებით, სიყვარულითა და სევდით, უდიდესი ტკივილითა და სულიერი განცდით. და მაინც, ყოველივე სიცოცხლესთან განშორებისკენ, სიკვდილისკენ მიემართება, თუმცა, ბოლოს გმირი მაინც ამაღლდება!

მკვეთრი, მწყობრი და ძალზე დამაჯერებელია სიმფონიის ინტონაციური დრამატურგია ნაწარმოების უჩვეულო წყობის მიუხედავად (პირველი ნაწილი და ფინალი ნელია, მეორე და მესამე ნაწილები სწრაფი). სწორედ შუა ნაწილების სიმძაფრისა და სასოწარკვეთის აფეთქებებს, ნერვულ კულმინაციებს, მძლავრ გროტესკს უპირისპირდება ფინალური ადაჟიოს – მალერის შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალის აუღელვებელი მდინარება, ნათელი გაცისკროვნება. დიახ, ფინალი კათარზისს, განწმენდას, ღმერთთან ამაღლებას განასახიერებს ბრწყინვალე მელოდიკით, მალერისეული სულიერად მშფოთვარე ლირიკის საუკეთესო განსხეულებით.

ჯანსულ კახიძე ჩინებულად ჩაწვდა მალერის მეცხრე სიმფონიის კონცეფციას, ფილოსოფიას და ზედმიწევნით აამეტყველებინა თბილისის სიმფონიურ ორკესტრს კომპოზიტორის ჩანაფიქრი, აზრი. აშკარად იგრძნობოდა, რომ ეს იყო დირიჟორის სულგამოვლილი მუსიკალური მონოლოგი, ჩაღრმავებული განცდებითა და სულიერებით, გაჯერებული გულისთქმის გაცხადება, თუმცა, იგივეს თქმა შეიძლება, ალბათ, ორკესტრის ყოველი მუსიკოსის მისამართითაც, რომელთაც მცდელობა არ მოაკლეს მალერის სიმფონიის ჯანსულ კახიძისეული ინტერპრეტაციის სრულქმნას, მისი ჩანაფიქრის სრულყოფილ წარმოჩენას.

დიახ, მალერის მეცხრე სიმფონია აჟღერდა და ჭეშმარიტად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. რთულია იმის თქმა, განიცადა თუ არა აუდიტორიამ შოკი, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი აშკარად რომ აღფრთოვანდა, გულმხურვალე ტაშიც ცხადყოფდა, – ოვაცია, როგორითაც იშვიათად აჯილდოებს ჩვენი მომთხოვნი მსმენელი არტისტებს.

კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩვენი საუბრისას, („სრ“, № 258, 24.09) ჯანსულ კახიძემ თქვა, ვნახოთ რა იქნება ამჯერადო, შესრულების დონესა და მსმენელის რეაქციას გულისხმობდა და შეიძლება ითქვას, რომ პასუხი, ალბათ, ერთია – დირიჟორმა და სიმფონიურმა ორკესტრმა კიდევ ერთი ლამაზი შემოქმედებითი გამარჯვება იზეიმეს. სხვათა შორის, კონცერტის დასასრულს, მაესტრომ კიდევაც მითხრა, – ამჯერად კმაყოფილი ვარ შესრულებით, თვითონაც ვგრძნობდი, რომ ეს სიმფონია ჩემგან იბადებოდა და ორკესტრმაც შეძლო ჩემი განცდების გადმოცემაო. ბატონმა ჯანსულმა ისიც აღნიშნა, რომ ამის შემდეგ თუ უცხოეთში გასტროლებისას შემომთავაზებენ მალერის მეცხრე სიმფონიის დირიჟორობას (საგულისხმოა, რომ ეს უზარმაზარი და ურთულესი ტილო მან ზეპირად იდირიჟორა) სიამოვნებით დავთანხმდებიო.

და მინდა ისევ აუდიტორიას, იმ საღამოს ანშლაგს მივუბრუნდე, – ასეთი ხალხმრავლობა (გარდა იმისა, რომ მსმენელები სცენაზე განთავსებულ სავარძლებშიც ისხდნენ, უამრავი ადამიანი ფეხზე მდგარი თითქმის საათნახევარი ისმენდა სიმფონიას) ბოლო ხანს საკმაო იშვიათობაა, რამაც იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ ჩვენში კვლავაც ბევრია ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების, ჭეშმარიტად ფასეული მუსიკის დამფასებელი ხალხი, რომელთაც აქვთ კონცერტებზე თუ სპექტაკლებზე დასწრების სურვილი, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი მატერიალური შესაძლებლობა. ამ საღამოს კი ისინი მაესტრო ჯანსულ კახიძემ ორმაგი საჩუქრით დააჯილდოვა – მუსიკით და მისი უბილეთოდ მოსმენის საშუალებით, ვფიქრობ, მისასალმებელი და მისაბაძი ქმედებაა, რადგან მუსიკა მსმენელის (და ცხადია, შემსრულებლის) გარეშე სრულიად აბსტრაგირებული ცნებაა...

## გუტმანის სამყაროში

„შემოდგომის თბილისის“ ბოლო ორი კონცერტი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ვიოლონჩელისტის **ნატალია გუტმანის** მონაწილეობით წარიმართა. მის შემოქმედებას ქართველი მსმენელებიც კარგად იცნობენ და სათანადო პატივსაც მიაგებენ. ჩვენში არაერთი ჭეშმარიტი თაყვანისმცემელიც ჰყავს მის შემსრულებლობას.

საოცრად დიდია ნატალია გუტმანის სარეპერტუარო ამპლიტუდა, ალბათ, მთელი სავიოლონჩელო ლიტერატურის მომცველი, რაც კიდევ ერთხელ გაცხადდა თბილისურ კონცერტებზე. 26 სექტემბერს მან მსმენელები კამერული მუსიკის კონცერტზე მიიწვია, რომელზეც ოსტატურად გაუწია პარტნიორობა ახალგაზრდა პიანისტმა **ვიაჩესლავ პოპრუგინმა**. მათი დუეტი ძალზე ჰარმონიული გამოდგა, მიუხედავად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ნაწარმოებების შესრულებისა. პროგრამაში იყო შოპენი-ფრანშომის დიდი საკონცერტო დუეტი „რობერტი-ეშმაკის“ თემაზე, ფრანკის სონატა ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსთვის, მეორე განყოფილებაში კი, აჟღერდა შუმანის „სამი ფანტასტიკური პიესა“ და პულენკის სონატა. აუდიტორიის აპლოდისმენტების მეოხებით კი, მათ სონატის ბოლო ნაწილი ბისზეც დაუკრეს.

ამ კონცერტმა, შესაძლოა, ბევრს გაახსენა სვიატოსლავ რიხტერის სიტყვები, რომლითაც ძალზე ლაკონურად და იმავდროულად, ძალზე მრავლისმომცველად დაახასიათა მან ნატალია გუტმანი – „გულწრფელობის განსხეულება ხელოვნებაში“. მისი შემსრულებლობა კვლავაც ამაღლებულია ყოველდღიურსა და ორდინარულზე, მასში კვლავაც გვიპყრობს სიმკვეთრე და მწველი ემოციურობა, რომანტიკული მღელვარება და განცდათა უშუალობა, უტყუარი ინტელექტუალური ალღო და სტილის უნაკლო სიწმინდე. ამ თვისებების ერთიანობა კი, ნატალია გუტმანის ინტერპრეტაციებს უზადო სინატიფესა და დამაჯერებლობას სძენს, ინტერპრეტაციებს, რომლებმაც იმ საღამოსაც აუღელვებელი არავინ დატოვა.

## დასკვნითი აკორდი

და აი, დადგა 27 სექტემბერი – მერვე „შემოდგომის თბილისის“ ბოლო დღე. რიჰარდ შტრაუსის „კოლორიტის თვალისმომჭრელი ელვარებით“ გამორჩეული სიმფონიური პოემის „დონ კიხოტის“ შესრულებისას სოლისტის ამპლუაში მოგვევლინენ **ნატალია გუტმანი** და ალტისტი **გია ჩადუნელი**, მათთან ერთად სცენაზე იყო თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ისევ და ისევ, ჯანსულ კახიძის ხელმძღვანელობით. ამ „ფანტასტიკურ ვარიაციებში რაინდული ხასიათის თემაზე“, როგორც უწოდებდა „დონ კიხოტს“ ავტორი, რიჰარდ შტრაუსმა გმირების დახასიათებათა მისთვის თვისებრივი თეატრალური შთამბეჭდაობით შექმნა ადამიანთა პორტრეტების დიდი და მრავალფეროვანი გალერეა – ზოგიერთი მკვეთრი იუმორისტული, ზოგჯერ გროტესკული ტონებით შეფერილი, ზოგიერთიც ნათელი სევდით გაცისკროვნებული, აქ განწყობათა გრადაცია, იუმორიდან და პაროდიიდან ფარულ ტრაგიზმამდე აღწევს. ურთიერთგანსხვავებული სახეობრივ-ემოციური სფეროების კალეიდოსკოპური მონაცვლეობის, დაპირისპირების მეოხებით მიღწეულია მკვეთრი ხატოვანი, ფერწერული კონტრასტულობა, რაც ცხადად გამოვლინდა, როგორც დირიჟორის, ასევე სოლისტების გააზრებაში, ნატალია გუტმანის ხელდასხმით ვიოლონჩელის პარტია, რომლის ლეიტტემბრი დონ კიხოტის მრავალსახეობას აცოცხლებს, ძალზე სახიერად ჟღერდა, გვიხატავდა რა გმირის გალანტურობას და ერთგვარ გრაციოზულობას, ამაღლებულ ლირიზმსა თუ ნაღვლიან კანტილენურობას. არანაკლებად მეტყველი იყო სანჩო პანსას იუმორისტულად გადაწყვეტილი „მონოლოგებიც“ გია ჩადუნელის შესრულებით. დიახ, სცენაზე მყოფი მუსიკოსების ჩინებული ბგერითი თხრობის ძალისხმევით „დონ კიხოტმა“, მართლაც, თეატრალური ფერადოვნებით გაიჟღერა. ამიტომაც, ვფიქრობ, გულთბილი აპლოდისმენტები ყოველ მათგანს ეკუთვნოდა.



ნატალია გუტმანი.

კონცერტის მეორე განყოფილებაში თბილისის მუსიკალური ცენტრის სცენაზე „შემოდგომის თბილისის“ მთავარი გმირები – ჯანსულ კახიძე და თბილისის სიმფონიური ორკესტრი დარჩნენ, რათა ფერწერული გამომსახველობით აეჟღერებინათ შოსტაკოვიჩის მეთერთმეტე სიმფონია („1905 წელი“) – კომპოზიტორის შთაგონების ერთ-ერთი მძლავრი და მეტყველი ალტყინება, ნაწარმოები, რომელსაც ოთხი ათეული წლის წინათ საფრანგეთის პრესა ასე გამოეხმაურა: „ეს სიმფონია მონუმენტური ფრესკაა და იმავდროულად, მუსიკალური ფილმი და რევოლუციური სიმღერა, რწმენის ეპოპეა და აღმაფრენა“, ქმნილება, რომელსაც „უტექსტო ოპერაც“ უწოდეს. სწორედ შოსტაკოვიჩის მეთერთმეტე სიმფონია იქცა „შემოდგომის თბილისის“ დასკვნით აკორდად, თუმცა, არა, – მუსიკის მერვე საერთაშორისო ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ ბოლო აკორდი, წინამორბედი ფესტივალების მსგავსად, ფეხზე წამომდგარი აუდიტორიის მხურვალე აპლოდისმენტები, ნებისმიერი არტისტისთვის სასურველი ოვაცია გახლდათ.

## მომავალ შეხვედრამდე XXI საუკუნეში

ერთხელ, საუბრისას, ჯანსულ კახიძემ მითხრა: „სიტყვა ფესტივალი ზეიმს ნიშნავს და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ „შემოდგომის თბილისი“ სწორედ ზეიმია! ამას ჩვენი აუდიტორიაც ადიარებს და აპლოდისმენტებიც ადასტურებს, ეს კი მახარებს, რადგან ჩვენი ფესტივალის მთავარი მიზანი მაღალი შემოქმედებითი დონეა და არა მატერიალური მოგებით დაინტერესება და პოპულისტური ცდუნებები“. მართლაც, „შემოდგომის თბილისი“ მუსიკის ბრწყინვალე ზეიმია, რომელიც მუდამ იწვევს მსმენელთა სულის ზეობას, ამიტომ გვიყვარს იგი, ამიტომ ვაფასებთ, ამიტომაც მივაგებთ განსაკუთრებულ პატივს მის სულისჩამდგმელს, ჩვენს გამოჩენილ ხელოვანს ჯანსულ კახიძეს. წლეულს ეს ზეიმი ბატონ ჯანსულთან, თბილისის მერიასთან და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (სწორედ ისინი არიან „შემოდგომის თბილისის“ დამფუძნებლები) მობილური კავშირგაბმულობის კომპანიამ „მაგთი GSM“-მაც გვაჩუქა, რომელსაც მხარდამჭერისთვის დიდად ემადლიერება ჯანსულ კახიძეც და მასთან ერთად, ალბათ, ფესტივალის აუდიტორიაც.

სამომავლოდ, ჯანსულ კახიძეს საფესტივალო ფონდის შექმნის დიდი სურვილი აქვს, რათა მოხერხდეს სხვა ცნობილი ფესტივალების დირექტორების, მენეჯერების, იმპრესარიოების, უცხოელი ჟურნალისტების მოწვევა, რაც, მართლაც კარგი იქნება, თუნდაც, ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის, სერიოზული შემოქმედებითი კავშირების დასამყარებლად. მეტი მატერიალური სახსრების გაჩენის შემთხვევაში „შემოდგომის თბილისი“ უფრო მასშტაბურიც გახდება და მსოფლიო აღიარებასაც მოიპოვებს. ეს უნდა გაითვალისწინონ მეცენატებმა! მით უფრო, რომ მას ორი წლის შემდეგ დაარსების ათი წელი უსრულდება და საიუბილეო ფესტივალი ჭეშმარიტ ფეიერვერკად უნდა იქცეს, რაც სერიოზული მხარდაჭერისა და ფინანსური საფუძვლის გარეშე, ცხადია, წარმოუდგენელია და მხოლოდ ოცნებადღა დარჩება.

ამ საუკუნესა და ათასწლეულში „შემოდგომის თბილისმა“ მხოლოდ რვა წელიწადს მოგვანიჭა ტკბობა, მაგრამ მისი სრულიად სამართლიანად დამკვიდრებული რენომე გვაიმედებს, რომ მომავალ საუკუნეშიც იგი ჩვენი მეგზური იქნება.

ზურაბ ოიკაშვილი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

GCF

# ლაზიერი

6 (43)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

## ოლიმპიადის წინ

სტამბოლის 34-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნამდე საქართველოს ნაკრების წევრებმა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** უშუალო ძალისხმევით გადაიჭრა ქართველი მოჭადრაკეების ფინანსური პრობლემები.

14 ოქტომბრიდან გუნდის წევრები დასკვნით შეკრებას ბათუმის ჭადრაკის სასახლეში გაივლიან. შეკრებას აფინანსებენ ამ სასახლის მესვეურები.

## ორნი – საქართველოდან

ფიდემ გამოაქვეყნა იმ არბიტრების სია, რომლებიც მსოფლიოს 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადას მოემსახურება.

საქართველოდან სტამბოლში სამსაჯოდ მიიწვიეს საერთაშორისო არბიტრები დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია** და **ევგენი მელიქსეთ-ბეგი.**

## ათი პლუს ერთი

ამ დღეებში დაზუსტდება იმ მოჭადრაკეთა სია, რომლებიც ნოემბრის ბოლოს ვაჟთა და ქალთა მსოფლიოს პირად ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

ორივე მათგანში ოლიმპიური სისტემით გამოვლინდებიან 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონები.

ქალთა ტურნირში **მაია ჩიბურდანიძეს, ნანა იოსელიანს, ნინო გურიელს** და **ქეთევან არახამიას** პერსონალური მიწვევა ჰქონდათ. **ნინო ხურციძემ, ინგა ხურცილავამ, რუსუდან გოლეთიანმა, სოფიკო ტყეშელაშვილმა** და **ლელა ჯავახიშვილმა** ეს უფლება ზონალურ ტურნირში მოიპოვეს.

ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის გადაწყვეტილებით, ერთი ვაკანტური ადგილი **ნონა გაფრინდაშვილს** გამოეყო.

ასე რომ, ქალთა ტურნირში საქართველოს ათი წარმომადგენელი ჩაებმება.

ვაჟთა ტურნირში კი მხოლოდ **ზურაბ აზმაიფარაშვილის** იმედით ვრჩებით.

## ფინიშამდე 3 ტურით ადრე

ერევანში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. გათამაშდა 10 ტური. გოგონათა ტურნირში 33 მონაწილეს შორის 3 ქართველი მოჭადრაკეა.

დღეისათვის 8,5 ქულით დაწინაურდა ჩინელი მოჭადრაკე ქსიუ იუ ჰუა. მას ქულანახევრით ჩამორჩება უახლესი მდევარი. ჩინელი მოჭადრაკის დამარცხება მხოლოდ ლელა ჯავახიშვილმა შეძლო. ლელა 6 ქულით მე-5-9 ადგილებზეა. სოფიკო ხუხაშვილს 5,5 ქულა აქვს, სოფიკო გვეტაძეს 5.

ჭაბუკთა ტურნირში 60 მოჭადრაკე ასპარეზობს. ბაადურ ჯობავას 6,5 ქულა აქვს და ლიდერს მხოლოდ ქულით ჩამორჩება. ზვიად იზორიამ 6 ქულა მოაგროვა. დავით არუთინიანმა 5,5, მერაბ გაგუნაშვილმა კი 4,5.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

## საბერძნეთში გაემგზავრნენ

1 ოქტომბერს საბერძნეთის ქალაქ კალითეაში გაიხსნება ევროპის ჩემპიონატი 10-18 წლის მოჭადრაკეთა შორის. გუშინ საქართველოს 16 მოჭადრაკე საბერძნეთს გაემგზავრა.

დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ნოდარ გელენავა.

10 ოქტომბერს კი ესპანეთის ქალაქ ოროპესაში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი 10-18 წლის მოჭადრაკეთა შორის.

ვულოცავთ!

## „ჭადრაკის კლუბი“ – იუბილარი

დრო იყო, როდესაც საქართველოში უზარმაზარი ტირაჟით (200 ათასი ეგზ.) ისტამბებოდა გაზეთი „სოფლის ცხოვრება“. მისი რედაქტორი, კარგი ორგანიზატორი და ალღოიანი ჟურნალისტი, მომცრო ფორმატის გაზეთში ახერხებდა მრავალი თემის, პრობლემის, სფეროს გაშუქებას. არ ავიწყდებოდა სპორტიც, კერძოდ, ჭადრაკი, ამიტომაც მოიწვია **მიხეილ დავითაშვილმა** ამ ორმოცი წლის წინათ თავის გაზეთში სათანამშრომლოდ ბრძენთა თამაშის პოპულარული მიმომხილველი **თენგიზ გიორგაძე...**

ასე დაიდო ბინა „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე „ჭადრაკის კლუბმა“, რომელმაც მალე მოიპოვა აღიარება. „ჭადრაკის კლუბი“ გაითავისა სოფლის მშრომელმა ადამიანმა. ამის დასტური გახლავთ თუნდაც უამრავი წერილი, რომელთა რაოდენობამ სამ ათეულ წელიწადში 35 ათასს გადააჭარბა...

დღეს „სოფლის ცხოვრება“ ფრთაშეკვეცილია, მხოლოდ კვირაში ერთხელ გამოდის, თანაც საკმაოდ მოკრძალებული ტირაჟით. თემატიკა კი არ დაკნინებულა – რედაქციის ახალი ხელმძღვანელობა ახერხებს კარგი ტრადიციების გაგრძელებას, თავის პოზიციას ინარჩუნებს „საჭადრაკო კლუბიც“. მას უკვე ორმოცი წელიწადია ჩვეული შემართებით უძღვება უბერებელი თენგიზ გიორგაძე.

22 სექტემბერს 40 წლის „ჭადრაკის კლუბის“ 648-ე ნომერი გამოვიდა. ვულოცავთ მესვეურებს ამ მოვლენას!

**ანდრო ბარძაია.**

მედლები

## სტუდენტთა შორის

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართა 26 წლამდე სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 14 ქვეყნის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. ტურნირი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ცალ-ცალკე. მამაკაცებში ორი საუკეთესო შედეგის და ქალებში ერთი საუკეთესო შედეგის ჯამით ირკვევა გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებული ქვეყანა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ საერთაშორისო დიდოსტატები **მაია ლომინეიშვილი, გიგა ყაჭეიშვილი** და **თამაზ გელაშვილი.** დაძაბული ბრძოლის შემდეგ 20,5 ქულით I ადგილი მოიპოვა რუსეთის ძლიერმა გუნდმა.

საქართველოს ნაკრები მას 1 ქულით ჩამორჩა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს დაეპატრონა, რაც უთუოდ დიდი წარმატებაა.



ჩინებულად იასპარეზა **მაია ლომინეიშვილმა**, 9-დან 7,5 ქულით სტუდენტ ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამდენივე ქულა მოაგროვა რუსმა დიდოსტამა ეკატერინა პოლოვნიკოვამ, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე ადგილზე 6,5 ქულით გავიდა გერმანელი ჯესიკა ნილი. ვაჟთა ჩემპიონატში 9-დან 7 ქულით ჩემპიონის წოდება გაინაღდა რუსმა ვალერი ფილიპოვმა, 6,5 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა უკრაინელმა ზუბარევმა. 6 ქულით III-V ადგილები გაიყვეს გიგა ყაჭეიშვილმა და თამაზ გელაშვილმა, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით III საპრიზო ადგილზე რუსი ტუროვი გავიდა.

ამ ჩემპიონატში მაია ლომინეიშვილის მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯები გაიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა, ხოლო თამაზ გელაშვილისა – საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ, გიგა ყაჭეიშვილი კი თავისი ხარჯებით გაემგზავრა.

**გივი მძელური.**

## ზედიზედ მეექვსე მედალი



თამარ ხმიადაშვილი.

პოლონეთის ქალაქ როვში ამ დღეებში დამთავრდა სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ქალთა ტურნირში 22 მოჭადრაკეს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ მოსკოველ ელენე ფატალიბეკოვას და თბილისელ **თამარ ხმიადაშვილს.** მათ 11 პარტიაში 9-9 ქულა მოაგროვეს. დამატებითი მაჩვენებელი ოდნავ უკეთესი აღმოაჩნდა ფატალიბეკოვას. თამარ ხმიადაშვილს გადაეცა ვერცხლის მედალი, რომელიც მისთვის მეექვსე აღმოჩნდა. მანამდე თამარმა სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მესამე ადგილი 7,5 ქულით ვალენტინა კოზლოვსკაიას ერგო. მეტი იყო მოსალოდნელი კირა ზვორიკინასგან.

ვაჟთა შეჯიბრებებში 114 მოჭადრაკე ჩაება. პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურება: 1. ოლეგ ჩერნიკოვი – 8,5 ქულა, 2. იანის კლოვანი – 8,5, 3. მარკ ტაიმანოვი – 8 ქულა. ბუხუტი გურგენიძემ ტურნირი 7 ქულით დაამთავრა, მერაბ თხელიძემ კი – 5,5 ქულით.



9-21 სექტემბერს არტეკში გაიმართა ჭაბუკთა მსოფლიო ოლიმპიადა. მასში 16 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

## ლევან გოგოჭურის „ოქრო“

იმის გამო, რომ **ფიდეს** კალენდარში რამდენიმე სერიოზული შეჯიბრება ერთმანეთს დაემთხვა, საქართველოს ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა უკრაინაში. გიორგი და მალხაზ სულაშვილები, მიხეილ ქანთარია (ბათუმი), თორნიკე ხველელიძე (ოზურგეთი) და ლევან გოგოჭური 26 ქვეყნის 28 გუნდთან ასპარეზობაში ცხრილის შუაგულში აღმოჩნდნენ.

წარმატებით მხოლოდ **ლევან გოგოჭურმა** იასპარეზა, რომელმაც თავის დაფაზე ხუთივე პარტია მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა.

ლევან გოგოჭური ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო სკოლის აღზრდილია. მას აწ განსვენებული არჩილ მეგრელიშვილი წვრთნიდა, ამჟამად კი ალეკო ბოკუჩავასთან იმაღლებს ოსტატობას.

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულები ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა დააჯილდოვა.

## ესპანური „არდადეგები“

### სამმა ქართველმა მოჭადრაკემ ავილესიდან ერთი „ბრინჯაო“ ჩამოიტანა

ესპანეთის ქალაქები ბოლო წლებში დიდი სიამოვნებით მასპინძლობენ ახალგაზრდულ საჭადრაკო ტურნირებს. 27 აგვისტოს ქალაქ ავილესში დასრულდა ევროპის პირველობა 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. ვაჟების ტურნირში 68 მოჭადრაკე ასპარეზობდა, მათ შორის 16 წლის საერთაშორისო ოსტატი ზვიად იზორია, ხოლო გოგონათა პაექრობაში – 38 მონაწილე, მათ შორის 17 წლის საერთაშორისო ოსტატი ანა მათნაძე თელავიდან და 15 წლის **ფიდეს** ოსტატი, თბილისელი სოფიკო ხუხაშვილი. საერთოდ კი როგორც გოგონათა, ასევე ვაჟთა შორის ორ-ორი დიდოსტატი, რამდენიმე საერთაშორისო ოსტატი და **ფიდეს** ოსტატი იბრძოდა.

მოჭადრაკეები უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, არაერთხელ უთამაშიათ ერთად სხვადასხვა ტურნირში და იციან ერთმანეთის ძალა, მაგრამ ჩემპიონატის ფავორიტებიც კი „ძალიან რთულად“ თვლიდნენ ამ ასპარეზობას. ლიდერები მხოლოდ ტურნირის „ეკვატორთან“ გამოიკვეთნენ, მათ ისეთი მძლავრი მეტოქეები მოსდევდნენ ფეხდაფეხ, რომ ფაქტობრივად, ყოველი შემდგომი პარტია გადამწყვეტი იყო.

გოგონათა შორის წაუგებლად მხოლოდ ბრიტანელმა იოვანკა ჰოუსკამ იასპარეზა, უკვე მე-8 ტურის შემდეგ ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეებს და შეძლო ამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება – 9 ქულით ევროპის ჩემპიონი გახდა. მე-2 და მე-3 ადგილებისათვის ბოლო ტურამდე

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 263. შაბათი, 30 სექტემბერი, 2000 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედლები

# ესპანური „არდადეგები“



(მეხუთე გვერდიდან)

ძალიან დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. ქართველი გოგონები თავიდანვე ფავორიტებს შორის იყვნენ, მათ პარტიებს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. ანაც და სოფიკოც ბოლომდე პირველ სამეულში იყვნენ და „ხელი შეუშალეს“ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში ისეთ ალიარებულ მეტოქეებს, როგორებიც არიან დიდოსტატი ივეტა რაძიევიჩი (პოლონეთი), საერთაშორისო ოსტატები დანა რეიზნისე (ლატვია) და რეგინა პოკორნა (სლოვაკეთი). „პირველი კლასის მოთამაშეებიც კი უშვებენ შეცდომებს დაღლილობის, დროის უკმარისობის, ნერვიულობის გამო, – აღნიშნავდნენ ტურნირის ორგანიზატორები გავრცელებულ პრეს-რელიზში. – გარდა ქართველი მოჭადრაკეებისა, რომლებიც, ტრადიციის თანახმად, წამყვან ადგილებს იკავებენ“. და კიდევ, რამდენიმე ტურის შემდეგ: „ფეხდაფეხ მისდევენ ლიდერს ქართველი გოგონები ანა მათნაძე და სოფიკო ხუხაშვილი, რომლებმაც „ძნელად მოსახელთებელი მეტოქეების სახელი დაიმსახურეს“.

ამ დაძაბულ ბრძოლაში უკანასკნელი, მე-11 ტური აღმოჩნდა გადამწყვეტი. ნონა გაფრინდაშვილის მოსწავლემ ანა მათნაძემ 8 ქულით მე-2-მე-3 ადგილები გაიყო ვიქტორია სმილიტესთან ერთად. კოეფიციენტით ანა საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა, თუმცა მისი შეხვედრა სმილიტესთან მე-5 ტურში ანას გამარჯვებით დამთავრდა.

ანასთვის ეს წარმატება პირველი არ არის, ის მსოფლიოს 2-გზის და ევროპის 5-გზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკში, მრავალჯერ იყო საერთაშორისო ტურნირების და საქართველოს ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ანა მათნაძე სტაბილურად იკავებს საპრიზო ადგილებს საერთაშორისო ტურნირებში, ხოლო ავილესში მოპოვებულმა წარმატებამ მას ფულად ჯილდოსთან ერთად 20 წლის გოგონათა შორის 2001 წლის ევროპის პირველობის საგზურიც მოუტანა.

მე-10 ტურში დასანანი წაგება რომ არა, სოფიკო ხუხაშვილს (მწვრთნელი არტურ ჩიბუხჩიანი, კონსულტანტი ლამარა ჯანჯღავა) რეალური შანსი ჰქონდა საპრიზო სამეულში მოხვედრისა, მაგრამ 7,5 ქულით მეოთხე ადგილს დასჯერდა. თუმცა, სოფიკო ჯერ 15 წლისაა და მართლაც ყველაფერი წინ აქვს. საერთოდ სოფიკომ ესპანეთში კარგად იასპარეზა: ჩამოიტოვა ბევრად უფროსი და გამოცდილი მეტოქეები – ივეტა რაძიევიჩი, რეგინა პოკორნა, ევგენია ჩასოვნიკოვა. სოფიკო მარშანდელი მსოფლიო ჩემპიონია 16 წლამდე გოგონათა შორის და მას, იმედია, კიდევ მოუწევს თავისი წარმატების განმეორება.

რაც შეეხება ზვიად იზორიას, იგი 6 ქულით 27-ე ადგილზე გავიდა, თუმცა, ტურნირი საკმაოდ კარგად დაიწყო. ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული 8,5 ქულით უნგრელმა ადამ ჰორვატმა მოიპოვა; მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ესპანელი ფრანცისკო ბალიეხო პონსი და შვეიცარიელი ჯენი ფლორიანი გავიდნენ 8-8 ქულით. ვაჟთა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, აზერბაიჯანელ თემურ რაჯაბოვის თამაში – 7,5. მან „სულ“ მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაგრამ თემური მხოლოდ 13 წლისაა და შემთხვევით არაა, რომ საჭადრაკო წრეებში ამ ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატს „მეორე კასპაროვს“ უწოდებენ.

* * *

ავილესის ერთადერთი ჯილდოს მფლობელს საქართველოდან ანა მათნაძეს უკვე თელავში შევხვდით, სადაც იგი ტურნირის შემდეგ ისვენებდა.

– ცოტა დავიღალე, განსაკუთრებით კი მგზავრობამ დამღალა, – გვითხრა მან. – ძალიან რთული მარშრუტით ვიმგზავრეთ – თბილისიდან ბაქოში მატარებლით, ბაქოდან მადრიდში თვითმფრინავით, მადრიდიდან ავილესში კი ავტობუსით. არ იყო იმის საშუალება, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი გამოგვყოლოდა, ამიტომ აზერბაიჯანის დელეგაციას „შევეკედლეთ“ და ამ დელეგაციის ხელმძღვანელი ფაიკ ჰასანოვი გვიწევდა მფარველობას.

**– თვითონ ტურნირი თუ იყო დამღლელი?**

– რა თქმა უნდა, ალბათ, იმიტომაც, რომ „გრძელ პარტიებს“ ვთამაშობდით. ტურნირის მთავარი მსაჯი იოჰან ზვანეპოლი იტყოდა ხოლმე: აქ გვყავს „ლედი და ჯენტლმენები“, ჯენტლმენები მალე ამთავრებენ თავიანთ პარტიებს, ქალბატონები კი უკანასკნელ წუთამდე იბრძვიანო. მისი აზრით, ეს გოგონათა მეტ შეუპოვრობაზე მოწმობდა. კიდევ კარგი, დასვენების დღე გვქონდა და ცოტა ამოვისუნთქეთ, ექსკურსიაზეც ვიყავით. სხვათა შორის, როდესაც ერთმანეთს არ ვეთამაშებით, ყველანი მეგობრები ვართ.

**– კმაყოფილი ხარ შედეგით?**

– უკმარისობის გრძნობა დამრჩა – დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად რომ ჩემი მწვრთნელი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ყოფილიყო, შედეგი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. რამდენიმე პარტიაში ვერ გამოვიყენე უპირატესობა, ხოლო ჰოუსკასთან ცაიტნოტში დავმარცხდი. თავის მწვრთნელთან, ინგლისელ დიდოსტატ სტიუარტ კონკვესტთან ერთად ჩვენი პარტიის გაანალიზების შემდეგ იოვანკამ თვითონაც მაჩვენა, როგორ ვუგებდი ერთ სვლაში. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ პოკორნასთან თამაშით. აგრეთვე, სმილიტესთან, რეიზნისესთან, ხოლო ჩემი გამარჯვება რუმინელ ფიდეს ოსტატთან კრისტინა კალოტესკუსთან ესპანურმა პრესამ შეაფასა, როგორც ჩემი „საჭადრაკო სტრატეგიის გაკვეთილი“.

**– 20-წლიანების ტურნირებში თუ გრძნობ ხოლმე, რომ ასაკით უფროს მეტოქეებს ეთამაშები?**

– კი. იმიტომ, რომ ისინი უფრო გამოცდილები არიან, იგრძნობა, რომ მეტ ტურნირებში თამაშობენ და ეს, ბუნებრივია, მათ ეხმარება კარგი ფორმის შენარჩუნებაში და შედეგების მიღწევაში. ბევრი მოჭადრაკე, ვისაც ავილესში ვეთამაშე, თავიანთი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრებების წამყვანი მოთამაშეები არიან: ვიქტორია სმილიტე, დანა რეიზნისე, ივეტა რაძიევიჩი, იოვანკა ჰოუსკა...

**თამარ ზურაბიშვილი,**
**თინათინ ზურაბიშვილი.**

## სიახლე

# მსოფლიო თასი – ანანდსა და სიუ იუჰუას

თქმა არ უნდა, ფიდემ მართლაც რომ შესანიშნავი ახალი შეჯიბრება დააწესა – მსოფლიო თასის გათამაშება. იგი ყოველწლიურად და თანდათან სულ უფრო და უფრო ძლიერ შემადგენლობას შემოიკრებს, თუმცა, ახლანდელიც ძალიან კარგი იყო და საკმაო სიურპრიზებიც შემოგვთავაზა.

რაც შეეხება თვით გამართვის ადგილს, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ შენიანს, იგი შემთხვევით როდი იქნა შერჩეული – თავისი ისტორიული არსებობის 2300-ე წლის იუბილეს ზეიმობდა, თუმცა, ქალაქის მერი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მას 7000 წლის ცივილიზაცია აქვს. როგორც იტყვიან, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში 24-24 მონაწილე იყო. წრიული სისტემით გამართული ქვეჯგუფების შემდეგ რვა-რვა მონაწილეს უკვე ოლიმპიური წესებით უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა.

გვესაუბრება მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე:**

– მე პირადად არ მომწონს შეჯიბრების ასეთი ნახევრად წრიული, ნახევრად ოლიმპიური სისტემა. ჯერ ერთი, ჯგუფებში სულ სხვადასხვა ძალის მოჭადრაკეები გაანაწილეს: ვერ გაიგებდით, ვინ სად მოხვდა – ზოგში ცნობილმა დიდოსტატებმა მოიყარეს თავი, ზოგი კი აშკარად სუსტი იყო. ჩემთან, მაგალითად, მოხვდნენ კრამლინგი, რუსი კოსტენიუკი, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს, ნინო ხურციძე. ასეთ პირობებში სულ 5 პარტია იყო სათამაშო, ერთს წააგებ და, შეიძლება ჩათვალო, რომ დასკვნით სტადიაზე ველარ მოხვდები. წავაგე კიდეც პირველ ტურში – პია კრამლინგთან.

**– რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ მალე უნდა დაივიწყოთ. თქვენ ხომ წლეულს მსოფლიო პირველობაზე და ოლიმპიადაზე უნდა იასპარეზოთ?**

– ვნახოთ.

ნინო ხურციძემ, რომელიც, როგორც ვთქვით, მაიას ჯგუფში მოხვდა, რამდენადმე უკეთ ითამაშა. მან მეორე-მესამე ადგილები გაიყო პია კრამლინგთან და შემდეგ მეოთხედფინალში გასასვლელად მას დამატებით პარტიებში შეხვდა. აქ კი უპირატესობა უკვე მრავალნაცადმა შვედმა მოჭადრაკემ მოიპოვა.

ისე კი წინასწარმა შეჯიბრებებმა თვით მასპინძლებსაც საკმაო უსიამოვნება მოუტანეს. მეოთხედფინალში ვერ გავიდა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი სიე ჯუნი, რომლისგანაც ჩინელები, უნდა ვიფიქროთ, ახალ დიდ წარმატებებს მოელოდნენ.

სამაგიეროდ, სად იყო და სად არა, „ავანსცენაზე“ გამოჩნდა მანამდე თითქმის სრულიად უცნობი ჩინელი მოჭადრაკე ქალი სიუ იუჰუა. თუმცა, გამოჩნდა რა სიტყვაა! გამოჩნდა კი არა, პირდაპირ შავი დღე აყარა ყველას, ვისაც შეხვდა. საინტერესოა, რომ თუ მეოთხედფინალში ერთბაშად 5 (!) ჩინელი მოჭადრაკე ქალი გავიდა, ნახევარფინალში მხოლოდ ერთი მათგანიღა დარჩა – სწორედ ეს უცნობი სიუ იუჰუა (მკითხველი, ეტყობა, ივარჯიშებს და დაიმახსოვრებს ამ სახელს). ნახევარფინალში სიუ იუჰუა პია კრამლინგს შეხვდა. პირველი ძირითადი პარტია ჩინელმა წააგო, მაგრამ მეორე მოიგო, ბრძოლა გაგრძელდა. სწრაფმა პარტიებმაც ვერცერთ მხარეს ვერ მოუტანა უპირატესობა. დაინიშნა ბლიცი, აქ კი უფრო ძლიერი ახალგაზრდა ჩინელი აღმოჩნდა. მეორე ნახევარფინალში ბათუმში გაევროპისჩემპიონებულმა უკრაინელმა ნატალია ჟუკოვამ ვიეტნამელ ხოანგ ტრანგს კი მიუგო, მაგრამ ფინალში სიუ იუჰუასთან მაინც დამარცხდა (0,5:1,5).

მაშ ასე, თასს სიუ იუჰუა დაეუფლა.

ვაჟების ასპარეზობა მართლაცდა შესანიშნავი იყო. ბოლოსდაბოლოს, ვინ აკლდა მას? არ იყვნენ კასპაროვი და კრამნიკი. ეს გასაგებია – ისინი ხომ 7 ოქტომბერს მატჩს იწყებენ. არ იყო შიროვი, რომელმაც წლეულს, როგორც მიმომხილველები იუწყებიან, იმდენი ითამაშა, რომ დასვენებაც ნამდვილად დაიმსახურა. ლეკომ 2 სექტემბერს იქორწინა ცნობილ სომეხ დიდოსტატ არშაკ პეროსიანის ქალიშვილ სოფიაზე და მსოფლიოს თასის დარდი ნამდვილად არა ჰქონდა. რატომ არ თამაშობდნენ ადამსი და ტოპალოვი, ჩვენ არ ვიცით და, შესაძლოა, არც მათ იციან. აი, ყველა დანარჩენი გამოჩენილი მოჭადრაკე კი ნამდვილად ჩავიდა შენიანში.



თუ ვინმე უნდა ემდუროდეს თავის შედეგებს წინასწარ ჯგუფში, ეს პირველ რიგში რუსეთის წარმომადგენლებზე ითქმის. ამჯერად მარცხს მარცხზე განიცდიდა მოროზევიჩი, რომელიც „ყოველთვის ასეთი დევიზით თამაშობს „ან კეისარი, ან არაფერი!“ ძალზე უფერული იყო ევროპის ჩემპიონი პაველ ტრეგუბოვი და, თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ უარესი – მსოფლიო ჩემპიონი (ფიდეს ვერსიით. ნუ წერთ ასეო, გვთხოვს ფიდეს ხელმძღვანელობა, მაგრამ მაინც ვწერთ. რა ვქნათ, კასპაროვი ხომ არსებობს!) ხალიფმანი. ცხადია იმასაც ვგულისხმობთ, რომ ვერც მოროზევიჩი და ტრეგუბოვი, ვერც ხალიფმანი მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევგენი ბარეევი (რუსეთი) და ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბორის გელფანდი (ისრაელი, მას დამატებითი პარტიების თამაში მოუხდა ვლადისლავ ტკაჩევთან, რომელიც ახლა საფრანგეთის წარმომადგენელი გახდა) და ჩინელი ჯე ჯანჯუანი, ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), რომელმაც დამატებითი პარტიები მოუგო ნაიჯელ შორტს (ინგლისი), ბრაზილიელი ჟილბერტო მილოში და ექს-თბილისელი, ახლა კი ჩეხეთის წარმომადგენელი სერგო მოვსესიანი. ვთქვათ ისიც, რომ სერგო მეოთხედფინალში ისე „ერთბაშად“ არ გასულა: მან ქვეჯგუფში მეორე-მესამე ადგილები გაიყო რუსეთის სამგზის ჩემპიონ პეტრე სვიდლერთან და შემდეგ სძლია მას დამატებით შეჯიბრში. მით უკეთესი სერგოსათვის!

ზურაბი წინასწარ ჯგუფში ძალიან კარგად თამაშობდა და შავებით მოუგო მოროზევიჩს, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის რეპუტაცია აქვს. მეოთხედფინალის პირველ პარტიაში მან შავებით ბარეევსაც მოუგო, რის შემდეგ მოსკოვის ერთ-ერთმა გაზეთმა ლამის გამოიტირა თავისი მოჭადრაკე. სამწუხაროდ, ბარეევმა მოიგო მეორე პარტია, შემდეგ დამატებით შეხვედრებშიც მიაღწია უპირატესობას და ნახევარფინალში გავიდა. თავიანთი მატჩები მოიგეს, აგრეთვე, ანანდმა, გელფანდმა და მილოშმა.

ნახევარფინალშიც დიდი ამბები მოხდა. ჯერ ის იყო, რომ ანანდი-გელფანდისა და ბარეევ-მილოშის ძირითადი პარტიები ყაიმით დასრულდა – 1:1, შემდეგ კი მეტისმეტად დიდი იღბალი აღმოაჩნდა ბარეევს, რომელსაც, როგორც ვნახეთ, მანამდეც უმართლებდა. პირველ დამატებით სწრაფ პარტიაში მილოშს ლაზიერი და მხედარი დარჩა, ბარეევს კი მხოლოდ ლაზიერი. რამდენადაც ვიცით, ჭადრაკში ის იგებს, ვისაც ზედმეტი ფიგურა აქვს. ამ შეხვედრაში კი პირიქით მოხდა – ბრაზილიელმა რაღაც გაუგებარი სვლა გააკეთა და ... ლაზიერი დაკარგა, შემდეგ კიდევ 25 სვლით გააგრძელა უკვე უაზრო წინააღმდეგობა. საინტერესოა, რომ მეორე პარტიაშიც ბარეევს უარესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ყაიმს მიაღწია და ფინალში გავიდა.

თითქოს სულაც არ ჩქარობენო, ანანდმა და გელფანდმა ჯერ ორი ძირითადი პარტია დაამთავრეს სწრაფი ყაიმით, შემდეგ ასეთივე შედეგით – ორი დამატებითი სწრაფი შეხვედრა. წილისყრის თანახმად, ბლიცის პირველ პარტიაში თეთრებით ებრაელი დიდოსტატი თამაშობდა, მცირე უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ აქ ყაიმი აღინიშნა. სამაგიეროდ, მეორე ელვისებური პარტია ინდოელმა ჩინებულად წარმართა და მოიგო.

მაშ ასე, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ანანდი და ბარეევი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ანანდმა, რომელსაც ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა წვრთნის, სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა (1,5:0,5).

**გივი გამრეკელი.**

## ტურნირი

# გამარჯვება ვისბადენში

**თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა დავით ლობჟანიძემ ნორვეგიაში ორ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ერთი მათგანის შესახებ „ლაზიერის“ წინა გამოშვებაში ვიუწყებოდით. მასში დავითმა II ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ ცნობილი დიდოსტატი სერგეი ტივიაკოვი გაუშვა.**

**ივლისის ბოლოს ბერგენში გამართულ ტურნირში 7 ქულით 9 შესაძლებლიდან ალექსანდრე ვოლჟინმა გაიმარჯვა. ხუთი მოჭადრაკე მას ნახევარი ქულით ჩამორჩა. მათ შორისაა ლობჟანიძეც. რომელსაც ბუხჰოლცის კოეფიციენტების მიხედვით III პრიზი გადაეცა.**

**ნორვეგიიდან დავით ლობჟანიძემ გერმანიის ქალაქ ვისბადენში გადაინაცვლა და 110 მოჭადრაკესთან პაექრობაში 7,5 ქულით 9 შესაძლებლიდან პირველობა არავის დაუთმო.**

**გთავაზობთ დიდოსტატ იური იაკოვიჩის და დავით ლობჟანიძის პარტიის ფრაგმენტს, რომელშიც ქართველმა მოჭადრაკემ ენერგიული თამაშით დაჯაბნა მეტოქე.**

ლობჟანიძე



იაკოვიჩი

33. ... f3 34. gf gf
35. მf3 მh3 36. მფg2 მg4
37. ეb2 მf4 38. მფh1 ეb7
39. მb5 ლf6 40. ეc2 მh3
41. მფg2 მhf2 42. ლe2 მd1
43. მფg1 მde3 44. ეc1 ეf7
45. h3 ლf4 46. bg ლg3
47. მფh1 ეf3 48. ლh2 ლg4
49. ეg1 ლa7 50. ეg3 მf1
51. ეf3 მh2 52. მფh2 ლg4
53. ეf2 ლh4 54. მფg1 ლe4
55. მd6 ლe1 56. მფg2 e4
57. მe8 მფh6 59. მf6 e3 და იაკოვიჩი დანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიება

*ქართულ ჭადრაკს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. თითქოს ყველაფერი უკვე ცნობილია, მაგრამ ამ ბოლო წლებში წარსულის კიდევ ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა. რამდენიმე მათგანის შესახებ „ლაზიერი" უკვე იუწყებოდა. ჩემი ინტერესი ამ საკითხებისადმი განსაკუთრებით გააცხოველა ცნობილი ქართველი მწვრთნელის შოთა ინწკირველის არქივის გაცნობამ.*

*აქ მოვიძიე ცნობა, რომ, თუ არ ჩავთვლით ანდრია დადიანის პარტიებს, 1925 წლამდე საქართველოში ნათამაშევი არცერთი საჭადრაკო პარტიის ჩანაწერი არ გაგვაჩნდა. არადა, ტურნირები იმართებოდა. თვითონ შოთა ინწკირველმა 1901 წელს თბილისში გამართული ტურნირის შედეგებს მიაგნო...*

*სექტემბრის პირველ დეკადაში ხორვატიაში გავემგზავრე საჭადრაკო კომპოზიტორთა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვი-პულას რეისი ერთი დღით გადაიდო. მოსკოველი მეგობრების საოჯახო ბიბლიოთეკაში სტუმრობის შედეგად აღმოვაჩინე დ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, პ. ხელთუფლიშვილის, ბურგიშვილის (გვარი შეიძლება შეცდომით არის დაბეჭდილი) ა. სმიტენის პარტიები; 1893 წლის ტბილისის საჭადრაკო ცხოვრების ქრონიკა, ანდრია დადიანის ორი ახალი პარტია და სხვა საინტერესო „ახალი" ამბები.*


№ 22. ИЗДАНІЯ ГОДЪ ТРЕТІЙ. Т. III[a].

ШАХМАТНОЕ ОБОЗРѢНІЕ

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ

ПОСВЯЩЕННЫЙ ИГРАМЪ ВЪ ШАХМАТЫ И ШАШКИ.

1893

АПРѢЛЬ

СОДЕРЖАНІЕ:

I. ИЗЪ ШАХМАТНАГО АРХИВА. ... XXI.
II. ЗАМЕТКИ КЪ ПАРТІЯМЪ И ДЕБЮТАМЪ. ... Хардина.
III. ВТОРОЙ КОНКУРСЪ ШАХМАТНЫХЪ ЗАДАЧЪ.
IV. ЗАДАЧИ. ...
V. ПАРТІИ № 161. ...
VI. ХРОНИКА. По Россіи и заграницей. ...
VII. НАШИ ШАХМАТНЫЕ ТУРНИРЫ ПО ПЕРЕПИСКѢ.
VIII. БИБЛІОГРАФІЯ. ...
IX. ШАШКИ. ХРОНИКА.
X. ЗАДАЧИ. ...
XI. ПАРТІИ № 50. ...
XII. ЭТЮДЫ И ОКОНЧАНІЯ ПАРТІЙ. ...
XIII. РѢШЕНІЯ ЗАДАЧЪ. ...
XIV. ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ. ...
XV. ПОПРАВКИ. ОПЕЧАТКИ. ОТЪ РЕДАКЦІИ.

## ტბილისი.1893 წელი.

საოცრად ავღელდი 1893 წლის „შახმატნოე ობოზრენიეს" ფურცვლისას. თითქმის ყველა ნომერში ვნახე ცნობა ტბილისის საჭადრაკო ცხოვრების შესახებ.

№ 20-21

„ტბილისი. გვატყობინებენ, რომ ზამთრის ტურნირი, რომლის შესახებაც ჩვენ ვწერდით ჟურნალის მე-18 ნომერში, ჩაიშალა. ძირითადი მიზეზია ვ. ა. ერდელის საფრანგეთის სამხრეთში დასასვენებლად გამგზავრება. ტურნირში 14 მოყვარული ჩაეწერა. გაიმართა მონაწილეთა პირველი შეკრება ტურნირის დებულების შესამუშავებლად, თუმცა მეორე დღეს თითქმის არავინ გამოცხადდა. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომში სიტუაცია შეიცვლება და ტიფლისის საჭადრაკო წრე კვლავ გააქტიურდება".

№ 22

„ტბილისი. ფრანგული ჟურნალი „სტრატეჟი" იუწყება, რომ თავადი ა. დადიანი-მინგრელსკი ეთამაშა ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულებს. ვ. ა. ერდელთან მან მხოლოდ ერთი პარტია ითამაშა და გაიმარჯვა. ა. პ. სმიტენს 12 პარტიიდან 8 მოუგო და 2 ყაიმით დაამთავრა. ხ. ნ. პეტროვს მან ორი პარტია მოუგო, ხოლო თავად ჭავჭავაძეს კი – ექვსი პარტია".

№ 23-25

„ტბილისი. № 20-21 ჟურნალში ჩვენ გატყობინებდით იმ ტურნირის შესახებ, რომელიც არ გაიმართა. აქაურ საჭადრაკო წრეში სანაცვლოდ, შესდგა პატარა ტურნირი 10 მოჭადრაკის მონაწილეობით. მასში ჩაებნენ სმიტენი, ტერ-ასატუროვი, შიმანოვსკი და ახალგაზრდა ივანოვი, რომელიც ახლახანს დასახლდა ტბილისში. ამ უკანასკნელმა წაუგებლად მოიპოვა პირველი პრიზი. ვ. ა. ერდელმა ტურნირში მონაწილეობა არ მიიღო. საჭადრაკო წრემ გამოიწერა ახალი დაფები და სტაუნტონის ჭადრაკები. მოჭადრაკეები იკრიბებოდნენ კლუბში, რომელსაც ეწოდება „Тифлисский кружок". ამჟამად მათ გადაინაცვლეს საზაფხულო შენობაში. ჭადრაკისადმი ინტერესი იზრდება. 20 ივნისს გარდაიცვალა ვ. ნ. დიმო".

№ 30

„ტბილისი. 1 დეკემბერს დამთავრდა ტურნირი, რომელშიც მეორე ძალის 14 მოჭადრაკე-მოყვარული მონაწილეობდა. პირველი პრიზი (ვერცხლის საფერფლე და ჯიბის ჭადრაკი), რომელიც დააწესა ვ. ა. ერდელმა, მოიპოვა ნ. პ. გოლოვაშკინმა. მეორე პრიზი (პორტსიგარი) გადაეცა ლ. ი. პრიგარას".

# ახალი „ძველი" ამბები

## ქართული ჭადრაკის ისტორიისათვის

### ევანსის გამბიტი

ა. პრიკის „Руководство кь изученю шахматной игры" (პეტროგრადი, 1914 წ.) მე-5 ნომერი მთლიანად მიეძღვნა ევანსის გამბიტის განხილვას. მოყვანილია მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი მოჭადრაკის პარტია, სასიხარულოა, რომ მათ შორის ჩვენი თანამემამულენი აღმოჩნდნენ.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ მუხრანსკის შესახებ „ლაზიერი" ადრეც წერდა. ის ხშირად მონაწილეობდა მიროტვორკის მიწერ-მოწერით ტურნირებში. ქვემოთ მოყვანილი პარტიაც იქაა ნათამაშევი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ დიდი ოსტატობით წარმართა იერიში.

ავგუსტინოვიჩი – კნიაზ ბაგრატიონ-მუხრანსკი მიროტვორსკის XI მიწერ-მოწერითი ტურნირი

1. e4 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კb4
5. c3 კa5 6. 0-0 მf6
7. d4 0-0 8. de მe4
9. კd5 მc5 10. მg5 ლe7
11. ლc2 g6 12. f4 კb6
13. მფh1 d6 14. f5 მe5
15. f6 ლd7 16. ლd2 ლg4
17. მh7 ლh4 18. მf8 მg4
19. g3 ლh3 20. ლg2 მd3!!
21. მg6 მdf2 22. ეf2 მf2
23. მფg1 ლh5 24. მe7 მფf8
25. კf3 ლe5 26. კh6 მფe8
27. მ:c8 ე:c8 28. კg7 მd3

და თეთრები დანებდნენ.

პლატონ ხელთუფლიშვილის შესახებ ქართული ჭადრაკის მემატიანემ თენგიზ გიორგაძემ მოგვითხრო წიგნში „ჭადრაკს გამიჯნურებულები". ხელთუფლიშვილი, როგორც შოთა ინწკირველმა მიაკვლია, ხშირად მონაწილეობდა მიწერ-მოწერით ტურნირებში.

ხელთუფლიშვილის და ზიბინის პარტიას პირველი 14 სვლა წინა პარტიას დაემთხვა.

15. ... ლd8 16. მh7 მფh7
17. ლd2 მg4 18. ეf4 მe4
19. კe4 კe3 20. ლd5 კf4 და

როგორც ჟურნალში სწერია „შავებმა უნდა მოიგონ", საბოლოო შედეგი ჩვენთვის უცნობია.

შემდეგი პარტია ტბილისშია ნათამაშევი 1913 წელს.

კნიაზ ბურგიშვილი – მუხრომიანცი ტბილისი. 1913.

ევანსის გამბიტი

1. e4 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კ:b4
5. c3 კc5 6. 0-0 d6
7. d4 ed 8. cd კb6
9. d5 მce7 10. e5 კg4
11. ლa4 ლd7 12. კb5 c6
13. e6 კ:e6 14. de fe
15. კd3 მf6 16. მbd2 e5
17. კa3 მg6 18. მc4 კc7
19. ეab1 b5 20. ე:b5! cb
21. მd6 მფd8 22. კb5 და შავები

დანებდნენ.

მე-19 საუკუნეში თბილისში უძლიერესი მოჭადრაკეები იყვნენ ერდელი და სმიტენი. ამ უკანასკნელმა ანდრია დადიანთან ორი მატჩი ითამაშა. დღემდე მისი სხვა პარტიები არ მოიპოვებოდა. გთავაზობთ მის ორ პარტიას, მათი თარიღი ჟურნალში მითითებული არ არის.

ა. სმიტენი – ვ. დ.
1. e4 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კ:b4
5. c3 კc5 6. 0-0 d6
7. d4 ed 8. cd კb6
9. e5 de? 10. d5 მa5
11. კa3 მe7 12. მ:e5 მ:c4
13. ლa4 c6 14. მ:c4 მ:d5
15. მd6 მფd7 16. ეfd1! და

თეთრებმა მალე მოიგეს.

პ. ისაკოვი – ა. სმიტენი
1. e4 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კ:b4
5. c3 კa5 6. 0-0 d6
7. d4 კd7 8. მg5 მh6
9. d5 მe7 10. მe6 fe
11. de კc6 12. ლh5 მg6
13. კg5 ლc8 14. f4! კb6
15. მფh1 კ:e4 16. კ:h6 d5!
17. კ:g7 ეg8 18. f5 ე:g7
19. fg ლ:e6 20. gh მფd7
21. კc4:d5 ლ:d5 22. ლh3 ლe6
23. ეd1 კd4 24. ლ:e6 მფ:e6
25. cd კ:g2 26. მფg1 კf3 0:1.

აქვეა დაბეჭდილი ანდრია დადიანის ჩვენთვის უცნობი ორი პარტია.

ა. დადიანი – მ. სიკარი
1. e5 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კ:b4
5. c3 კa5 6. d4 d6
7. de ლe7 8. 0-0 de
9. კa3 ლd7 10. ლb3 მf6
11. ეfd1 ლg4 12. ლa4 კd7
13. კb5 კb6 14. ე:d7! ლ:d7
15. მ:e5 და შავები დანებდნენ.

გელბაკი. დადიანი – ბრუესკი, რიცლინი, ფონ-ბიულოვი

კიევი. 1901.
1. e4 e5 2. მf3 მc6
3. კc4 კc5 4. b4 კ:b4
5. ac3 კc5 6. 0-0 d6
7. d4 ed 8. cd კb6
9. მc3 მf6 10. e5 de
11. კa3 კf5 12. ლb3 კg6
13. de მa5 14. ლb4 მ:c4
15. ლ:c4 კd3 16. ლb3 კ:f1
17. ef ლ:f6 18. ეe1 მფd7
19. მd5 ლf5 20. მe5 მფd8
21. მ:b6 ab 22. მ:f7 მფd7
23. ეe7 მფc8 24. მf6 1:0

### ტბილისში ამოცანებსაც ადგენდნენ

ივანე ტყეშელაშვილმა 1893 წელს „შახმატნი ჟურნალში" ორსვლიანი ამოცანა გამოაქვეყნა. ამ ამოცანას კარგად იცნობს მკითხველი.

„შახმატნოე ობოზრენიეს" 1893 წლის № 26-29 რედაქცია ატყობინებს თბილისელ გ. გ. სუნდუკიანცს, რომ მისი № 4 არ დაიბეჭდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისელი ჭადრაკის მოყვარულის სამი ამოცანა დღის სინათლეს იხილავდა. შემდგომი ძიებისას მხოლოდ ერთ ამოცანას მივაგენი.

გ. გ. სუნდუკიანცი
ტბილისი



შამათი ორ სვლაში

იმედია, მკითხველი თვითონ შეეცდება მის ამოხსნას.

### შოთა ინწკირველის არქივიდან

ანდრია დადიანმა სიცოცხლის ბოლო წლები კიევში გაატარა. 1903 წლის „შახმატნოე ობოზრენიე" რამდენიმე საგულისხმო ფაქტს გვაცნობს.

№ 63

კიევი. „სტრატექის" № 8 იუწყება, რომ გაიმართა ორი საკონსულტაციო პარტია. დადიან-მინგრელსკიმ და სტარიცკიმ ერთი პარტია მოიგეს და მეორე ყაიმით დაამთავრეს იურევიჩთან და მაგიდოვთან.

№ 64-65

კიევი. სრულიად რუსეთის III ტურნირის მიმდინარეობისას ანდრია დადიან-მინგრელსკიმ თავისთან მიიწვია შიფერსი, იურევიჩი და ლებედევი. მათ ორი საკონსულტაციო პარტია ითამაშეს. ორივეში თეთრებმა გაიმარჯვეს. პირველ პარტიაში დადიან-მინგრელსკის და ლებედევის დუეტმა, მეორეში კი დადიან-მინგრელსკი – შიფერსმა.

№ 66

კიევი. „სტრატეჟი" იუწყება, რომ ა. დ. დადიან-მინგრელსკიმ ნოემბერში თავის „რეზიდენციაში" გამართა ტურნირი, მასში თვითონ დადიანის გარდა მონაწილეობდნენ სალუხა, მაგიდოვი, მაზეევსკი, ციბულსკი და სტარიცკი. ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გაეთიშა. I პრიზი მოიპოვა თავადმა. მეორე-მეოთხე ადგილები კი გაიყვეს სალუხამ, მაზეევსკიმ და ციბულსკიმ.

### ქართველი მეცენატები

1909 წელს სანქტ-პეტერბურგში გაიმართა ჩიგორინის ხსოვნის საერთაშორისო კონგრესი. ძირითად ტურნირში მონაწილეობდნენ ლასკერი, რუბინშტეინი, შპილმანი, ტარტაკოვერი და სხვა იმ დროისათვის ცნობილი მოჭადრაკეები. კონგრესის გასამართავად შეიქმნა ფონდი, წიგნში მოტანილია სია იმ პიროვნებებისა, ვინც ფონდში შეწირულობა შეიტანა. ყველაზე დიდი თანხა რუსეთის იმპერატორის და მისი ოჯახის წევრებმა გაიღეს.

„ლაზიერის" მკითხველებისათვის საინტერესო იქნეს ამ სიაში მოყვანილი ჩვენი თანამემამულეთა გვარები. ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავადი პ. ა. შერვაშიძე და მ. ა. ასათიანი.

### ბათუმი. 1917 წელი.

შოთა ინწკირველმა ადრე გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ 1923 წლის 16 მარტს ვლ. ზდანევიჩის რედაქციით ადგილობრივ გაზეთში გაიხსნა საჭადრაკო კუთხე. რომელიც სიახლეა ამიერკავკასიის არა მარტო საბჭოთა პერიოდისთვის.

შოთა ინწკირველის არქივზე მუშაობისას ბათუმის შესახებ კიდევ ორ ცნობას მივაგენი. 1922 წელს ამოცანების და ეტიუდების ამოხსნის კონკურსში სხვებთან ერთად გამარჯვებულებში მოხსენიებულია ზდანევიჩი (ბათუმი). მეორე ცნობა უფრო საინტერესოა:

„შახმატნი ლისტოკი" № 25-26. 1923 წლის ივლის-სექტემბრის გამოშვება გვამცნობს, რომ ბათუმში ემზადებიან აჭარის პირველობის გასამართავად. აქვე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სრულიად რუსეთის საჭადრაკო კავშირის წევრი ვ. ა. ბასენსკი, რომელსაც ახასიათებენ როგორც შესანიშნავ ორგანიზატორს და ერთ-ერთ უძლიერეს ადგილობრივ მოყვარულს. ის ყოფილა ბათუმის ჩემპიონი 1917-1920 წლებში.

ის, რომ ბათუმის პირველობა თურმე იმ წლებში იმართებოდა, საქართველოს ჭადრაკის ისტორიისთვის მეტად საგულისხმო ფაქტია.

ჩვენ ვთხოვთ ბათუმელ ჭადრაკის მოყვარულებს და განსაკუთრებით ბატონ ალეკო ჩხარტიშვილს, მოიძიონ ის გაზეთი, რომელშიც 1923 წლის 16 მარტიდან გაიხსნა საჭადრაკო კუთხე. ამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები, იმედია, ბევრ ახალ ფაქტს გამოამზეურებს.

**დავით გურგენიძე.**

ლაზიერი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 263. შაბათი, 30 სექტემბერი, 2000 წელი.

პრაქტიკა

# მუციოს გამბიტი?!

მეფის გამბიტი უაღრესად იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თანამედროვე სატურნირო პრაქტიკაში. თუმცა, მეფის გამბიტიც არის და მეფის გამბიტიც! მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც უკვე მეხუთე სვლაზე მხედრის შეწირვასთან არის დაკავშირებული (მას პოლერიო-მუციოს გამბიტი ჰქვია), მეტისმეტად სარისკოა. როგორი საქმეა, უკვე მეექვსე სვლიდან მოყოლებული, მთელი პარტიის განმავლობაში უფიგუროდ ითამაშო! ამას XIX საუკუნეში კი აკეთებდნენ, მაგრამ...

ამას წინათ დამთავრებულ მსოფლიო თასის გათამაშებაში ქ. შენიანში მოსკოველმა დიდოსტატმა ალექსანდრ მოროზევიჩმა, რომ იტყვიან, არც აცია და არც აცხელა, და მუციოს გამბიტს მიმართა. ვნახოთ, რა მოჰყვა შედეგად ამ მეტად გაბედულ გადაწყვეტილებას:

ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – ალექსეი ალექსანდროვი (ბელორუსია)

1. e4 e5 2. f4 ef
3. მf3 g5 4. d4 g4 5. კf4!

ამ სვლას ძახილის ნიშანი მხოლოდ გაბედულებისათვის ეკუთვნის.

5. ... gf 6. ლf6 d6 7. მc3 მc6 8. 0-0-0 h5 9. e5 კg4

რა ხდება? თეთრები ზედიზედ წირავენ ფიგურებს. ვნახოთ, რითი უპასუხებს ბელორუსი მოჭადრაკე, რომელიც, სხვათა შორის, ევროპის ვიცე-ჩემპიონია.

10. ლe4 კh6 11. კh6 ეh6
12. ეd2 de 13. h3 კd7
14. d5 მce7 15. ლe5 მფf8

ზედმეტი ფიგურის მიუხედავად, შავებს ჯერჯერობით მაინცდამაინც არ ულხინთ. მათ თავი ერთადერთი სვლებით უნდა დაიცვან.

16. კd3 მc8 17. ეf1 მd6
18. ეdf2 ლe7 19. ლd4 ლg5
20. მფb1 კe8 21. მe2 b6
22. მf4 კd7 23. ლc3 ეc8
24. კa6 ლg7!

შესანიშნავი თავდაცვითი სვლაა. შავები შეელიენ ხარისხს, მაგრამ სამაგიეროდ ცვლიან მთავარ შემტევ ფიგურას – ლაზიერს.

25. ლg7 მფg7 26. კc8 კc8
27. ეf3 მf6

რაღა დარჩათ თეთრებს? როგორ განებავთ გააძლიეროთ შეტევა?

28. b3 მfe4 29. მფb2 h4
30. ეe1 a5 31. c4 ეh8
32. მd3 ეh5 33. ეf4 კf5!?
34. მe5 მc5

უნდა აღინიშნოს დაცვის დიდი ოსტატობა, რომელიც ალექსანდროვმა ამ შეხვედრაში გამოავლინა.

35. მფa3 f6 36. მc6 კe4
37. ეe3 ეg5 38. ეh4 ეg2
39. ეg4 ეg4 40. hg მფg6
41. მd4 მფg5 42. ეg3 კg6

შავები სრულ კონტროლს უწევენ მთელ დაფას.

43. ეg1 კe8 44. მe6 მe6
45. de კc6 46. მფb2 კf3
47. c5

პარტიის ხსნის ბოლო ცდა, მაგრამ...

47. ... bc 48. e7 მფg6
49. ეc1 c4 50. e8ლ მe8
51. ეc4 მფg5 52. a4 c6
53. მფc3 კd5 54. ეc5 მფg4
55. ეa5 f5 56. ეa8 მd6
57. ეd8 მe4 58. მფd4 მg5
59. ეe8 f4 60. a5 მe6
61. მფd5 მc5 62. მფc3 და თეთრები დანებდნენ.

ეჰ, ძნელი ყოფილა მუციოს გამბიტის თამაში!

გივი გამრეკელი.

კომპოზიცია

# საჭადრაკო პორტრეტები

„მშვენივრად გამოხატვა ნიშნავს, ერთნაირად ფლობდე გონებას, სულსა და გემოვნებას“.

ბიუფონი.

საჭადრაკო ხელოვნებაში ამა თუ იმ საჭადრაკო იდეის გატარება, ცხადია, სხვადასხვა ფიგურის დახმარებით ხდება. ამასთანავე, ზოგიერთი საჭადრაკო იდეის გატარება ხშირად დაკავშირებულია კონკრეტულ საჭადრაკო ფიგურასთან და მის გეომეტრიულ თავისებურებასთან. ასე, მაგალითად, კუ ხაზოვანი ფიგურაა. იგი დიაგონალებზე მოძრაობს, ამიტომ ამ ფიგურის დახმარებით ეტიუდისტები ხშირად ახორციელებენ სხვადასხვა გეომეტრიულ ან სისტემატიური მოძრაობის ნაირფეროვან სახეებს. ეს ფიგურები საჭადრაკო დაფაზე მოქმედებენ, როგორც „აქტიორები“, ამიტომ საჭადრაკო დაფა, როგორც ემანუილ ლასკერი აღნიშნავს, მდიდარია „რეპერტუარით“. ლასკერი წერდა: „ესთეტიკური ეფექტის მისაღებად ჭადრაკის ფიგურები რომ მოქმედი და მგრძნობიარე არსებანი არიან, საფუძველს მოკლებული არაა. ესთეტიკის საკითხებში ადგილი აქვს ფეტიშიზმს – კაცობრიობის უძველეს რელიგიას. ილუზია განსაკუთრებით ძლიერია ესთეტიკური შთაბეჭდილების მიღებისას. როცა მუსიკის მოყვარული კარგად შესრულებულ ჰანგს ისმენს, თვითონ ქმნის მოჩვენებით გამოსახულებებს და განცდებს. კარგი თამაშის გავლენით მოჭადრაკე თვითონ გრძნობს ჭადრაკის ფიგურათა არარსებულ განცდებს, რომელიც შემდგომ ანალიზს არ ექვემდებარება“.

დღეს ჩვენ გავეცნობით რამდენიმე საინტერესო ეტიუდს, რომლებშიც მთავარი მოქმედი ფიგურებია თეთრი და შავი კუ. № 1 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში თეთრი კუ რამდენჯერმე იწირება, რათა დაეხმაროს საკუთარ გამსვლელ პაიკს. ეტიუდი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს.

პ. ჰეიკერი 1930



თეთრები იგებენ

1. კa7! კa1! 2. მფb1 კc3
3. მფc2 კa1 4, კd4!! კd4
5. მფd3 კa1 6. მფe4!! და შავები ფარხმალს ყრიან. მოკლე, მაგრამ დრამატიზმით აღსავსე ნაწარმოებია.

ამავე მასალაზე საინტერესო ნაწარმოები შექმნა მოსკოველმა ეტიუდისტმა ლ. სილაევმა. ეტიუდი ყურადღებას იპყრობს თეთრი კუს მეტად გააზრებული მანევრებით. ვნახოთ მისი გადაწყვეტა:

ლ. სილაევი 1985



თეთრები იგებენ

1. კa5! კa3 2. g6 კf8
3. კb4! კh6! 4. კd2 კg7
5. კc3 კf8 6. მფd3 მფg3
7. მფe4 მფg4 8. კf6 კg7!
9. მფe5 მფh5 10. მფf5 კh5
11. კe7 კg7 12. კg5 კf8
13. მფf6 კe7 14. მფf7 და თეთრები იგებენ.

№ 3 დიაგრამაზე გამოსახულ ბირბრაგერის ეტიუდში თეთრი და შავი კუს სისტემატური დუელია წარმოდგენილი. მიმზიდველია მისი გადაწყვეტა:

ი. ბირბრაგერი 1954



თეთრები იგებენ

1. b7 g4! 2. მფg3 კe3!
3. კf2 კd4 4. კe3! კc5!
5. კd4! კb6! 6. კc5! კa7!
7. კb6! კb8 8. მფf2 კg3
9. მფf1! მოგებით.

და ბოლოს, № 4 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში ფიგურათა სისტემატურ მოძრაობაში უკვე ჩართულია სამი ფიგურა – თეთრი მეფე და 2 შავი კუ. თეთრი მეფე საინტერესო მანევრს ახორციელებს – თეთრი დიაგონალით მიემართება ზემოთ და თეთრი-შავი დიაგონალით ეშვება ქვემოთ. ეტიუდის გადაწყვეტა ასეთია:

ვ. კალანდაძე 1990



თეთრები იგებენ

1. g7 კd1 2. მფc4 კe2
3. მფd5 კf3 4. მფe6 კg4
5. მფe5 კf4 6. მფd5 კf3
7. მფd4 კe3 8. მფc4 კe2
9. მფc3 კd2 10. მფb3 კd1
11. მფb2 მოგებით.

როგორც ვნახეთ, აღნიშნული ფიგურების მონაწილეობით ეტიუდისტები მეტად საინტერესო ნაწარმოებებს ქმნიან. ეს მასალა მეტად ნაყოფიერი გამოდგა სხვადასხვა გეომეტრიული და რიტმული მოძრაობის გადმოსაცემად.

ველიმირ კალანდაძე.

გვეხმაურებიან

# კვლევა უნდა გაგრძელდეს

მკითხველთა ინტერესი გამოიწვია „ლაზიერის“ წინა ნომერში დაბეჭდილმა თ. გიორგაძის წერილმა „64 უჯრა და ჩვენი პრესა“ (ქართული საჭადრაკო პრესის განვლილი გზა 1830-2000 წლებში).

ირკვევა, რომ ქართულ პრესაში ჭადრაკი უცხო ხილი არ ყოფილა. იგი XIX საუკუნეშიც აინტერესებდა საზოგადოებას. შესაძლოა, მეტი ინფორმაცია არსებობს, ვიდრე წერილშია მოტანილი. თუმცა ბევრისმეტყველია ის, რომ დიდი ილიას კალამს ეკუთვნის ჩიგორინ-ტარაშის მატჩის დასკვნითი მიმოხილვა. თუ კვლევა გაგრძელდება, უთუოდ მოიძებნება ახალი საინტერესო ფაქტები, ცნობები. რამდენადაც ვიცით, ცნობილმა მწერალმა, აწ განსვენებულმა შ. ინწკირველმა ყურადსაღებ ინფორმაციებს მიაგნო XIX და XX საუკუნეების გასაყარისდროინდელ პრესაში.

უეჭველად საინტერესოა XX საუკუნის დამდეგის გაზეთებში „ჭადრაკის კუთხეების“ გახსნა და რედაქტორებად იმდროინდელი უძლიერესი მოჭადრაკეების მიწვევა. მართალია, თ. გიორგაძე ასახელებს მათ, მაგრამ არაფერს ამბობს რომელ წლებში უძღვებოდნენ ისინი ამა თუ იმ გაზეთის „ჭადრაკის კუთხეს“.

ცნობილი ლიტერატორი და ჟურნალისტი გ. მახარაძე გვწერს, რომ აუცილებელია დაზუსტდეს ცალკეული „კუთხეების“ თავკაცის ვინაობა და მოღვაწეობის წლები. მაშინ უფრო სრულად გამოჩნდებიან ამ კლუბების წამყვანნი. თავად გ. მახარაძე ჭადრაკს უძღვებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1947-1948 წლებში, რაც გამორჩა წერილის ავტორს.

მკითხველი ე. ახვლედიანი გვწერს, რომ, ალბათ, დაავიწყდა თ. გიორგაძეს მოეხსენიებინა გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, სადაც 90-იან წლებში თავად ბევრს წერდა ჭადრაკის ირგვლივ. არც ის მოიხსენია, რომ უკვე მესამე წელია უძღვება გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ „საჭადრაკო კლუბს“.

ჭადრაკზე ბევრს წერს გივი გამრეკელიც. მისი ძირითადი სარბიელია გაზეთი „ლელო“.

წერილში რატომღაც არ არის მოხსენიებული გაზეთი „გამბიტი“ (მთავარი რედაქტორი ა. წილოსანი), რომელიც 2000 წლიდან ჟურნალად გადაკეთდა.

ალბათ, საინტერესო იქნებოდა პერიოდული გამოცემების მოხსენიება, როგორც, მაგალითად, გაზეთ „ქვემო ქართლის“ დამატება „ჭადრაკის“ გამოსვლა (იგი გამოდიოდა 1995-1996 წლებში, ოთხი ნომერი წლიურად).

ამ საკითხებით, ალბათ. დაინტერესდებიან სპორტული ჟურნალისტები. იმედია თ. გიორგაძეც განაგრძობს ქართული საჭადრაკო პრესის ისტორიის კვლევას.

ღიმილის დოზა

## ჩაებინა...

ლონდონის ფირმა „გინესი“ გამოსცემს „რეკორდების წიგნს“, სადაც ნაირ-ნაირი სპორტული ამბებია აღნუსხული. ზოგი რამ ჭადრაკსაც ეხება. აი, ერთ-ერთი მათგანი:

ნოტინჰემის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ფილიპ ტომასმა და ენდრიუ ჰარისმა ერთმანეთთან მართლაც რომ განუმეორებელი მატჩი ითამაშეს. მათ დაფასთან განუწყვეტლად 165 საათი გაატარეს და... 161 პარტია ითამაშეს. როდესაც ანგარიში იყო 80:80, ჰარისმა „ფარ-ხმალი დაჰყარა“ თავის უფრო გამძლე მეტოქესთან იმის გამო, რომ თუმცა უკეთესი პოზიცია ჰქონდა, ჩაებინა და მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა...

## ხალიფას უკვირს

ხალიფა ელ-მამუნი (IX ს.) ამბობდა: – უცნაურია, რომ ემართავ მთელ სამყაროს აღმოსავლეთით ინდამდე, დასავლეთით კი ანდალუზიამდე, მაგრამ 32 ფიგურისათვის ვერ მომივლია.

## პელეს უკმაყოფილება

როდესაც მეკინგს „ჭადრაკის პელე“ დაარქვეს, ნამდვილი პელე აშკარად უკმაყოფილო დარჩა. მან ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ ფეხბურთის მინდორზე არასოდეს ჩაუდენია საძრახი რამ, მეკინგი კი ამ მხრივ, ძალიან სცოდავსო. პელემ თქვა, რომ მეკინგი თავისი შეურიგებელი ხასიათით, მუდმივი ბუზღუნითა და ფულის შოვნის სურვილით გულშემატკივრებს იმედებს უცრუებსო.

ასეა თუ ისე, მეკინგს მაინც შერჩა ეს მეტსახელი – „ჭადრაკის პელე“.




ვახტანგ კუციას ნახატი.

## 5 დოქტორი და 1 პაციენტი

გერმანელ ოსტატებს კურტ რიჰტერსა და რიჰარდ ტეშნერს ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ.

1952 წელს ტეშნერი ბაზელის პატარა საერთაშორისო ტურნირში თამაშობდა, რომელიც ასეთი შედეგებით დასრულდა: 1. დოქტორი ვიდმარი – 5,5 ქულა. 2. დოქტორი ეივე – 5. 3. დოქტორი შუდელი – 4,5. 4. ტეშნერი – 4. 5. დოქტორი კრისტოფელი – 3,5. 6. დოქტორი ლეეპინი – 3. 7. ა. მიულერი – 2. 8. ი. მიულერი – 1,5 ქულა.

პირველი 6 მონაწილის შესახებ რიჰტერმა ასე იხუმრა: „5 დოქტორი და 1 პაციენტი!“

ლაზიერი
GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიფენის საგა გრძელდება



ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის ხელისუფალნი განაგრძობენ გამოძიებას, რომელმაც უნდა გამოავლინოს, აძლევდნენ თუ არა ამერიკის ნავთობის კომპანიები ქრთამს ყაზახეთის უმაღლეს მოხელეებს. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“ ხელში ჩაუვარდა აშშ იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტები, რომლებიც მეიცავენ მტკიცებებს, რომ თვალსაჩინო ამერიკელმა ბიზნესმენმა ჯეიმს გიფენმა და ზოგიერთმა ნავთობის კომპანიამ დაარღვიეს კანონი, რომელიც ამერიკელებს უკრძალავს უცხოელი თანამდებობის პირებისათვის ქრთამის მიცემას.

ამ დოკუმენტების თანახმად, გიფენმა ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანიების რთული ქსელის მეშვეობით, აგრეთვე, ლიხტენშტეინში დაცული ფონდებიდან გადაარიცხვინა 30 მილიონ დოლარზე მეტი, რომელიც განკუთვნილი იყო ნურსულთან ნაზარბაევისა და ყაზახეთის სხვა ხელმძღვანელებისათვის.

გიფენის საქმემ პირველად მიიპყრო ყურადღება ივლისში, როდესაც ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ აშშ იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტი, რომელშიც ეს უწყება ოფიციალურად სთხოვდა შვეიცარიის ხელისუფალთ მისი გამოძიების ხელშეწყობას. აგვისტოში შვეიცარიამ თავის ბანკებს უბრძანა, სრული ხელშეწყობა აღმოეჩინათ ამერიკელი გამომძიებლებისათვის.

ყაზახეთი აღშფოთებული უარყოფდა ვარაუდებს, რომ გიფენი შუაკაცობდა ქრთამის გადაცემაში. სექტემბრის დამდეგს ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნალ იდრისოვმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკელი ბიზნესმენი კვლავაც სარგებლობს ყაზახეთის ხელისუფალთა სრული ნდობით, და რომ, „ყველაფერი აბსოლუტურად გამჭვირვალედ და კანონიერად კეთდებოდა“.

ამასობაში კი აშშ იუსტიციის სამინისტრო, უკვე რამდენიმე კვირაა, სწავლობს იმ ნავთობის კომპანიებისაგან გამოთხოვილი საბუთების ყუთებს, რომლებიც საქმეში ფიგურირებენ. ესენი არიან BP Amoco PLC, Exxon Mobil Corp. და Phillips Petroleum Co-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია თანამშრომლობს გამოძიებასთან, რომელსაც ვაშინგტონის ფედერალური პროკურატურა ეწევა. სამივე კომპანია უარყოფს, რომ დაარღვიეს ქრთამის მიცემის აკრძალვა.



60 წლის გიფენი, რომელსაც ცოლად ჰყავდა პრეზიდენტ რუზველტის ერთ-ერთი უახლოესი მრჩევლის — ჰარი ჰოპკინსის შვილიშვილი, ოცი წლის მანძილზე რეგულარულად დადიოდა საბჭოთა კავშირში სავაჭრო საქმეებზე, ხოლო 80-იანი წლების შუახანებიდან დაინიშნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტად. მისი Mercator საბანკო კორპორაციის კლიენტთა სიაში შედიოდა ისეთი ცნობილი ფირმები, როგორიც არის Chevron-ი და Archer Daniels Midland-ი.



გიფენს, რომელიც საუცხოო გარეგნობით, უზადო მანერებითა და ჩაცმულობით გამოირჩევა, დიდი ხნით საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული ყაზახეთთან, კერძოდ, მისი ხელშეწყობით დაიდო 20-მილიარდიანი გარიგება შევრონთან, რომლის წყალობითაც ამერიკის კომპანიამ შეიძინა ყაზახეთის დასავლეთში მდებარე გიგანტური თენგიზის საბადოს აქციების ნახევარი.

ამავე დროს, გიფენი გახდა ნაზარბაევის უახლოესი მრჩეველი და გაიფორმა ყაზახური დიპლომატიური პასპორტი, თუმცა აშშ მოქალაქეა. მან მოაწყო ნაზარბაევის პირველი ვიზიტი ვაშინგტონში 1992 წელს, როცა ყაზახეთს იქ ჯერ არც ელჩი ჰყავდა და არც საელჩო ჰქონდა. გიფენი ნაზარბაევს წარუდგა როგორც კაცი, რომელსაც შეუძლია, ვაშინგტონში გაუღოს მრავალი კარი, ნაწილობრივ, იმ განსაკუთრებული ურთიერთობის მეოხებით, რომელიც აქვს ვიცეპრეზიდენტ გორთან, ამერიკა-ყაზახეთის გაერთიანებული კომისიის მეთაურთან.

როგორც ყაზახეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აკეჟან კაჟეგელდინი აღნიშნავს, გიფენმა შეძლო, შეექმნა ყაზახეთის პრეზიდენტისათვის „ილუზია, რომ ამერიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ნაზარბაევს“.

კაცმა რომ თქვას, ეს მთლად ილუზიაც არ იყო: რვა წლის განმავლობაში თეთრი სახლი ნაზარბაევს მიიჩნევდა აშშ მნიშვნელოვან მოკავშირედ და თვალს არიდებდა იმ საეჭვო გარემოებას, რომ ბერმუდესი და ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები ყაზახეთმა ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორად გაიხადა რუსეთის შემდეგ. ორივე ეს ადგილი ცნობილია თავისი მეტისმეტად ლიბერალური საბანკო კანონმდებლობით.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახური ფულის საქმეს სწავლობს ცნობილი გამომძიებელი დანიელ დევო, რომელმაც უკვე გააანალიზა ოთხი იქაური ბანკის 50-60 საეჭვო ანგარიში, წერს ვლადიმერ კოზლოვსკი, ბი-ბი-სი-ს მიმოხილველი.

## სიდნეი - 2000

**სეოკის პრესსამსახურის უფროსი კახა ბერიძე კომპანია მაგთი GSM-ის დახმარებით გვატყობინებს. 29 სექტემბერი.**

გუშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ოლიმპიურ ტურნირზე საქართველოს ნაკრებს ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი მოუსპეს. სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის დრამა, რომელიც გუნდის ლიდერს **ელდარ კურტანიძეს** გადახდა თავს. თუმცა, ყველაფრის შესახებ, სჯობს, თანმიმდევრობით ვისაუბროთ.

97 კგ. წონითი კატეგორიის ფალავანთა ასპარეზობის სტარტზე მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ სოხუმელმა სპორტსმენმა მეოთხედფინალში უმძიმესი შერკინება მოუგო პრინციპულ მეტოქეს — ირანელ ალირეზა ჰეიდარის — 1:0 და კიდევ უფრო მიუახლოვდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს. დასანანი და აღმაშფოთებელია, რომ დამსახურებული, ცხოვრებაში უმთავრესი წარმატებისკენ მიმავალი გზა ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელ საგიდ მურთაზალიევთან ერთად ჩვენებურს მსაჯებმა გადაუღობეს 3:1. დღეს კურტანიძე III ადგილისთვის პოლონელ მარეკ გარმულევიჩს შეხვდება.

**დავით პოღოსიანმა** (58 კგ) ჩრდილოეთ კორეელ რი იონგ სამს პირველ წრეში 2:1 სძლია და ჭიდლობზე ლაშქრობას დღეს განაგრძობს, ისევე, როგორც მძიმე წონოსანი **ალექსანდრე მოდებაძე**, რომელმაც ბერძენი ევსტათიოს ტოპალიდისი დაჯაბნა 5:0.

გული დაგვწყვიტა ერთმა ფავორიტმა **ემზარ ბედინეიშვილმა**, რომელიც ირანელ ამირ თავაქოლიანთან — 4:5 და კანადელ დანიელ იგალთან — 0:3 დამარცხებების შემდეგ უსახელოდ გამოეთიშა ოლიმპიურ თამაშებს.

**ჩემპიონთა გალერეა**

**მძლეოსნობა.** ქალები. სიგრძეზე ხტომა.
ჰაიკე დრეხსლერი (გერმანია).
ქალები. უროს ტყორცნა.
კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი).
ვაჟები. 1500 მ. სირბილი.
ნოა ნგენი (კენია).
ვაჟები. 50 კმ. სიარული.
რობერტ კორზენევსკი (პოლონეთი).
ვაჟები. ჭოკით ხტომა.
ნიკ ჰისონგი (აშშ).



კუბელმა ანხელ ფუენტესმა ტაეკვანდოში გაიმარჯვა.

ვაჟები. 3000 მ წინაღობებით სირბილი.
რუბენ კოსგეი (კენია).
**აფროსნობა.** ქალები. „ევროპა“.
ინგლისი.
ვაჟები. „ლაზერი“.
ბენ ეინსლი (ინგლისი).
**სინქრონული ცურვა.** გუნდური ასპარეზობა.
რუსეთი.
**ბალახის ჰოკეი.** ქალები.
ავსტრალია.
**ტაეკვანდო.** ქალები. 67 კგ.
ლი სუნ-ჰე (სამხრეთ კორეა).
ვაჟები. 80 კგ.
ანხელ ფუენტესი (კუბა).



ბალახის ჰოკეი ავსტრალიის ნაკრებმა მოიგო.

### ოლიმპიადის არაოფიციალური გუნდური ჩათვლა ლიდერთა ათეული

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 33 | 19 | 27 | 79 |
| ჩინეთი | 26 | 15 | 15 | 56 |
| რუსეთი | 20 | 19 | 22 | 61 |
| ავსტრალია | 16 | 22 | 14 | 52 |
| საფრანგეთი | 12 | 13 | 8 | 33 |
| იტალია | 11 | 7 | 11 | 29 |
| გერმანია | 10 | 13 | 21 | 44 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 4 | 18 |
| პოლანდია | 8 | 8 | 4 | 20 |
| ინგლისი | 7 | 9 | 5 | 21 |

საქართველოს დელეგაცია ჯერჯერობით 63-ე ადგილზეა.

## ქართული ჭიდაობა

### აკაკის ბაღის ნაცვლად...

შემოდგომის წვიმიანი ამინდის გამო დიდუბის რაიონის მე-5 ტრადიციული ღია პირველობა გადატანილია თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დარბაზში (უშანგი ჩხეიძის ქ. № 8).

ასპარეზობა, რომელიც ეძღვნება საქართველოს სპორტის დღეს, გაიმართება 30 სექტემბერს 12 საათიდან.



## ვულოცავთ!

### ამაგდართა დაფასება

გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ მოწმობები გადასცა ჩვენს სპორტულ მოღვაწეთა ჯგუფს.

ვულოცავთ ამაგდარ ადამიანებს, რომლებიც, მიუხედავად საერთო შეჭირვებისა, კვლავაც დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულითა და ერთგულებით უდგანან გვერდით ქართულ სპორტს.

# წმიდა სინოდმა კოშტუნიცა პრეზიდენტად ცნო



სერბულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კოშტუნიცა კანონიერად არჩეულ პრეზიდენტად ცნო, და მოუწოდა მას მშვიდობიანად და ღირსეულად აიღოს ხელში ძალაუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მილოშევიჩის ადმინისტრაციამ არჩევნების მეორე ტური გამოაცხადა, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა პატრიარქ პავლეს მეთაურობით, კოშტუნიცას მიმართა, როგორც კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს და მოუწოდა, უზრუნველყოს ქვეყანაში თანხმობა და მშვიდობა.

ეკლესიის აღიარება კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ ფართო მხარდაჭერით სარგებლობს ხალხში კოშტუნიცა. თვით ოპოზიციის ლიდერმა განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა არჩევნების მეორე ტურში, რომელიც 8 ოქტომბრისთვის არის დანიშნული, აბსოლუტურად გამორიცხულია. „ამ გარიგებას რომ დავთანხმდეთ, — ხაზი გაუსვა კოშტუნიცამ, — ჩვენ ამით ვაღიარებთ, რომ ერთი კაცის, სლობოდან მილოშევიჩის, სურვილი უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე მთელი ხალხის ნება“.

ოპოზიციას განზრახული აქვს, საყოველთაო გაფიცვების მეშვეობით აიძულოს ოფიციალური ხელისუფლება, ცნოს კოშტუნიცა.

ამავე დროს, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები უარს იტყვიან არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე, სხვა კანდიდატთა არარსებობის პირობებში გამარჯვებულად შეიძლება მილოშევიჩი გამოცხადდეს.



# ეჰუდ ბარაკი თანახმაა...

**ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ბარაკმა პირველად აღიარა, რომ შესაძლებელია იერუსალიმი გაიყოს.** მან „ჯერუზალემ პოსტის“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში განაცხადა, რომ პალესტინელებთან მშვიდობიან შეთანხმებაში, თუ იგი დაიდო, ცალკე პუნქტად შევა მორიგება, რომ ორი სახელმწიფოს დედაქალაქები გახდება იერუსალიმი და ელ-ქუდსი. ხოლო ვინაიდან ეს უკანასკნელი სხვა არა არის რა, თუ არა იგივე იერუსალიმის არაბული სახელწოდება, ბარაკმა ფაქტობრივად აგრძნობინა საზოგადოებრიობას, რომ ქალაქის დასავლეთი ნაწილი დარჩება ისრაელის დედაქალაქად, ხოლო აღმოსავლეთი — გახდება მომავალი პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქი.



ადგილობრივმა მეთვალყურეებმა უკვე აღნიშნეს, რომ ისრაელის პრემიერმა პირველად ახსენა საჯაროდ იერუსალიმი და ელ-ქუდსი, როგორც სხვადასხვა ქალაქები.

ბარაკმა, აგრეთვე თქვა, რომ მშვიდობიანი შეთანხმება გულისხმობს ისრაელის კონტროლქვეშ მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირის ებრაულ დასახლებათა 80 პროცენტის შენარჩუნებას, აგრეთვე, იერუსალიმის მუნიციპალური საზღვრების გაფართოებას.

მაგრამ, პრემიერის თქმით, იერუსალიმის ორ დედაქალაქად გაყოფის თანხმობა არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელი მზად არის, გადასცეს ტაძრის მთის სუვერენიტეტი პალესტინელებს, ან ნებისმიერ სხვა ისლამურ ორგანიზაციას. ბარაკმა უპასუხოდ დატოვა კითხვა, შესაძლებელია თუ არა ტაძრის მთა გადაეცეს საერთაშორისო ორგანიზაციის, მაგალითად, გაეროს სუვერენიტეტს.

განმარტავენ რა ბარაკის ინტერვიუს, მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმის პალესტინელებისათვის გადაცემის საკითხი, როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილია. ხოლო პრემიერის გამოსვლა მიზნად ისახავდა მოემზადებინა საზოგადოებრივი აზრი მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის.

## რაგბი

# „ყოჩებმა“ „დათვებს“ ურქინეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა მესამე წრის V ტურის მატჩები გამართეს. ყველაზე დიდ ინტერესს ექსჩემპიონების — დედაქალაქის „ყოჩებისა“ და ჩემპიონების — ბათუმის „დათვების“ თბილისური „დუელი“ იწვევდა. იგი მართლაც დაძაბული გამოდგა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — მაჩიტაძემ საჯარიმოს ზუსტი დარტყმით დააწინაურა ზღვისპირელები. თუმცა „ყოჩებმა“ მალევე აღადგინეს წონასწორობა კობახიძის წყალობით. მანვე მესვენების შემდეგ კიდევ ხუთჯერ გაატარა ოვალური ბურთი ძელებს შორის საჯარიმოებიდან, ამასობაში კი თევდორაძემ ერთი ლელოც დადო. არც „დათვები“ წასულან ზამთრის ძილში — ორთაბრძოლის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, როცა ბათუმელმა ჩუბინიძემ ლელო გაიტანა, „დათვები“ დაწინაურდნენ 22:20, მაგრამ მაჩიტაძემ „გარდასახვა“ ვერ შეძლო, რაც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთ-ერთი ბოლო შეტევისას სტუმრები დაჯარიმდნენ და კობახიძემ გამარჯვების ბურთი გაიტანა — 23:22.

ეს მარცხი ლიდერობის დაკარგვად დაუჯდათ „დათვებს“, რადგან „ლოკომოტივი-1“-მა, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატში ჩინებული ტემპი აქვს აღებული (11 შეხვედრაში 10 მოგება), ამჯერად გათამაშების აუტსაიდერს — „უნივერსიტეტს“ სძლია დიდი ანგარიშით — 27:6, თან ოთხი ლელო გაიტანა და საპრემიო ქულებიც დაიმსახურა. რკინიგზელები ახლა 2 ქულით უსწრებენ ჩემპიონს, თან ერთი თამაშით ნაკლები აქვთ გამართული.

დღეისათვის სატურნირო ვითარება ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | პ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი-1“ | 11 | 10 | 0 | 1 | 261:142 | 4 | 44 |
| „დათვები“ | 12 | 9 | 0 | 3 | 236:138 | 6 | 42 |
| „ყოჩები“ | 11 | 6 | 0 | 5 | 212:226 | 1 | 25 |
| ასკ | 12 | 3 | 1 | 8 | 175:242 | 1 | 13 |
| „უნივერსიტეტი“ | 12 | 0 | 1 | 11 | 152:295 | 0 | .1 |

*შენიშვნა: პ —პრემიალური ქულა.*

ლევან ცინცაძე.

# ბერძნული ბორანი ფეხბურთს შეეწირა

„ექსპრეს სამინა“ ბერძნული ბორანის კატასტროფის ფაქტის გამოძიების დროს დადგინდა, რომ 100-მდე მგზავრი დაღუპულა მხოლოდ და მხოლოდ გემის ეკიპაჟის მიზეზით. როგორც აღმოჩნდა, იმ მომენტში, როდესაც ბორანი კლდეს შეასკდა, პრაქტიკულად მთელი ეკიპაჟი ფეხბურთს უყურებდა, ხოლო თვით გემი, კომისიის აზრით, სიძველის გამო, უამისოდაც ჩასაძირად იყო განწირული.

ტურისტულ ბორანში იმყოფებოდა 447 მგზავრი და 64 ეკიპაჟის წევრი, მაგრამ ამ დოკუმენტურ მონაცემებში, პოლიციის აზრით, არ შედის ბევრი აღურიცხავი მგზავრი. გემი ასრულებდა საექსკურსიო ტურს რამდენიმე კუნძულზე. კლდეზე დაჯახების შემდეგ ბორნის კორპუსში გაჩნდა ვეებერთელა ხვრელი. მგზავრებმა წყალში იწყეს გადახტომა. მიუხედავად იმისა, რომ მათი გადარჩენის ოპერაცია დაუყოვნებლივ დაიწყო, ყველას ხსნა ვერ მოესწრო. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, გადარჩენილია 443 კაცი, დაიღუპა სულ ცოტა 60, რამდენიმე ათეული კაცი ჯერჯერობით უკვალოდ დაკარგულად ითვლება.

საბერძნეთის ხელისუფალნი შეუდგნენ ოფიციალურ გამოძიებას. ამის საბაბი გახდა გადარჩენილ მგზავრთა განცხადებანი, რომ ავარიის მომენტში გემს არავინ არ მართავდა. პრაქტიკულად მთელი ეკიპაჟი ტელევიზორს იყო მიმკვდარი. ერთ-ერთი მგზავრის თქმით, იმ მომენტში, როდესაც გემი კლდეს შეასკდა, უჩვენებდნენ ბერძნული „პანათანაიკოსის“ მოთამაშის მიერ „ჰამბურგის“ კარში გატანილი გადამწყვეტი გოლის გამეორებას, პორტესის კლდე, რომელსაც სრული სვლით შეასკდა ბორანი, ყველა საზღვაო რუკაზეა მონიშნული და ღამით სპეციალური გაბარიტული ფარნებით შუქდება. მისი არდანახვა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

ოთხშაბათს პოლიციამ დააპატიმრა კაპიტანი და ხუთი ეკიპაჟის წევრი. გენერალურმა პროკურორმა დიმონპულოსმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს, მკვლელობის ბრალდება წაუყენოს ეკიპაჟს, რომელმაც არა მარტო დაუშვა დანაშაულებრივი დაუდევრობა, არამედ უგულებელყო კიდეც თავისი მოვალეობანი უკვე დაჯახების შემდეგ.



როგორც ბრიტანელმა მგზავრმა მაიკლ ბიტონმა თქვა, ეკიპაჟის წევრებს არც კი უფიქრიათ შველის ორგანიზება. მაშველი კანჯოები წყალში არ ჩაუშვეს, მგზავრებს არ დაურიგეს მაშველი ჟილეტები, ხალხი თვითონ ეძებდა მათ სტიქიურად წარმოშობილ ზედახორას და ჭეჭყვაში.

გამოძიებას, აგრეთვე, გაუჩნდა სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ გემი საექსპლუატაციოდ არ ვარგოდა. ბორანი 34 წლის წინათ იყო აშენებული. ერთ-ერთ ბრიტანულ გზამკვლევში „სამინას“ ზურგსუკან „ჟანგიან ვარლს“ უწოდებდნენ და არ ურჩევდნენ მგზავრებს ამ გემზე ასვლას.

ბერძენ მეზღვაურთა პროფკავშირის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ „სამინას“ უსაფრთხოების საკითხი არაერთგზის აღუძრავს სავაჭრო ფლოტის სამინისტროში. მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სპეციალური შემოწმების შემდეგ ბორანი ექსპლუატაციისათვის ვარგისად ცნეს და წყალში გასვლამდე მას არავითარი ტექნიკური უწესივრობა არ შეენიშნებოდა.

## ფეხბურთი

### მორიგი გაცხრილვა

განახევრდა უეფას თასისთვის მებრძოლთა რიცხვი. გაუწყებთ პირველი ეტაპის საპასუხო რაუნდის შედეგებს:

**„ვისლა“** — „სარაგოსა“ 4:1 (1:4, პენალტებით 4:3), **„ლიბერეცი“** — „ნორჩიოპინგი“ 2:1 (2:2), **„პარმა“** — „პობედა“ 4:0 (2:0), „ტორპედო“ — **„ლოზანა“** 0:2 (2:3), „დინამო“ (მოსკოვი) — **„ლილესტრომი“** 2:1 (1:3), „მაქაბი“ — **„ვიტესი“** 2:1 (0:3), „იორგრიტე“ — **„რაპიდი“ (ვენა)** 1:1 (0:3), „ნეფტეხიმიკი“ — **„ლოკომოტივი“** 0:0 (2:4), „აპოელი“ — **„ბრიუგე“** 0:1 (0:2), **„რომა“** — „გორიცა“ 7:0 (4:1), „აკადემისკი“ — **„სლავია“** 0:2 (0:3), „გაზიანთეპსფორი“ — **„ალავესი“** 3:4 (0:0), **„ამიცა“** — „ალანია“ 2:0 (3:0), „ბეითარი“ — **„პაოკი“** 3:3 (1:3), **„ბოავიშტა“** — „ვორსკლა“ 2:1 (2:1), **„დინამო“** (ზაგრები) — „სლოვანი“ 1:1 (3:0), „პაკი“ — **„სელტიკი“** 2:1 (0:2), **„ნანტი“** — „კრივბასი“ 5:0 (1:0), **„ცრვენა ზვეზდა“** — „ლესტერი“ 3:1 (1:1), „ბრანი“ — **„ბაზელი“** 4:4 (2:3), **„ირაკლისი“** — „გენიონი“ 1:0 (0:0), **„ვერდერი“** — „ანთალიასფორი“ 6:0 (0:3), **„მტკ“** — „ცსკა“ (სოფია) 0:1 (2:1), **„ოფი“** — „ნაპრედაკი“ 6:0 (0:0), **„აეკი“** — „ვამამი“ 2:0 (2:2), **„ჰეერენვენი“** — „დუნაფერი 3:1 (1:0), **„ოსიეკი“** — „ბრონდბიუ“ 0:0 (2:1), **„აიაქსი“** — „გენტი“ 3:0 (6:0), **„გენკი“** — „ციურიხი“ 2:0 (2:1), **„პერფიოლგე“** — „აიკი“ 1:1 (1:0), „ფიორენტინა“ — **„ტიროლი“** 2:2 (1:3), **„სენტ გალენი“** — „ჩელსი“ 2:0 (0:1), „რიეკა“ — **„სელტა“** 0:1 (0:0), **„რაიოვალეკანო“** — „მიოლდე“ 1:1 (1:0), **„ინტერი“** — „რუხი“ 4:1 (3:0), **„ლივერპული“** — „რაპიდი“ (ბუქარესტი) 0:0 (1:0), **„ესპანიოლი“** — „ოლიმპია“ 2:0 (1:2), „ბენფიკა“ — **„ჰალმშტადტი“** 2:2 (1:2), „პართისი“ — **„შტუტგარტი“** 3:2 (0:1), **„პორტუ“** — „პარტიზანი“ 0:0 (1:1).

## ყოველი მხრიდან

### ლიდერების ყაიმი

არგენტინაში, მეთოთხმეტე კატეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მეცხრე ტური.

მასპინძელმა რიკარდიმ აღმაველობით ითამაშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის კარპოვის წინააღმდეგ და დაამარცხა მისი მეფე. სამაგიეროდ, დამარცხდა მისი თანამემამულე ფლორესი. იგი ინგლისელ შორტს დანებდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ტურნირის ლიდერები — პოლგარი (უნგრეთი) და ბოლოგანი (მოლდავეთი). მშვიდობიანი ზავით დაამთავრეს თავიანთი პარტიები მილოვმა (შვეიცარია) და მილომმა (ბრაზილია). აგრეთვე ლეიტაომ (ბრაზილია) და პიეროტიმ (არგენტინა).

### რუსული ჩოგბურთის ოქროს შემოდგომა

წლევანდელ შემოდგომის პირველი თვის მონაპოვრების მიხედვით რუსული ჩოგბურთი მართლაც რომ უხმოსავლიანი იყო — მარატ საფინის პირველჩოგანოსნობა როგორც ამერიკის ღია ჩემპიონატზე, ისე უზბეკეთის პრეზიდენტის თასზე და აქედან გამომდინარე, მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის ლიდერად გახდომა, ევგენი კაფელნიკოვის ოლიმპიური ოქრო, ელენა დემენტიევას ოლიმპიურივე ვერცხლი ხომ ამის ნათელი დასტურია.

დემენტიევას ოლიმპიადის ფინალში უძლიერესი ამერიკელი ჩოგბურთელი ვინუს უილიამსი კი არა, სხვა რომელიმე მეტოქე რომ შეხვედროდა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მათი ორთაბრძოლა. მაგრამ ბოლო ხანებში დები უილიამსები თითქმის ყველა აღიარებული ჩოგბურთელისათვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცნენ. თუმც ვერცხლის მედალიც 18 წლის მოსკოველი ქალიშვილისათვის უდიდესი წარმატებაა.

გერმანელი თომას ჰაასიც ძალზე კირკიტა კაკალი გამოდგა ევგენი კაფელნიკოვისათვის. მათი პაექრობა სამსაათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა და, შეიძლება ითქვას, მატჩის ბოლო წუთამდე მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა — ამაზე მეხვედრის ანგარიშიც კარგად მეტყველებს — 7:6 (7:4), 3:6, 6:2, 4:6, 6:3.

ვინც ამ ორთაბრძოლას თვალს ადევნებდა, დამეთანხმება, რომ ისე სწრაფად გადადიოდა უპირატესობა ხელიდან ხელში, რომ ძნელი განსაჭვრეტი იყო მისი საბოლოო შედეგი.

მაგრამ, ბოლოს მაინც რუსეთელმა იმარჯვა და ოლიმპიურ ოქროსაც დაეუფლა.

ახლა წინ ლისაბონია, სადაც უნდა გაიმართოს წლის დამაგვირგვინებელი ტურნირი. მასზე მოხვედრა კი მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთ ხვედრია.



*სურათზე: ევგენი კაფელნიკოვი „ოლიმპიურ ტახტზე“.*

### სათვალეები — 2551 დოლარად

როგორც უკვე ვწერდით, სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებზე სახელი გაითქვა ეკვატორული გვინეის ახალბედა მოცურავემ ერიკ მოუსამბანიმ. და აი, კიდევ ერთი სენსაცია — მისი სათვალეები საქველმოქმედო აუქციონზე 2551 დოლარად გაიყიდა. ამ სუვენირის ახალმა მფლობელმა არ მოისურვა თავისი ვინაობის გამჟღავნება.

ინტერნეტის საშუალებით სუვენირებზე მონადირეებს შეუძლიათ შეიძინონ ავსტრალიელი იან ტორპისა და ამერიკელი ტომ დოულენის საცურაო კომბინიზონები. მთელი შემოსავალი გადაეცემა ლტოლვილი ბავშვების დახმარების ფონდს, აგრეთვე მძიმედ დაავადებული ბავშვებისათვის ავსტრალიის საქველმოქმედო ფონდს.

### კვარცხლბეკიდან — სასამართლოში

ტყუპი პარისონებიდან ერთ-ერთი ძმაზე ელვინზე, რომელმაც სიდნეიში უკვე მოიპოვა ვერცხლის მედალი და გუნდური ესტაფეტისათვის ემზადებოდა, კალიფორნიელმა მოსამართლემ ჯონ სალაზარმა დაპატიმრების ორდერი გასცა.

ჯერ კიდევ 1998 წელს ელვინი ამხილეს მანქანის ვადაგასული მოწმობით მართვაში და ის სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ორი უწყება სპორტსმენმა „ფეხებზე დაიკიდა“. — თავდაპირველად მას მოუხდება ჯარიმად 2500 დოლარის გადახდა, ხოლო პარისონი მესამედაც თუ არ გამოცხადდება, მაშინ დიდი უსიამოვნებანი მოელის“ — განაცხადა სალაზარმა.




„ოლიმპიური სიმშვიდე“.

ვახტანგ კუციას ნახატი.

სპორტის რედაქცია.

# სინჯუა იუწყება

ჩინეთის შენსის პროვინციის ქალაქ იუნჩენში დაიწყო შუნდის აკლდამის რესტავრაცია. შუნდი ძველი ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე ბრძენ მბრძანებლად ითვლება. მისი აკლდამა, რომელიც 738 წელს არის აშენებული, სამ ნაწილადაა გაყოფილი. 10 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების, აგრეთვე, ხანგრძლივი ომების შედეგად მისი კონსტრუქცია ძლიერ დაზიანდა. რესტავრაციის შემდეგ აკლდამას 5 ნაწილი ექნება. მისი საერთო ფართობი შეადგენს 302 მუს (15 მუ 1 ჰა-ს უდრის).

* * *

ხანჯოუში მიმდინარე მცირე ქალაქების განვითარების ხელშეწყობის სრულიად ჩინეთის თათბირზე ითქვა, რომ ქვეყნის სასოფლო რაიონების ურბანიზაციის ტემპმა მსოფლიოს საშუალო დონეს გაუსწრო. განვლილი 20 წლის მანძილზე მცირე ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების რიცხვი 3 ათასიდან 20 ათასამდე გაიზარდა. მათი მატების წლიური ტემპი სამჯერ აღემატება მსოფლიო დონეს.

* * *

ქრისტიანობის აღმსარებელთა პატრიოტულმა კომიტეტმა და ჩინეთის ქრისტიანთა საზოგადოებამ გამოაქვეყნეს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ვატიკანს განზრახული აქვს, 1 ოქტომბრიდან წმინდანებად შერაცხოს ჩინეთში დაღუპული ე. წ. მოწამენი. განცხადებაში ნათქვამია, რომ მომავალი კანონიზაცია არის ჩინეთის ეკლესიის სუვერენიტეტის უპატივცემლობის აქცია და იგი აბუჩად იგდებს ჩინელი ხალხის გრძნობებს. ჩინელი ერი, მათ შორის, ყველა პატრიოტი ქრისტიანი, ვერ დაეთანხმებიან ასეთ „კანონიზაციას“.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე. კახა ქორიძე.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1948 წელი. ილო მოსაშვილის პიესის „ჩაძირული ქვების“ პრემიერის შემდეგ.
არტემ დავთიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მთარგმნელი, ჟურნალისტი; ილო მოსაშვილი, იოსებ გრიშაშვილი.

ფოტო მოგვაწოდა კიმი დავთიანმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## მედიცინა

# ინსულტი, სამწუხაროდ, „გაახალგაზრდავდა“

ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა, რასაც თან სდევს ტვინის ფუნქციების მწვავე დაზიანება ანუ ინსულტი, სიცოცხლისათვის უაღრესად საშიში დაავადებაა, რომლის დროსაც ავადმყოფების 30 პროცენტი იღუპება, 35 შეიძლება გადარჩეს, ხოლო 35 პროცენტი სიცოცხლის ბოლომდე მძიმე ავადმყოფი რჩება.

– 1998 წელს ჩემი და ინსტიტუტის თანამშრომლების ინიციატივით პირველად შეიქმნა სასწრაფო დახმარება „ნეიროექსპრესი“, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი ავადმყოფების დროულად მოთავსებას სტაციონარში, – მეუბნება პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მარინე ჯანელიძე.**

მიუხედავად მისი მოუცლელობისა, ჩვენი საუბარი მაინც შედგა (თავდაპირველად უარი განმიცხადა შეხვედრაზე).

– მე მიყვარს ჩემი პროფესია, მედიცინის ეს ერთ-ერთი ურთულესი დარგი (თუ არ გიყვარს, ძნელია იმოღვაწო ამ სფეროში). 1975 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებიდან ვმუშაობ ამ კლინიკაში, ადრე უფრო მეტი ავადმყოფი გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას. დღეს მხოლოდ 20 ავადმყოფი გვყავს. თუ ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე არ არის, იგი თავს არიდებს საავადმყოფოში მკურნალობას.

საქართველოში ინსულტის საშუალო ასაკი დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით გაახალგაზრდავდა. ახალ ეკონომიკურ პირობებში გადასვლამ საზოგადოებაში ქრონიკული სტრესოგენული სიტუაციის ჩამოყალიბება განაპირობა, რაც შეიძლება ინსულტის გამომწვევის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად განვიხილოთ. ეს დაავადება, სამწუხაროდ, ხშირია 50-55 წლის მამაკაცებში, რადგან გახშირებული სტრესები ყველაზე მეტად ამ ასაკის მამაკაცებს შეეხო.

1990 წელს ამერიკის კონგრესმა „ტვინის დეკადა“ გამოაცხადა, რაც მიზნად ისახავდა ნეირომეცნიერების და კლინიკური ნევროლოგიის განვითარებას. ეს „დეკადა“ 2000 წლამდე გაგრძელდა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ საერთაშორისო ინიციატივამ სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, რაც იმ წლებში მიმდინარე ცნობილი პროცესებით იყო განპირობებული. ამიტომ ნევროლოგია და მისი პრობლემატიკა ჩვენი საზოგადოების მხედველობის მიღმა დარჩა. სამედიცინო რეფორმა, მართალია, მძიმედ, მაგრამ წინ მიდის. მისი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყანაში ექიმთა განათლების სისტემის თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით გარდაქმნა. ამის ერთ აუცილებელ რგოლს წარმოადგენს რეზიდენტურის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. დღეს 4-წლიანი რეზიდენტურის ინსტიტუტის გარეშე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბება შეუძლებელია – ამბობს ქალბატონი მარინე, – თანამედროვე მედიცინა არნახული ნაბიჯებით ვითარდება, ამიტომ, ჩვენ მორალური უფლება არ გვაქვს ამ მხრივ მიმდინარე სიახლეებს ჩამოვრჩეთ, ყოველი დღე მედიცინის დარგში ახალ მიღწევათა გათავისებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენი ინსტიტუტი მუშაკთა ცოდნით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ამას საფუძველი 1958 წელს აკადემიკოსმა პეტრე სარაჯიშვილმა ჩაუყარა. უფლება არც გვაქვს ეს ტრადიცია ღირსეულად არ გავაგრძელოთ, არ განვავითაროთ. თუმცა უსახსრობის გამო წლობით გაურემონტებელ შენობაში მუშაობა რთულია. მძიმე პირობებში ავადმყოფსაც უჭირს და ექიმსაც. ამასთან ერთად გვაქვს რამდენიმე ლუქსი პალატა, რომელიც გამოჯანმრთელებულმა, მადლიერმა პაციენტებმა გაგვიკეთეს!



– ქალბატონო მარინე, რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

– სკოლის ასაკიდან მაინტერესებდა ზუსტი მეცნიერებები, რაც შეეხება არჩევანს, ეს განაპირობა პროფესორმა ნოდარ ქავთარაძემ. ის იყო ჩემი პირველი პედაგოგი ნევროლოგიაში და ეს დარგიც მან შემაყვარა.

პროფესორი მარინე ჯანელიძე 60-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო: „პირველადი დემენციების ნევროლოგიური ასპექტები“, რომელმაც ოპონენტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ქალბატონი მარინე შესანიშნავად უხამებს ერთმანეთს სამედიცინო პრაქტიკას და საზოგადოებრივ საქმიანობას. ამავე დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების ციკლს კითხულობს, მისი სურვილია, კლინიკა, სადაც ის მუშაობს, თანამედროვე ტექნოლოგიებით იყოს აღჭურვილი და ღევანდელ სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

პირადულზე კი არაფერი უთქვამს...

**ნანა სულავა.**

**P. S. დაინტერესებულ მკითხველს კიდევ ერთხელ ვთავაზობთ საჭირო ინფორმაციას ნეიროექსპრესის შესახებ:**

**ნეიროექსპრესი არის 24-საათიანი ნევროლოგიური, ნეიროქირურგიული და რეანიმაციული სასწრაფო დახმარება, მედიკამენტებით სრული უზრუნველყოფა, რეანიმობილით დროული და უსაფრთხო ჰოსპიტალიზაცია, სამედიცინო მომსახურებაში შედის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ამბულატორიულად ან ბინაზე, მაღალკვალიფიციური სამედიცინო პატრონაჟი ქრონიკული ავადმყოფებისათვის, აგრეთვე, ბინაზე;**

**თავის ან წელის ძლიერი ტკივილის, ტრავმის, თავბრუსხვევის, წონასწორობის დაკარგვის, მეტყველების გაძნელების, კრუნჩხვების, შინაგანი შფოთის ან პანიკის შემთხვევაში სასწრაფოდ დაურეკეთ ნეიროექსპრესს ტელ: 94-88-11; 61-05-20.**

**გაცნობებთ ნეიროექსპრესის მისამართსაც: გუდამაყრის ქ. №2ა. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი.**

**ნ. ს.**

## კინო

# ოთარ იოსელიანის „ღვინოშია ჭეშმარიტება“

მოსკოვი, 28 სექტემბერი. (იტარ-ტასს-საქინფორმი). **ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა მოსკოველი მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანა ახალი ფილმი „ღვინოშია ჭეშმარიტება“.** მისი პრემიერა გაიმართა კინოთეატრ „როლანში“, სადაც იწყება კიდეც ამ ფილმის გზა მოსკოვისა და რუსეთის სხვა ქალაქების ეკრანებისკენ. უჩვეულო კომპოზიცია აქვს კინოსურათს, რომელსაც მიენიჭა ფიპრესის პრემია „1999 წლის საუკეთესო ევროპული ფილმისათვის“. მაყურებლის თვალწინ ჩაივლის ქართველი ოსტატის თვალით დანახული იმ ეპიზოდებისა და პერსონაჟების კალეიდოსკოპი, რომლებიც შეადგენენ პარიზის პანორამას. ფილმის ცენტრშია მდიდარი ოჯახის ისტორია, რომელშიც მისი თითოეული წევრი განკერძოებით, თავისი წვრილმანი ინტერესებით ცხოვრობს... სიბარიტი მამის სახეს, რომელიც სხვაგვარ ცხოვრებაზე ოცნებობს და დარდს ღვინოში კლავს, თავად ოთარ იოსელიანი განასახიერებს, რომელიც პირველად მოგვევლინა დიდ როლში. მაგრამ ფილმის ნამდვილი შინაარსი სცდება ოჯახური ქრონიკის ფარგლებს. რეჟისორის აზრით, მან გადაიღო „სევდიანი კომედია მსოფლიოს არასრულყოფილებაზე, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანების მარტოობაზე“. ამავე დროს, ეს მეტად კეთილი და ნათელი, იუმორით, პოეზიითა და ლირიზმით აღსავსე ფილმია. იგი გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და რწმენით. მოსკოვში გამართულ პრემიერაზე დამთავრდა ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროჩვენება, რომელშიც შევიდა პრაქტიკულად ყველა მისი ფილმი, დაწყებული სტუდენტური ნამუშევრებით და დამთავრებული როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში გადაღებული ფილმებით. ზოგიერთი მათგანი პირველად იხილა ფართო მაყურებელმა.

## ცოდნის სკივრი

**ოფიციალური** მონაცემებით, დღეს თბილისში 209 ბენზინგასამართი სადგური მუშაობს. შეგახსენებთ, რომ ორი ათეული წლის წინათ დედაქალაქში 8-10 ბენზინგასამართი სადგური იყო.

**რუსეთის** დიადი იმპერატორი ეკატერინე II (1729-1796 წწ), რომელმაც გვარდიის დახმარებით, თავისი მეუღლე პეტრე III ტახტიდან გადააგდო და გამეფდა, თავისი ზეობის ჟამს რუსეთს შეუერთა ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, დასავლეთ უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის მიწები. მის სახელთანაა დაკავშირებული სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა, ეკატერინე გერმანელი პრინცესა სოფია ფრედერიკა, ავგუსტა ანხალტ-ცერბტსკაია გახლდათ.

**ბედუინების** ქორწილში შემწვარი აქლემის ხორცი დელიკატესად ითვლება.

**1872 წელს** ფეხბურთის გუნდის მეკარეებს უფლება მიეცათ ხელით დაეჭირათ ბურთი (მანამდე ბურთს ფეხით იგერიებდნენ).

**1878 წელს** შეფილდში პირველად გაიმართა მატჩი ელექტრონით განათებულ სტადიონზე.

**1882 წელს** შემოიღეს აუტიდან ბურთის ორი ხელით მოწოდება.

**ხეოფსის** პირამიდა ააგეს 4 ათასი წლის წინათ ფარაონ ხუფუს ბრძანებით (ბერძნები მას ხეოფსს ეძახდნენ). ისტორიკოს ჰეროდოტეს გადმოცემით, მას 100 ათასი კაცი აშენებდა 20 წლის მანძილზე. პირამიდის სიმაღლე 146 მეტრია.

## ღიმილის დოზა

**ერთი** ახალი რუსი – მეორეს:

– მე კი ნიანგი ვიყიდე და ოქროს კბილები ჩავუსვი!

– მაგარი ხარ! რას აჭმევ? თევზებს, არა?

– თევზს არ ეკარება! სანამ კბილებს ვუსვამდით, სტომატოლოგების ხორცს მიეჩვია.

* * *

**პესიმისტი** ხედავს მხოლოდ უსასრულო გვირაბს.

ოპტიმისტი გვირაბის ბოლოს სინათლეს ხედავს.

რეალისტი ხედავს გვირაბს, სინათლეს და მატარებელს, რომელიც მისკენ დიდი სისწრაფით მოექანება.

* * *

**კოვბოი** ცოლის და სიდედრის ცემისათვის მოსამართლემ 1007 დოლარით დააჯარიმა.

გაუკვირდა კოვბოის – უცნაური ჯარიმა – 1000 – მესმის, 7 დოლარი რისთვის?

მოსამართლემ აუხსნა:

– ტეხასის შტატის კანონით, ადამიანისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ისჯება ჯარიმით 1000 დოლარი; ადგილობრივი კანონით გართობისათვის კი 7 დოლარი უნდა გადაიხადო.



* * *

**ახალი ამბები:**

– ორმა ტერორისტმა, რომლებმაც ამ დილით მძევლად აიყვანეს ათი კაცი, შეარბილეს თავიანთი მოთხოვნები. თუ თავდაპირველად ისინი 30 მილიონ დოლარს და ვერტმფრენს მოითხოვდნენ, ამ საღამოსთვის მოითხოვენ 12 ბოთლ არაყს, მჟავე კიტრს, შავ პურს და ხვალ დილამდე ნუ შეგვაწუხებთო.

* * *

**მეძავი** გაჩერებული მანქანის კარს გამოაღებს:

– გამარჯობათ! დღეს ჩვენი ფირმა სიახლეს გთავაზობთ – შეღავათიან ტარიფს „ახალგაზრდული“ – პირველი 15 წამი უფასოდ!

* * *

– ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐᲗ. მე მქვია ბორია. ბავშვობაში მე ხშირად ჩამკეტავდნენ ბნელი ოთახის კუთხეში, ხოლო სიბნელეში ადამიანები ორიენტაციას კარგავენ...

თქვენი ბორია მოისევი.

## კრიმინალი

### მიითვისეს დევნილების კუთვნილი 40 ათასი ლარი

**დევნილების** კუთვნილი თანხების მითვისებაში აფხაზეთის შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დევნილთა დახმარების ბორჯომის ადგილობრივი სამსახურის ხუთი თანამშრომელი ამხილეს. მათ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიითვისეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დევნილების დახმარებისათვის გამოყოფილი 40 ათასი ლარი.

გამოძიებას აწარმოებს აფხაზეთის პროკურატურა.

### მტკვარში უცნობი ქალის გვამი იპოვეს

**მეტეხის** ხიდის ქვემ მდინარე მტკვარში დაახლოებით 40-45 წლის დამხრჩვალი ქალის გვამი იპოვეს. გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის ნიშნები არ ემჩნეოდა. ჯერჯერობით დადგენილი არ არის დაღუპულის ვინაობა და მისი გარდაცვალების მიზეზები.

გამოძიებას აწარმოებს კრწანისის რაიონის პროკურატურა.

**პრაიმ-ნიუსი.**

შპს „ნატექსი“ აცხადებს ლიკვიდაციას, დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: დავით აღმაშენებლის 91. ტელ: 95-91-08.

ქ. თბილისის სატელეფონო ქსელი აცხადებს, რომ დაზიანდა დიდი ტევადობის შემაერთებელი კაბელი ატს-36-სა და ატს-37-ს შორის, რის გამოც აღნიშნულ მიმართულებაზე ნაწილობრივ შეფერხდა სადგურთაშორისო კავშირები. შეწყდა ასევე ატს-37/38, ატს-39, ატს-31 ზონაში სატრანზიტო ხაზებით დადგმული „2“ და „9“ ინდექსების ელექტრონული ატს-ების იმ ტელეფონების მუშაობა, რომლებიც გადიან აღნიშნული კაბელით.

მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომლის დამთავრება ნავარაუდევია 4 ოქტომბრისათვის.

შექმნილი უხერხულობისათვის სატელეფონო ქსელი ბოდიშს უხდის აბონენტებს.

## ტელევიზია — შაბათი, 30 სექტემბერი

10.00 დილის პაემანი 11.30 ახალი ქართული ლატარია 11.40 ფრანგული პროგრამა „ჩემი სახლი“ 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.15 „საქართველოს ტელევიზია გთავაზობთ“ 13.10, 15.15 ჩოგბურთი 15.00, 20.00, 00.20 „მოამბე“ 17.00 მულტსერიალი 17.25 ქართული ცირკი 60 წლისაა 17.50 მხიარული კარუსელი 18.15 პოპ-ინფო 18.35 ფრანგული პროგრამა 19.00 ვქტნიკი 19.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 20.45 აზრი 20.55 მაესტრო 22.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.40 კედელი 23.15 „საუბრები ლიტერატურაზე“ 23.50 მუსიკალური ჰიტ-პარადი 00.30 ჯემი 00.45 მხ. ფ.

19.00 ინფორმაცია 19.35 „საზღვაო პოლიცია“ 20.20 იყო და არა იყო რა 20.50 დასაბამიდან 21.00 მოკლ. მხ. ფ. 21.30 ავანსცენა 22.00 ინფორმაცია 22.15 ახლო ხედი 23.15 ჰიტ-პარადი 23.20 „ცხრა იარდი“.

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 „კოლომბო“ 13.40 სიმფსონები 14.05 „უდაბნოს კანონი“ 15.00 მხ. ფ. 17.10 მხ. ფ. 17.45 ტექს ამერი 18.00, 01.00 კურიერი 18.20 „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი“ 19.00 ჩემპიონთა ლიგის ტურის მიმოხილვა 19.50 „ნაზი საწამლავი“ 21.00 კურიერი 22.00 ფსიქო. 01.10 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“ 01.40 ღამის ჯაზი.

მზერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 სტუდია-დიალოგი 10.00 „ქალაქი“ 10.25 ქართული პანგები 10.35 „ყველა ჩემი შვილი“ 11.20 მხ. ფ. 19.00, 22.00 მუს. ტალღა 19.20 ნახ. ფ. 19.45 მუს. ტალღა 20.45 ძვ. პანგები 21.15 „სახეები“ 21.30 მრწამსი 22.30 მხ. ფ. 00.35 „ნოსტალგია“ 00.40 მხ. ფ. „ოვაცია“.

12.00 „ჩიორა“ 13.25 მხ. ფ. 14.35, 16.55 მუსიკა 14.40 მხ. ფ. 15.50 „მარადიული ძახილი“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15 დოკ. ფ. 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.15 მხ. ფ. 20.20 „პეპელა“ 21.00 „ვარსკვლავები“ 22.00 მხ. ფ. 23.20 მოკლ.მხ. ფ. 00.20 „რომანსი X“.

ეთერი 11.00 ცხოვრება სიტყვაში 11.20 საბავშვო პროგრამა: 13.00 მხ. ფ. 15.00 „ვესტი“ 15.15 მხ. ფ. 18.00 მულტფილმი 19.00 თქვენი ადვოკატი 21.20 „ვესტი“ 21.30 მხ. ფ. 00.20 მუსიკა 00.25 მხ. ფ.

08.00 „ტონიკი“ 10.00 „მოლი“ 11.35, 13.25, 15.45, 17.55, 20.30, 22.15, 00.30 კლიპ-მიქსი 11.50 მულტფილმი 13.40 მხ. ფ. 16.00 „თვალთვალი“ 18.00 მულტფილმები 19.00 მხ. ფ. 20.45 მხ. ფ. 22.30 მხ. ფ. 00.45 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 18.15 მულტფილმი 09.35 მხ. ფ. 10.20, 21.00 „გავიხსენოთ ის წლები“ 11.05 „გაზეთი“ 12.55, 00.15 მუსიკა 13.15 „გაზეთი“ 15.00, 18.35 „დისქავერი“ 15.50 მხ. ფ. 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.00 „ევროპის სტადიონებზე“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.45 „ბელისიმო“ 22.25 მხ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 მხ. ფ.

09.30, 19.00, 01.00 „დღეს“ 19.30 მულტფილმები 20.15 სპექტაკლი მხ. ფ. 21.00, 23.50 სპორტული პროგრამა მხ. ფ. 22.00 „დღეს“ 22.35 „რენომე“ 23.15 ქართული გვარები (ფალავანდიშვილები) 00.30 დოკ. ფ. 01.30 მხ. ფ. 04.00 მუსიკა ითერში 04.20 მხ. ფ.

## დიდების ზღაპარი

# რეკორდი

**მრავალფეროვანია** ცხოვრება, მრავალფეროვანია რეკორდები, მრავალფეროვანია ადამიანის მოთხოვნილებებიც, – ვის რა იტაცებს და ვის რა; ზოგს ქვების სროლა ანიჭებს სიამოვნებას, თუმცა, სწორედ ამ სიამოვნებისთვის ამოყოფს თავს ხუტა უფროსის კაბინეტში:

– ა, ხუტა უფროსი, ზლოსტნი ხულიგანი ჯოტია სააკაშვილი დავაკავეთ ხულიგნობის მომენტში.

– რა მოხდა, მაინცა და მაინც ასეთ მნიშვნელოვან მომენტში რომ შემაწყვეტინე კითხვა?

– რა ექნათ, ხუტა უფროსი, აიკლო სოფელი. ამის შიშით ლამის ყველამ კასკით იაროს ქუჩაში.

– ქვა ისროლა ნამდვილად, ყურებზე ეტყობა.

– ასეა, ნამდვილად, ვერ მოვაშორეთ ქვებს ეს გასაქვავებელი. პირველი ქვა ხომ გახსოვთ, პარლამენტიდან რომ ისროლა და პირდაპირ სასამართლოს მოარტყა?

– როგორ არ მახსოვს, ისე შეაზანზარა მთელი შენობა, ქვა ქვაზე არ დატოვა და მოსამართლე მოსამართლეზე.

– აბა, მეორე ქვა რომ ისროლა და პროკურატურას რომ მოარტყა, იქ რატომ არ შეაზანზარა ქვა ქვაზე და პროკურორი პროკურორზე?

– იმიტომ, რომ მაგი ახალი შენობაა და ასე ადვილად ვერ შეარყევს ვერაფერს. მარა მაქაც ალიაქოთი იყო ერთი პირობა და გვარსა და სახელს არ დავასახელებ, ერთ პროკურორს თმები ახლაც ყალყზე აქვს, რომ იცოდე...

– აბა, მაშინ წყნეთში რომ ისროლა ქვა, იგი ამბავი სულ მთლად რანაირია?

– ახალი აშენებული სახლები არ მოსწონს და რა ქნას? ამჯერად რა ახალი საზოგადოებრივი დანაშაული ჩაიდინა?

– ვაკის ტეხასმოტრიდან დარეკეს, – ქვებს გვესერის პარპრიზებში და გვიმეელეთ რამენაირადო.

– რატომ ხულიგნობ, მოქალაქე სააკაშვილი?

– არ ვხულიგნობ მე, ხუტა უფროსი...

მისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ და ამიტომ ხუტა უფროსი დროებით გაათავისუფლებს, თუმცა, ქვას მაინც ჩამოართმევს... ხუტა უფროსსაც ელის მოულოდნელობა: მთლად იმის ის რომ არის, იმ თემაზე გიბარებსო, შეატყობინებენ. ნერვიულობს: „ვაჲა, ჩქიმი ცოდვა, რას უნდა ნიშნავდეს აი ამბავი“? მაგრამ რა ქნას, თავს ზემოთ ძალა არა აქვს, და უკვე ადგილზე მისული, გაუბედავად შეაღებს „მთლად იმის ისის“ კაბინეტის კარს, გული საგულეს აღარ აქვს.

– რაზე გიბარებდი და ქვის სროლასთან დაკავშირებით, ჯოტიას საკითხზე. სპორტსმენი გაგიზრდიათ სოფელში, როგორც ირკვევა...

– სპორტსმენი კი არა, ზლოსტნი ხულიგანია და გვარცხვენს რაიონული მასშტაბით.

– ეს ის ქვა არის, სააკაშვილმა რომ ისროლა?

– როგორ, კაცო, კანცელარიასაც ესროლა? მე მაგას ვუჩვენებ სეირს!...

– არა კაცო, კანცელარიისკენ რატომ უნდა ესროლა? ამ ქვით დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი თქვენმა მოქალაქემ და ვინახავთ თვალსაჩინოებისთვის. ადგილობრივი მასშტაბით გვასახელა ჯერჯერობით, დავეხმაროთ გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე...

– ასე რომ, მოგილოცავთ, აუცილებლად, ჩვენი ოლიმპიური გუნდის მთავარ მწერთნელად, ბატონი ედუარდის რეკომენდაციით, რასაკვირველია, დაინიშნეთ ეს-ეს არის.

ხუტა უფროსს ერთადერთი, თუმცა, მრავალმნიშვნელოვანი რეპლიკა აღმოხდება მხოლოდ: „ვაჲა“! სოფელში დაბრუნებულს კი, ღინტუს მიერ დაპატიმრებული ქვების მსროლელის, უფრო ზუსტად, რეკორდსმენის საპატიმროდან გათავისუფლებაც მოუწევს:

– ოჰ, ჯოტია, ღმერთო კი მომკალი, როგორ მოხედი ამ გაუგებრობაში ამხანაგო სააკაშვილი, თანაც რეკორდსმენი აუცილებლად?

– როგორ მოხედი და ისე მოხედი, როგორც ხედებიან, მაშ რატომ მათავისუფლებთ უამნისტიოდ, თუნდაც?

– აბა, თქვენისთანა რეკორდსმენ კაცს რა უნდა გალიაში?! გამობრძანდით და შეგიძლიათ ისროლოთ ქვები ნებისმიერი მიმართულებით, ოღონდ, ერთი პატარა პაპრავკა გვექნება, – დღეიდან ქვების სროლას რომ დააპირებ, ათვლის წერტილი კანცელარია უნდა იყოს, ანუ დღეიდან იქიდან უნდა სტყორცნო შენი რეკორდები.

ალბათ, თქვენც გაინტერესებთ ქვების მსროლელი დაამყარებს თუ ვერა რეკორდებს, რა ამბები განვითარდება ამის გამო და თუ გაინტერესებთ ამ ისტორიის დასასრული, უყურეთ „დიდების ზღაპრის“ ახალ სერიას საქართველოს ტელევიზიის საღამოს ეთერში კვირას, 1 ოქტომბერს, თუმცა, ფრთხილად იყავით, ქვები ხანდახან ეკრანიდანაც ცვივა.

„დიდების ზღაპრის“ საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ რადიო „აუდიენცია“ FM 105.9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. „დიდების ზღაპრის“ გმირების ხალისიან განწყობილებას უზრუნველყოფს ცქრიალა ღვინო „ძველი თბილისი“. გადაცემის სპონსორია ფიჭური კავშირის კომპანია „მაგთი GSM“.

**მიზანში მომრტყმელიძე.**



## გახსენება

### გიორგი ჭუბაბრია



ორმოცი დღე არც ისე ცოტა დრო ყოფილა ძვირფასი ადამიანის მოსანატრებლად. გიორგი ჭუბაბრია კი სწორედ ასეთი კაცი იყო – ერთგული, გულისხმიერი, სიკეთით აღსავსე. მეგობრები სინანულით ვიგონებთ იმ დღეს, როცა იგი მარადისობის გზაზე გავაცილეთ.

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, კომუნალური მშენებლობის უხუცესი და უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ღირსების ორდენის კავალერი – ასეთია მისი რეგალიები, რომელთა გვირგვინი მაინც მისი კაცურკაცობა იყო.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, გიორგი ჭუბაბრიას წუთითაც არ დაუკარგავს ინტერესი იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდებოდა. გულთან მიჰქონდა ტკივილიც და სიხარულიც. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ადამიანებს ძველი ღიმილი დაუბრუნდებოდათ – ღიმილი, მართლაც თავისუფალი, ბედნიერი, ღირსების გრძნობით აღსავსე. თვითონ ხომ ცხოვრების დიდი გზა განვლო – რიგითი მუშაკიდან ხელმძღვანელამდე. ეს იყო უდიდესი გამოცდილება, რომელსაც შემდგომ უშურველად უნაწილებდა ახალგაზრდებს. მისი პრაქტიკული ცოდნა უნარიანად გამთლიანდა სამეცნიერო მოღვაწეობაშიც. მის ოცდაათამდე სამეცნიერო შრომას, მათ შორის ორ მონოგრაფიას სპეციალისტებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გიორგი ჭუბაბრიასთან მუშაობა საპატიოც იყო და პასუხსაგებიც, რადგან იგი ვერ იტანდა უმეცრებას, ამპარტავნობას, სიზარმაცეს. ამიტომაც, სიმართლესთან ერთად მომთხოვნელობაც ახასიათებდა და პრინციპულობაც.

ორმოცი დღის შემდეგ კვლავ ნათელი მოგონებებით შემოსავთ მის ხსოვნას. ღმერთს შევთხოვთ, საქართველოს მისთანა ერთგული შვილები არ გამოლეოდეს, ხოლო მისთვის ალალი იყოს ცრემლი, რომელიც მეგობრებმა, ახლობელ-ნათესავებმა დაადევნეს.

**საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, თბილქალაქპროექტი**

მეუღლე მირიანი, შვილები გიული, მარინე, ნინო თაბუკაშვილები, და მერი, ძმა ნოდარ ხარაძეები, სიძეები ჯემალ პეტაშვილი, ავთო დაუშვილი, დათო ჩიკვილაძე, შვილიშვილები თამარი, მაია, ნიკა, რუსუდანი, მირო, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან კალისტრატეს ასული ხარაძე

პანაშვიდი 1, 2 X, 5 სთ. გამოსვენება 3 X, 3 სთ. მისამართი იოსებიძის 51ა II სად. ბ. 21.

**გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი**
„საქართველოს რესპუბლიკა“
შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი, ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.